

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში

2022 წლის ანგარიში

ღია საზოგადოების ფონდი

კოალიცია თანასწორობისთვის

პარტნიორობა
ადამიანის უფლებებისთვის

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში

2022 წლის ანგარიში

„კოალიცია თანასწორობისთვის“ არაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც 2014 წელს საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ხელშეწყობით შეიქმნა და თერთმეტ არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: საქართველოს ღია საზოგადოების ფონდი, სოციალური სამართლიანობის ცენტრი (ყოფილი EMC), უფლებები საქართველო, „საფარი“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR), საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC), თანასწორობის მოძრაობა. კოალიციის მიზანი ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების მანდატის გაძლიერება და დისკრიმინაციასთან ეფექტიანი ბრძოლის ხელშეწყობაა. 2015 წელს, ახლადდაფუძნებულმა „კოალიციამ თანასწორობისთვის“ და საქართველოს სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს.

ანგარიში გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა, არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

სარჩევი

შესავალი . . . 8
მეთოდოლოგია . . . 9
ძირითადი მიგნებები . . . 11

ბავშვები . . . 17
ბავშვთა მიმართ ძალადობა . . . 18
ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობა . . . 19
ძალადობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში . . . 21
სექსუალური ძალადობა, ბავშვობის ასაკში ქორწინება . . . 22
განათლების უფლება . . . 24
სქესობრივი და რეპროდუქციული განათლება . . . 25
ბავშვთა სახლები და დეინსტიტუციონალიზაცია . . . 27
ბავშვთა სიღარიბე . . . 29
ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვები . . . 32
რეკომენდაციები . . . 33

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები . . . 36
შრომისა და დასაქმების უფლება . . . 38
ინკლუზიური განათლება . . . 40
მისაწვდომობა . . . 42
აბილიტაცია და რეაბილიტაცია . . . 46
რეკომენდაციები . . . 48

ქალები . . . 50
ფემიციდი და საერთაშორისო გადაწყვეტილებები . . . 51
ქალთა მიმართ ძალადობა და სქესობრივი ძალადობა . . . 54
პოლიტიკური ჩართულობა . . . 55
რეკომენდაციები . . . 57

ლგბტქი ადამიანები . . . 59
ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობა და სიძულვილის ენა . . . 61
ტრანსი ადამიანები . . . 64
რეკომენდაციები . . . 65

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება / რელიგიური უმცირესობები . . . 68

დისკრიმინაცია კანონმდებლობაში და ახალი პრივილეგიები საპატრიარქოსთვის . . . 69

არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები . . . 72

ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე . . . 73

საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე . . . 73

სახელმწიფოს მიერ რელიგიური საქმიანობის უკანონო კონტროლი . . . 75

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება . . . 76

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები . . . 78

იეჰოვას მოწმისთვის სისხლის გადასხმის საქმე . . . 78

ანტისემიტიზმი . . . 79

რეკომენდაციები . . . 82

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა . . . 83

პოზიტიური განვითარებები . . . 84

ინტეგრაციის პოლიტიკა . . . 85

მოქალაქეობის პრობლემა . . . 85

ენის დისკრიმინაციული პოლიტიკა . . . 87

ულტრაკონსერვატიული ჯგუფები . . . 88

უმცირესობების კონტროლის პრაქტიკები . . . 89

სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია . . . 90

რეკომენდაციები . . . 95

უცხოელები . . . 98

უკრაინელების უფლებრივი მდგომარეობა . . . 99

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა . . . 102

სახელმწიფო უსაფრთხოება . . . 105

რეკომენდაციები . . . 107

განგრძობადი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობა . . . 109

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები . . . 110

გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობა . . . 113

გალის და ახალგორის რაიონებში უფლების დარღვევის

სისტემური პრაქტიკები . . . 116
დევნილები . . . 121
კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა . . . 121
რეკომენდაციები . . . 122

უფლებადამცველები და აქტივისტები . . . 126
ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალწარმოების მავნე პრაქტიკა შეკრების თავისუფლების წინააღმდეგ . . . 127
უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევების გამოძიება . . . 130
სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობები . . . 133
სამოქალაქო სექტორის მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა . . . 135
რეკომენდაციები . . . 136

მედია . . . 138
მედიის უსაფრთხოება . . . 139
პარლამენტში მედიის აკრედიტაციის ახალი რეგულაციები . . . 142
ცილისწამების საქმეები . . . 143
კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკა . . . 144
რეკომენდაციები . . . 145

უსახლკარო პირები . . . 147
უსახლკარობის საკანონმდებლო დეფინიცია . . . 148
უფლება სათანადო საცხოვრებელზე . . . 151
საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო . . . 153
უსახლკაროების მდგომარეობა და სახელმწიფო პოლიტიკა . . . 155
საქართველოს ეროვნული სტრატეგია . . . 158
რეკომენდაციები . . . 159

ხანდაზმული პირები . . . 161
დისკრიმინაციული საკანონმდებლო მოწესრიგება . . . 163
სოციალური დაცვის უფლება . . . 166
ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა . . . 168
რეკომენდაციები . . . 170

შესავალი

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი პირისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. კანონის მიღების შემდგომ, „კოალიცია თანასწორობისთვის“ ყოველწლიურად სწავლობს ადამიანების ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას და ამზადებს შესაბამის ანგარიშებს.

წარმოდგენილი ანგარიში რიგით მეშვიდეა და აფასებს 2022 წელს საქართველოში ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლების რეალიზებისა და დისკრიმინაციასთან ბრძოლის კუთხით არსებულ მდგომარეობას[1]. ანგარიშში გაანალიზებულია 2022 წლის ტენდენციები, რომელმაც გავლენა იქონია ცალკეულ ჯგუფთა უფლებრივ მდგომარეობაზე, კერძოდ, ის წინგადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, რომელიც უკავშირდება სახელმწიფოს ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკას, ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობას, პრაქტიკას და მოწყვლადი ჯგუფების ყოველდღიურ ყოფას.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ იმედს გამოთქვამს, რომ ანგარიში დაეხმარება შესაბამის სახელმწიფო უწყებებს დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ქმედითი ღონისძიებების გატარებაში და ნებისმიერი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფაში.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მოიცავს პერიოდს 2022 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მასში გაანალიზებულია თოთხმეტი მოწყვლადი ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა, კერძოდ: ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ქალები, ხანდაზმულები, ლგბტქი

1. 2021 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია :https://bit.ly/41jaWw1

ადამიანები, არადომინანტი რელიგიური გაერთიანებები, ეთნიკური უმცირესობები, უცხოელები, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობა და დევნილები, უფლებადამცველები და აქტივისტები, მედიასაშუალებები/წარმომადგენლები და უსახლკარო პირები.

„კოალიცია თანასწორობისთვის“ წევრი ორგანიზაციები აქტიურად სწავლობდნენ ამ ჯგუფების უფლებრივ მდგომარეობას 2022 წლის განმავლობაში. შესაბამისად, ანგარიშშიც მხოლოდ ამ ჯგუფებთან დაკავშირებით არსებული სიტუაციის შეფასებაა მოცემული, რაც არ გამორიცხავს სხვა, წინამდებარე ანგარიშში არაიდენტიფიცირებული ჯგუფების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობას.

ანგარიშში მოცემული ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა შეფასებულია ეროვნული სტანდარტების, პრაქტიკისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების ერთობლივი ანალიზის გზით. თითოეულ ჯგუფთან მიმართებით, კოალიცია ასევე წარმოადგენს რეკომენდაციებს სახელმწიფოს მიერ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად კონკრეტული მიმართულებების შექმნის, გაძლიერებისა და გაუმჯობესების მიზნით.

ანგარიშში წარმოდგენილი მსჯელობა ეფუძნება შემდეგი წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას:

- **საჯარო ინფორმაცია** – კოალიციის წევრმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა უწყებიდან გამოითხოვეს საჯარო ინფორმაცია, რომლის ანალიზიც აისახა ანგარიშში;

- **სამართალწარმოება** – ანგარიშში მოცემული შეფასებები ასევე ეყრდნობა კოალიციის წევრი ორგანიზაციების წარმოებაში არსებული საქმეების მასალებს და სამართალწარმოებისას გამოკვეთილ ხარვეზებს;

- **კანონმდებლობისა და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი** – ანგარიში ცალკეულ ჯგუფთა თანასწორობის უფლებას აფასებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვის საფუძველზე.

ანგარიში ასევე ეფუძნება საქართველოს სახალხო დამცველისა და სხვა ავტორიტეტული ორგანიზაციების ანგარიშებს/კვლევებს/რეკომენდაციებს.

ძირითადი მიგნებები

საანგარიშო პერიოდში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის არსებითად არ გაუმჯობესებულა. ჯერ კიდევ მწვავედ დგას ბავშვის უფლებების რეალიზაციისა და დაცვის საკითხი. გამოწვევად რჩება ბავშვთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის პრევენცია, გამოვლენა და მასზე დროული და ეფექტური რეაგირება. პრობლემურია ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმების ეფექტურობა და ხარისხი, და ბავშვების ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ მომსახურებებში განთავსების საკითხიც. სახელმწიფოს ამ დრომდე არ აქვს ერთიანი სტრატეგიული პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოხდება ბავშვთა ზრუნვის დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია. ოჯახის მხარდამჭერი სერვისების არაეფექტურობისა და არასაკმარისი რაოდენობის გამო, უმთავრეს პრობლემად კვლავ რჩება ბავშვთა სიღარიბე და შრომა.

2022 წელს არსებითად არ გაუმჯობესებულა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა და ისინი კვლავ რჩებიან ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფად საქართველოში. შშმ პირები სხვების თანასწორად ვერ სარგებლობენ კონსტიტუციური უფლებებით და დღემდე აწყდებიან სისტემურ დაბრკოლებებს საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. კვლავ პრობლემად რჩება სამუშაო ადგილებზე შშმ პირთა დისკრიმინაცია, როგორც შრომით ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის გამოწვევას წარმოადგენს ინკლუზიური განათლების მისაწვდომობა და უწყვეტობა. ძალადობის მსხვერპლი შშმ პირები, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის პროცესში არაერთ დაბრკოლებას ხვდებიან.

ქალთა დისკრიმინაციისგან დაცვის თვალსაზრისით 2022 წლის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ფემიციდის მაჩვენებლის

ზრდა. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ("ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ") გამოყოფს იმ სისტემურ პრობლემებს, რომლებიც ხელს უწყობს საქართველოში ფემიციდისთვის ხელშემწყობი გარემოს არსებობას. პრობლემად რჩება აგრეთვე გაუპატიურების დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიცია და „ღირსების სახელით ჩადენილი დანაშაულის" ცნების არარსებობა, ისევე როგორც კოორდინატორი ქალების გამოყენება პარტიული მიზნებისთვის და მათი დაქვემდებარება შრომითი ექსპლუატაციისა და ძალადობისთვის.

2022 წელს ლგბტქი ადამიანების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა თემის წევრების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა თუ კანონმდებლობის შემუშავების ნაცვლად, სრულად უგულებელყვეს ლგბტქი ჯგუფი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით საშიშ ტენდენციას წარმოადგენდა ლგბტქი ადამიანების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან, მათ შორის, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებების სტრატეგიისა და გენდერული თანასწორობის კონცეფციიდან სრული გაქრობა.

საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა უშუალოდ ხანდაზმული ადამიანების უფლებების შესახებ, თუმცა, ამასთან დაკავშირებულ გარკვეულ დებულებებს შეიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ფრაგმენტულად არეგულირებს ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს. აღსანიშნავია, რომ დღეს არსებულ საკანონმდებლო ბაზაში შეინიშნება ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის არაერთი შემთხვევა, რომლებზეც დავა საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარებს. გარდა ამისა, სავალალოა ხანდაზმულების სოციალური მდგომარეობა. შესაბამისი პროგრამების არსებობის მიუხედავად, სოციალური დაცვის ღონისძიებები ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არასაკმარისია. გადაუჭრელ პრობლემად რჩება მოხუცთა წინააღმდეგ ძალადობა. წლების განმავლობაში უცვლელი და სისტემური ხასიათის პრობლემები დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორიცაა თავად მსხვერპლთა მხრიდან ძალადობის ფაქტის აღქმა, შე-

საბამისი უწყებებისადმი დაბალი მიმართვიანობა, ძალადობის მსხვერ-პლთათვის არსებული ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური რეაბილი-ტაციის პროგრამების არარსებობა.

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოში მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცე-მის მიმართულებით არსებული გამოწვევები, ბუნებრივია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზეც აისახა. ხელისუფლების არასეკულარული მმართველობის ფორმა და უთანასწორო დამოკიდებულება არადომი-ნანტური რელიგიური ჯგუფების მიმართ გამოჩნდა არაერთ პოლიტიკურ, საკანონმდებლო და სასამართლო გადაწყვეტილებაში.

წინა წლების მნიშვნელოვანი საკითხები და არსებული სისტემური პრობლემები, როგორებიცაა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ახალი სამლოცველოების მშენებლობისთვის შექმნილი ხელოვნური ბარიერები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბუნდოვანი მანდატისა და პოლიტიკის საკითხი, რელიგიური შეუწყნა-რებლობით ჩადენილ დანაშაულებზე არაეფექტიანი რეაგირება, ხელი-სუფლების ტოტალური კონტროლი რელიგიური ორგანიზაციების საქ-მიანობისადმი და სხვა, კვლავაც გადაუჭრელი რჩება.

საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, უმცირესობების საკით-ხებზე მომუშავე ორგანიზაციები და თემის აქტივისტები აქტიურად აყე-ნებდნენ დღის წესრიგში არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლე-ბების დაცვის საკითხებს. თუმცა, ამ მიმართულებით ცენტრალურ და ადგილობრივ უწყებებს ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ეთნიკური უმცირესო-ბებისთვის უფრო ინკლუზიური და სამართლიანი გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვან ისეთ საბაზისო საკითხებზეც კი არ გვაქვს პროგრესი, როგორიცაა საკონსულტაციო საბჭოების შექმნა მთავრობასთან და პარლამენტთან, სერვისების მიწოდების პროცესში და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ადმინისტრაციულ პრაქტიკაში უმცირე-სობების ენებზე თარგმანის რესურსების შექმნა, ეთნიკური მარკერებით სტატისტიკის წარმოება, საჯარო სამსახურში ახალგაზრდების დასაქმე-ბის ხელშეწყობის სპეციალური პროგრამების შემუშავება.

საანგარიშო პერიოდში უცხოელთა უფლებრივ მდგომარეობასთან მიმართებით რიგი ახალი გამოწვევები გამოიკვეთა, ასევე, უცვლელი დარჩა წინა წლებში არსებული ზოგიერთი პრობლემური საკითხიც. 2022 წელს, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში ჩამოსულ უკრაინელებს, საქართველოში არსებული პროგრამებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობა, გარკვეულწილად, ეზღუდებოდათ. საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად დარჩა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე უცხოელებისთვის უარის თქმის საკითხი. დღის წესრიგში იდგა უცხოელი ჟურნალისტებისთვის საქართველოს საზღვრის კვეთაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის ტენდენცია. ასევე, უცვლელ გამოწვევად დარჩა თავშესაფრის მაძიებლებისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭების სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველზე უპირობო მითითებით გადაწყვეტის საკითხი. ასევე, პრობლემური იყო უცხოელებზე, მათ შორის, უცხოელ სტუდენტებზე, ანალოგიური საფუძვლით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ტენდენცია.

საანგარიშო პერიოდში კვლავ აქტუალური იყო ოკუპაციის პირობებში მცხოვრები ადამიანების სოციო-ეკონომიკური უფლებები და მათი ხელმისაწვდომობა სერვისებზე და პროგრამებზე, მათი გადაადგილების თავისუფლება, მშობლიურ ენაზე განათლების უფლება, უკანონო დაკავებების მანკიერი პრაქტიკა და გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევები

2022 წელს კვლავ პრობლემური იყო აქციებში მონაწილე აქტივისტებისა თუ დემონსტრანტების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და პასუხისგებაში მიცემის მავნე პრაქტიკა, რომლის მიზანია შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე მსუსხავი ეფექტის მოხდენა. გარდა ამისა, სერიოზული გამოწვევაა უფლებადამცველების წინააღმდეგ წარსულში ჩადენილი სამართალდარღვევების, მათ შორის 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის არასათანადო გამოძიება, რაც ახალისებს დაუსჯელობის სინდრომს და ვერ უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციას. საანგარიშო პერიოდში ასევე დაფიქსირდა ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის შემთხვევები, ნაცვლად აღნიშნული ორგანიზაციების მხარდაჭერისა და მათთან თანამშრომლობისა.

კერძოდ, 2022 წელს არ ყოფილა სათანადოდ უზრუნველყოფილი სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სხვადასხვა პროცესში, მათ შორის პარლამენტში შექმნილ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფსა და ადამიანის უფლებათა 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის მომზადებაში.

საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო აქტებით გარანტირებულია გამოხატვის, მედიის თავისუფლება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის თავისუფალი, თანასწორი და უსაფრთხო გარემოს შექმნა. 2022 წელი ამ უფლების რეალიზების კუთხით მრავალი გამოწვევით იყო სავსე. გაუარესებულია ქვეყანაში მედიის უსაფრთხოების მდგომარეობა და გაძლიერებულია აგრესიული რიტორიკა, ასევე დისკრიმინაციული დამოკიდებულებები მედიის წარმომადგენლების მიმართ. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან იყო მაუწყებლების შინაარსობრივი კონტროლის მცდელობები. პრობლემური იყო ასევე საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების ახალი აკრედიტაციის წესი, რომელიც ხელს უშლის ჟურნალისტის საქმიანობასა და არაპროპორციულად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

უსახლკარო პირების საკანონმდებლო დეფინიცია საქართველოში დღემდე პრობლემურია, რადგან ის მიმართულია პირის საცხოვრებლის ფიზიკურ განზომილებაზე და გამორიცხავს სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზებას სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებში. ეს ყოველივე წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ პრინციპებთან მიმართებაში. ქვეყანაში არ ხდება სტატისტიკური ინფორმაციის ერთიანი აღრიცხვა, ასევე არ არის შემუშავებული უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა. მუნიციპალიტეტების მიდგომა უსახლკარო პირებთან მიმართებაში ერთმანეთისგან განსხვავდება და ქმნის ეროვნული პოლიტიკის ფრაგმენტულ სახეს. უსახლკარობის სტატუსი, ერთი მხრივ, დაკავშირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პირის რეგისტრაციის ფაქტთან, ხოლო, მეორე მხრივ, უსახლკაროდ აღიარების კრიტერიუმად მითითებულია მუდმივი და განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არქონა, რაც ართულებს ისეთი პირების უსახლკაროდ აღიარების პროცესს, რომლებიც ცხოვრო-

ბენ არასათანადო პირობებში ან დროებით საცხოვრებლებში. კრიტიკულია სოციალურ საცხოვრისებში გამოვლენილი მდგომარეობაც, სადაც რიგ შემთხვევებში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებებიც იკვეთება. მნიშვნელოვანია დაცული იყოს უფლება სათანადო საცხოვრებელზე, რომელიც მოიცავს უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას.

ბავშვები

საანგარიშო პერიოდში მთელ რიგ სფეროებში მწვავედ დგას ბავშვთა უფლებების რეალიზებისა და დაცვის საკითხი. პრობლემას წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები, მათი დროული გამოვლენა, რეაგირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა როგორც სკოლამდელი, ისე სასკოლო დაწესებულებების სიმცირე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, რის გამოც, განათლების ან/და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა განსაკუთრებულად რთულდება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის. ამასთანავე, მწვავედ დგას საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალის შესაბამისი კვალიფიკაციის საკითხიც.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფოს არ შეუმუშავებია ერთიანი სტრატეგიული პროგრამა, რომლის მიხედვითაც მოხდება ბავშვთა ზრუნვის დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვების ოჯახებში დაბრუნება ან/და ოჯახთან მიმსგავსებული ალტერნატიული მზრუნველობის სერვისებში გადაყვანა.

გამოწვევას წარმოადგენს ბავშვთა სიღარიბე და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მდგომარეობა. სახელმწიფოს შემუშავებული სერვისები არ არის საკმარისი ამ პრობლემის შესამცირებლად. სიტუაციას ართულებს სტრატეგიის არქონა, რაც მიზნად დაისახავს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების არსებით გაძლიერებას და მიტოვებული ბავშვებისთვის გრძელვადიანი სახელმწიფო სერვისების შეთავაზებას.

ბავშვთა მიმართ ძალადობა

ბავშვთა უფლებების კოდექსის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს დაცული იყოს ნებისმიერი ფორმით ძალადობისგან ოჯახში, საგანმანათლებლო დაწესებულებაში და სხვა ადგილზე, მათ შორის — ინტერნეტ სივრცეში[2].

2. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუხლი 38

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოში 2022 წელს ბავშვთა მიმართ ძალადობის 4 131 შემთხვევა გადამისამართდა[3], ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია[4]. მონაცემების თანახმად, 1 781 შემთხვევაში ძალადობა დადასტურდა[5].

2022 წელს ქვეყანაში კვლავ განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობა, მისი დროული გამოვლენა, არაეფექტური პრევენციული ღონისძიებები და მასზე დაგვიანებული და არაეფექტური რეაგირება. ბავშვთა მიმართ ძალადობის მზარდი სტატისტიკა შეიმჩნევა, როგორც ოჯახში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში იდენტიფიცირებულ შემთხვევებში. პრობლემური რჩება მეურვეობა-მზრუნველობის დაწესებულებებში და საგამოძიებო ორგანოებში ბავშვზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფა.

- **ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობა:**

ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენა, მისი პრევენცია და ფაქტებზე სათანადო რეაგირება, გასული წლების მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება. საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის 1 934 შემთხვევა გადამისამართდა[6]. ამ მონაცემთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ უცვლელი რჩება პრობლემა, რომელიც შეეხება ძალადობის ფორმების შესახებ ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების არაინფორმირებულობას, რაც კიდევ უფრო ართულებს ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენას.

3. მათგან 1 013 ბავშვი დაზარალებულად იქნა ცნობილი.
4. სააგენტოს ინფორმაციით 2021 წელს ეს მაჩვენებელი 1904 შემთხვევას შეადგენდა.
5. სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, ბავშვთა მიმართ ძალადობა 2020-2022 წწ. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MeeQBm
6. იქვე. 754 ბავშვი დაზარალებულად იქნა ცნობილი. საერთო სასამართლოებმა 28 ბავშვის მიმართ გასცეს დამცავი ორდერი, ოჯახში ძალადობის 196 საქმეზე კი გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

2022 წელს „გაეროს ფონდის“ მხარდაჭერით ჩატარებულმა „ბავშვთა კეთილდღეობის გამოკვლევამ“ აჩვენა[7], რომ თუ 2018 წელს გამოკითხული მშობლების 31% აღიარებდა ბავშვის ფიზიკურ დასჯას, 2022 წელს ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არის შემცირებული. კერძოდ, გამოკითხული მშობლების 4.8% აღნიშნავს, რომ ბავშვის ფიზიკურად დაუსჯიათ, მათ შორის 0.1% შემთხვევებში ადგილი ჰქონდა სასტიკ ფიზიკურ დასჯას, სახესა და თავში დარტყმას და ცემას. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემი განახევრებულია და 29.4%-ს შეადგენს ოჯახში ფსიქოლოგიური აგრესიის გამოყენებასთან მიმართებითაც[8].

პოზიტიური დინამიკის მიუხედავად, 2022 წლის კვლევის თანახმად, ბავშვების 31% ექვემდებარება ოჯახში დასჯის ძალადობრივ მეთოდს. ეს მაჩვენებელი საზოგადოების დამოკიდებულების და/ან ქცევის ცვლილების საჭიროებაზე მიუთითებს, რაც თავის მხრივ, ბავშვის უფლებებზე არასაკმარისი ინფორმირებითაა გამოწვეული.

სტატისტიკის პარალელურად, შემაშფოთებელია ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და მასზე რეაგირების შემთხვევებში სახელმწიფო უწყებების არაეფექტური მუშაობა, რაც ჩანს ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (შემდგომში PHR) საქმეში, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობის მსხვერპლი 4 წლის ბავშვს[9]. კერძოდ, ემიგრაციაში მყოფმა დედამ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შეატყობინა საქართველოში მყოფი 4 წლის შვილის მიმართ მამის მხრიდან ძალადობის ფაქტზე. ქალს დაუკავშირდა ადგილობრივი სოციალური მუშაკი, რომელმაც სრულად მოისმინა ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ, თუმცა სამართალდამცავ უწყებებს ამის შესახებ არა შეატყობინა. ამასთანავე, სოციალური მუშაკი ბავშვთან ვიზიტებს ატარებდა სავარაუდო მოძალადის თანდასწრებით და არასდროს გასაუბრებია ოჯახის სხვა წევრებს, რაც ცალსახად მიუთითებს სოციალური მუშაკის დაბალ კვალიფიკაციასა და ბავშვის უფლებების სფეროში სპეციალიზაციის პრობლემაზე.

7. ბავშვთა კეთილდღეობა საქართველოში 2023 – გაეროს ბავშვთა ფონდი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://uni.cf/3BaNHZl

8. 2018 წლის მონაცემების თანახმად, გამოკითხული მშობლების 66% აღიარებს ბავშის მიმართ ფსიქოლოგიური აგრესიის გამოყენებას.

9. https://bit.ly/3NTSUNd

რამდენიმე თვეში მამაკაცი ოჯახში სხვა წევრების მიმართ ძალადობის ბრალდებით დააკავეს, თუმცა სასამართლომ ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მას შემდეგ, რაც საქმეში PHR ჩაერთო, იურისტებმა პირველ რიგში, პროკურატურას, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და პოლიციას 4 წლის ბავშვის უსაფრთხოების დაცვა და მოძალადისგან მისი განცალკევება მოსთხოვეს, რასაც სათანადო რეაგირება არ მოჰყვა. ამის შემდეგ PHR-მა მიმართა სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, თუმცა არც ამ შემთხვევაში იყო სახელმწიფო უწყებების მუშაობა ეფექტური. სასამართლო პროცესი არაგონივრულად გაჭიანურდა და 40 დღის შემდეგ, მოსამართლემ ბავშვი კვლავ საფრთხის შემცველ გარემოში დატოვა.

2022 წლის 22 ნოემბერს PHR-მა კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს და ამჯერად 4 წლის ბავშვის დაზარალებულად ცნობა მოითხოვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა, თუმცა PHR-ის მიმართვის მიუხედავად პროკურატურას და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს არაფერი გაუკეთებიათ ბავშვის ოჯახიდან გამოსაყვანად და ის დღემდე საფრთხის შემცველ გარემოში ცხოვრობს. ეს საქმე მიუთითებს, სახელმწიფოში არსებულ გამოწვევებზე ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის ფაქტის გამოვლენისა და სათანადო რეაგირების მხრივ.

- **ძალადობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში:**

ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენის და მასზე რეაგირების პრობლემურობა ნათლად იკვეთება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსით საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისციპლინურ ზომად ნებისმიერი ფორმის ძალადობის გამოყენება, მათ შორის ფიზიკური დასჯა, აკრძალულია[10], ეფექტური ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ზომების არარსებობის პირობებში, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ქმედებაზე სათანადო რეაგირება. 2022 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ძალადო-

10. საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“ მუხლი 38 პუნქტი მე-2

ბის 79 შემთხვევა[11] ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი გახდა.

ქვეყანაში ბავშვთა მიმართ ძალადობის არსებული მდგომარეობის შეფასებას ართულებს უწყებებში სტატისტიკის არასრულყოფილი წარმოება. ამასთანავე, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვალიფიციური და გადამზადებული პროფესიონალების ნაკლებობაა, რომლებიც დროულად შეძლებენ ბავშვთა მიმართ ძალადობის ნიშნების გამოვლენას და რეაგირებას[12].

- **სექსუალური ძალადობა, ბავშვობის ასაკში ქორწინება:**

2022 წელს გაზრდილია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში 339 საქმეზე დაიწყო გამოძიება, ხოლო დაზარალებულად 247 არასრულწლოვანი იქნა ცნობილი[13].

იმ ფონზე, რომ გასულ წლებში სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებთან მიმართებით პრობლემას წარმოადგენდა მათი მეორეული ვიქტიმიზაციისაგან დაცვა, პოზიტიურად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში თბილისში „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის“ გახსნა[14], რომლის მიზანია სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეტრავმირებისგან დაცვა და საგამოძიებო და სარეაბილიტაციო მოქმედებების ერთ სივრცეში თავმოყრა. თუმცა, ამ კუთხით პრობლემად რჩება ტერიტორიული მისაწ-

11. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათ და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.267, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
12. US State Department’s 2022 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o1yHKw [ბოლო ნახვა: 18.04.2023]
13. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
14. საქათველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41n3zmz

ვდომობის საკითხი, რადგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის მათზე მორგებული გარემო და სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომი არ არის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. „ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრი“ ამ პროფილით მომუშავე ერთადერთი დაწესებულებაა და მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებს.

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის გამოვლენილი შემთხვევების პირობებში მაღალია არასრულწლოვანზე ზემოქმედების რისკები, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოძალადე ოჯახის წევრი ან ოჯახთან დაახლოებული პირია. რიგ შემთხვევებში არ ხდება ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში მისი ოჯახიდან გაყვანა, რაც ზრდის ბავშვზე სავარაუდო ზემოქმედების რისკებს. 2022 წლიდან PHR იცავს არასრულწლოვანის ინტერესს, რომელიც დედის მეგობარი კაცის მხრიდან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არაერთხელ გახდა[15]. დედის მიმართ გამოიწერა შემაკავებელი და დამცავი ორდერი. ამის მიუხედავად, ქალი მაინც ახერხებდა შვილთან დაკავშირებას და ცდილობდა მასზე ზემოქმედებას მისივე მეგობარი მამაკაცის სასარგებლოდ ჩვენების შეცვლის მიზნით. ვინაიდან ქვეყანაში გავრცელებული პრაქტიკაა არასრულწლოვანებზე ზეგავლენა, მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებმა შეიმუშაონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვთა დაცვის ეფექტური ბერკეტები და უკვე გამოყენებული ღონისძიების შემთხვევაში გაამკაცრონ აღსრულების კონტროლი.

საქართველოში კვლავ პრობლემას წარმოადგენს ბავშვობის ასაკში ქორწინების საკითხი. 2022 წლის პირველ ნახევარში დაახლოებით 61 საქმეზე[16] დაიწყო გამოძიება არასრულწლოვანთან სავარაუდო ქორწინების მოტივით ჩადენილ დანაშაულებისთვის. რაც შეეხება სექსუალური ხასიათის შეღწევას თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველ პირთან[17], ძირითად შეთხვევებში სამართალდამცავ უწყებებს ინფორმაციას დანაშაულის შესახებ ეცნობათ მაშინ, როდესაც ორსულობის გამო, არასრულწლოვან-

15. ინფორმაცია ხელმისაწვდომია : https://bit.ly/450GVUj

16. ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში – არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები, გვ 15, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში 2022 წელს, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mcCXWR

17. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 140.

მა სამედიცინო დაწესებულებას მიმართა[18]. პრობლემას წარმოადგენს სამართალდამცავი უწყებების, სოციალური სამსახურებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების არაკოორდინირებული მოქმედებები, რაც ხელს უშლის დანაშაულთან ბრძოლას[19].

განათლების უფლება

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რიცხვმა საანგარიშო პერიოდში უმნიშვნელოდ მოიმატა და ამჟამად საქართველოს მასშტაბით 1 668 ადრეული და სკოლამდელი განათლების[20] დაწესებულება ფუნქციონირებს. ამ ტიპის დაწესებულებების მისაწვდომობის პრობლემა განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისათვის. მაგალითად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არც ერთ[21] თემში არ არის საბავშვო ბაღი[22]. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში 21 დასახლებაში[23] არ არის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების დაწესებულებები. რაც ცალსახად დისკრიმინაციულ ნიადაგზე არღვევს ბავშვების განათლების და განვითარების უფლებებს.

ამ მიმართულებით გამოიკვეთა რამდენიმე მთავარი პრობლემური საკითხი: 1) ტერიტორიული მისაწვდომობა, რადგან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების უმრავლესობაში არ ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. 2) ენობრივი დისბალანსი და ბილინგვური განათლების სიმცირე — მცირეა ისეთი საბავშვო ბაღები,

18. იქვე.
19. US State Department’s 2022 Country Reports on Human Rights Practices: Georgia, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3o1yHKw
20. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 263, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
21. გარდა დაბა თამარისა
22. საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022 წელი, გვ.27
23. იქვე.

რომლებიც ადგილობრივ თემებს შესთავაზებს ბილინგვური განათლების შესაძლებლობას. 3) შესაბამისი კადრების სიმცირე – საბავშვო ბაღების პერსონალი არ არის მომზადებული ეთნიკური უმცირესობების მოზარდებთან მუშაობისთვის.

რაც შეეხება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს, კვლავ მწვავეა იქ არსებული ინფრასტრუქტურის საკითხი. თუმცა, პოზიტიურად უნდა შეფასდეს მთავრობის ინიციატივა, რომელიც 800 სკოლის მშენებლობას და რეაბილიტაციას გულისხმობს.[24] გამოიკვეთა პრობლემა, რომელიც შეეხება მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერების მიზეზის სტატისტიკის წარმოებას[25]. საანგარიშო პერიოდში, გაორმაგებულია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელმაც სტატუსი „საზღვარგარეთ ოჯახთან ერთად გამგზავრების“ მიზეზით შეიჩერა[26]. რაც შესაძლებელია მიუთითებდეს, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე. ამასთანავე არასრულყოფილი სტატისტიკის გამო, შეუძლებელია დადგინდეს, რა რეალური მიზეზების გამო უხდებათ ბავშვებს მოსწავლის სტატუსის შეჩერება.

საერთაშორისო კვლევებით ასევე საატესტატო თუ ეროვნული გამოცდების შედეგების ანალიზით დასტურდება, რომ ეთნიკური უმცირესობათა სკოლებში მოსწავლეებს ნაკლებად აქვთ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა.[27]

■ სქესობრივი და რეპროდუქციული განათლება

ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმა შეიცავდეს ინფორმაციას

24. საქართველოს მთავრობის განცხადება ხელმისაწვდომია : https://bit.ly/3L9xbyR [ბოლო ნახვა: 18.04.2023]
25. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 264-265, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
26. იქვე.
27. საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 2022 წელი, გვ.33-52, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41Bqr2j

ბავშვის უფლებებზე, პირად სივრცესა და უსაფრთხოებაზე. სქესობრივი და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ზრდის ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის რისკებს და არღვევს ბავშვის ფუნდამენტურ უფლებებს.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა ეროვნული სასწავლო გეგმა სექსუალობის შესახებ განათლებასთან მიმართებით და ეს კომპონენტი კვლავ სუსტადაა წარმოდგენილი საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში[28]. საქართველოში მოქმედი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, არც ერთი ასაკობრივი კატეგორიისათვის[29] განკუთვნილ სასკოლო სახელმძღვანელოში არ არის ინფორმაცია სექსუალობისა და სექსუალური ქცევის შესახებ[30]. საგანგაშოა მონაცემი, რომლის მიხედვით, 9-12 წლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში 0%-ით არის წარმოდგენილი ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა ძალადობა და უსაფრთხოების შენარჩუნება, გენდერის აღქმა, სექსუალობა, სექსუალური ქცევა და რეპროდუქციული ჯანმრთელობა[31].

საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაში დამოუკიდებელ საგნად არ არის დანერგილი ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების პროგრამა, რომელიც ასაკის შესაბამისად მოსწავლეებს მიაწვდის ინფორმაციას სექსუალურ განათლებაზე. საანგარიშო პერიოდში მსგავსი ინფორმაცია ფრაგმენტულად იყო წარმოდგენილი სხვადასხვა საგანში[32]. საბოლოოდ, კვლევის შედეგად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმაში არასაკმარისადაა მოცემული ინფორმაცია ადამიანის სექსუალობის შესახებ. ტერმინები, როგორებიცაა „სექსუალური“, „სექსუალური განათლება“ და „სექსუალობა“ არ არის ნახსენები განათ-

28. „ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიმოხილვა საქართველოში“ 2022 წელი; დოკუმენტი ხელმისაწვდომია : https://bit.ly/3nYTJtm
29. კვლევა მოიცავს 5-18 წლის სკოლის მოსწავლეების ოთხ ასაკობრივ ჯგუფს;
30. იქვე.
31. „ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების მიმოხილვა საქართველოში“ 2022 წელი; გვ. 23; დოკუმენტი ხელმისაწვდომია : https://bit.ly/3nYTJtm
32. მე და საზოგადოება; ბუნება; ჩვენი საქართველო; ფიზიკური აღზრდა და სპორტი; ბიოლოგია; მოქალაქეობა;

ლების სისტემის დოკუმენტებში, მათ შორის, არც ეროვნულ სასწავლო გეგმაში[33]. თავის მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მიზეზი ქვეყანაში არსებული სტიგმაა, რის გამოც ამ საკითხების სასწავლო გეგმაში გათვალისწინებაზე საუბრის დაწყებაც კი პრობლემურია[34]. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უწყებების მიერ საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულების შესაცვლელად მნიშვნელოვანი ღონისძიებები არ ჩატარებულა.

ორგანიზაცია PHR-ის იურისტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ სრულფასოვანი განათლების უგულებელყოფით არღვევს ბავშვის უფლებებს[35]. PHR-მა, როგორც სპეციალური სტატუსის მქონე მოსარჩელემ, თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი[36], რომლითაც ითხოვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალოს ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეიტანოს ინკლუზიური სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხები. სარჩელის თანახმად, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სწავლება უნდა ეფუძნებოდეს სამეცნიერო მტკიცებულებებს. ინკლუზიური სექსუალური განათლება უნდა გახდეს სწავლების განუყოფელი ნაწილი[37].

ბავშვთა სახლები და დეინსტიტუციონალიზაცია

2022 წელს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი ბავშვებიდან ოჯახს მინდობით აღზრდის ქვეპროგრამიდან დაუბრუნდა 51 ბავშვი[38] მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან – 28, ხოლო დიდი ზომის დაწესებულებიდან – 40[39].

33. იქვე.
34. იქვე.
35. რადიო თავისუფლების სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3VYIJZG
36. რადიო თავისუფლების სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/44WtCnv
37. იქვე.
38. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.271-272, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
39. იქვე. საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ზრუნვაში ჯამში 346 ბავშვი განთავსდა.

საქართველოში კვლავ აგრძელებს ფუნქციონირებას საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება – ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს რომ 2022 წელს მოხდა დიდი ზომის დაწესებულების „წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის“ დეინსტიტუციონალიზაცია და წლის ბოლოს დაწესებულებაში მხოლოდ 4 აღსაზრდელი ირიცხება. ამავე პერიოდში, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში ირიცხება 10 აღსაზრდელი[40].

სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში[41] ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში წლების განმავლობაში მიმართავდნენ ბავშვთა მიმართ წამებასთან და არაადამიანურ მოპყრობასთან გათანაბრებულ მოქმედებებს. სახელმწიფოს მხრიდან კვლავ არაეფექტურია რეაგირება ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში გამოვლენილ ძალადობის ფაქტებზე. მიმდინარე გამოძიება არ აკმაყოფილებდა ობიექტური და მიუკერძოებლობის ძირითად სტანდარტებს[42]. PHR სამართლებრივ დახმარებას უწევს ნინოწმინდის პანსიონის ყოფილ აღსაზრდელებს. ისინი პანსიონში ცხოვრების პერიოდში პერსონალისა და აღმზრდელების მხრიდან ექვემდებარებოდნენ ძალადობას. აღნიშნულ ფაქტებზე, გამოძიება 2021 წლის 3 ივნისს დაიწყო. თითქმის ორი წლის გასვლის შემდეგ სახელმწიფოს ამ დრომდე დაზარალებულად არ უცნია პანსიონში ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარები, რაც ამ კატეგორიის საქმეებში უპრეცედენტოდ არაგონივრული ვადაა. არაერთი მტკიცებულებისა და მოწმის ჩვენების მიუხედავად, გამოძიებას ამ დრომდე არ გამოუვლენია ის პირები,

2022 წელს სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი 119 ბავშვი დაუბრუნდა ბიოლოგიურ ოჯახს.

40. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.272-273, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV

41. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონის აღსაზრდელთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, 2021; დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3M4poSf

42. იქვე.

რომლებიც წლების განმავლობაში სისტემატურად ძალადობდნენ ნინოწმინდის პანსიონში მცხოვრებ ბავშვებზე. ამასთანავე, ამ დრომდე არ დამდგარა არც ერთი პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს გამოძიების არაეფექტურობაზე და ეჭვქვეშ აყენებს ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას.

PHR-მა 2021 წლის ივნისში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა მოთხოვნით, საქართველოს მთავრობას, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დაევალოს დიდი ზომის პანსიონური ტიპის ყველა დაწესებულების სამუდამოდ დახურვა, დეინსტიტუციონალიზაცია და ამჟამად იქ მაცხოვრებელი ბავშვებისთვის ზრუნვის ფორმის ცვლილება. თუმცა აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს პროცესი ამ დომდე არ დაუწყია.

2022 წელს შემუშავდა დეისნტიტუციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მოხდება ბავშვთა ზრუნვის დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაცია და ბავშვების ოჯახთან მიმსგავსებული ალტერნატიული მზრუნველობის სერვისებში გადაყვანა.

ბავშვთა სიღარიბე

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერის კომპონენტები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულადი დახმარება და მუნიციპალური პროგრამები არაა საკმარისი ბავშვიანი ოჯახების სიღარიბის პრობლემის გადასაჭრელად. კვლავ გამოწვევად რჩება ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებაზე ორიენტირებული სერვისების შემუშავება და უკვე შემუშავებული პროგრამების ეფექტური ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში მკვეთრად მოიმატა საარსებო შემწეობის მიმღე-

ბი არასრულწლოვანების რიცხვმა. კერძოდ, 2021 წელთან შედარებით 40%-ით[43] გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში ბავშვების რაოდენობა. თუმცა, სოციალური შემწეობა ხშირად ვერ უზრუნველყოფს ბავშვიანი ოჯახებისთვის ღირსეულ საცხოვრისს, ჯანდაცვის სერვისებს, საკვებსა და პირველადი საჭიროების ნივთებს. უკიდურესი სიღარიბის პირობებში ბავშვებს უხდებათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში სამუშაოს შესრულება[44] .

ბავშვთა სიღარიბეზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია ბავშვის ოჯახიდან განცალკევების შემთხვევები, რაც გამოწვეულია მშობლის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით, საცხოვრებლის და სტაბილური შემოსავლის არქონით[45]. საერთაშორისო კანონმდებლობა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ბავშვის ოჯახიდან გამოყვანასთან დაკავშირებით კონკრეტულ მოთხოვნებს უწესებს სახელმწიფოს[46] და კრძალავს სიღარიბის გამო ბავშვის ოჯახისგან განცალკევებას. ადგილობრივი კანონმდებლობით, ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსება უკიდურესი ზომაა[47]. ამ საკითხზე PHR-ს დასახმარებლად მიმართა ორმა არასრულწლოვანმა, რომლებიც სახელმწიფომ ბიოლოგიური ოჯახიდან მინდობით აღზრდაში სწორედ ოჯახში არსებული უკიდურესი სიღარიბის გამო გადაიყვანა, სადაც მათ 2 წელზე მეტი გაატარეს. სიღარიბის მიუხედავად, ბავშვებს სურდათ მშობლებთან და უმცროს ძმასთან დაბრუნებულიყვნენ. PHR-მა სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ბავშვები ოჯახში დაბრუნებულიყვნენ. სასამართლომ უკანონოდ ცნო სახელმწიფოს გადაწყვეტილება ბავშვების ბიოლოგიური ოჯახიდან გაყვანის შესახებ. ამის შემდეგ PHR-მა და ბავშვებმა კიდევ ერთი სარჩელი შეიტანეს სასამართლოში და მოითხოვეს ზიანის ანაზღაურება. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით

43. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.270, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV

44. იქვე.

45. იქვე.

46. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება Wallova and Walla v. Czech Republic

47. საქართველოს კანონი ბავშვის უფებათა კოდექსი მუხლი 29 მეხუთე პუნქტი;

PHR-ის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და სახელმწიფოს ზიანის ანაზღაურება დაეკისრა 35 000 ლარის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისთვის პირველი ინსტანციის სასამართლოში დააბრუნა.

ბავშვთა სიღარიბესთან ბრძოლის ჭრილში, უდიდესი გამოწვევას წარმოადგენს პრაქტიკა, რომელიც დღეს მოქმედ სოციალური დახმარების სისტემაში არსებობს. კერძოდ, სტანდარტის შესაბამისად, 16 წლის ასაკის შესრულების შემდეგ ბავშვი გამოირიცხება პირდაპირი ფულადი დახმარების მიმღებთა სიიდან[48]. ამასთანავე, ქალაქ თბილისის მერიის დაფინანსების ქვეშ არსებული უფასო სასადილო პროგრამა არ ითვალისწინებს 6 წლამდე ბავშვების კვებით უზრუნველყოფას[49].

აქვე, რთულია სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი პირობები. ხშირად მათ ხელი არ მიუწვდებათ პირველად საჭიროების ნივთებზე და საჭირო ავეჯზე[50]. სახელმწიფოს მხრიდან სოციალურ საცხოვრისებში ფართის განაწილების პროცესში გათვალისწინებული არ არის ოჯახში ბავშვების რაოდენობა, მათი ასაკი და პირადი სივრცის ქონის შესაძლებლობა. თბილისის სოციალურ საცხოვრისში ცხოვრების პირობებს ართულებს ბუნებრივი აირის არქონა, რის გამოც ბავშვიანი ოჯახებისთვის იზრდება ელექტროენერგიის მოხმარების საჭიროება. სახელმწიფო მხოლოდ ზამთრის თვეებში ფარავს კომუნალურ გადასახადებს. სახელმწიფოს ამ დრომდე არ აქვს პროგრამა, რომელიც სოციალურ საცხოვრისში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისთვის მუდმივი საცხოვრებლის გადაცემას გაითვალისწინებს.

48. მიზნობრივი სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №225. ბრძანების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

49. სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისათვის საქართველოში, გვ.18, კოალიცია თანასწორობისთვის, 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40UWRF0

50. სოციალური დაცვის სისტემის ძირითადი გამოწვევები სხვადასხვა დაუცველი ჯგუფებისათვის საქართველოში, გვ.18, კოალიცია თანასწრობისთვის, 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/40UWRF0

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვები

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით 2021 წელს 152 ბავშვს დაესვა ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი[51]. 2015-2020 წლებში სიმსივნის მიზეზით გარდაიცვალა 17 წლამდე ასაკის 169 ბავშვი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სტატისტიკა არ მოიცავს საზღვარგარეთ გარდაცვლილი ბავშვების რიცხვს[52].

ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვის მკურნალობისათვის საჭირო საშუალო ხარჯი 100 000 ევროა[53]. საქართველოში ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის დაფინანსების წლიური ლიმიტი ბავშვებისთვის 23 000 ლარია, ხოლო საზღვარგარეთ მკურნალობის შემთხვევაში – 10 000 სავალუტო ერთეული ეკვივალენტი[54]. უნდა ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში არსებული დაფინანსება ფარავს ბავშვის სასიცოცხლო აუცილებელი სამედიცინო დახმარების მხოლოდ 10%-ს. ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვების მკურნალობის არასაკმარისი დაფინანსების გამო, ისინი ვერ სარგებლობენ მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურეობით და სიცოცხლისთვის აუცილებელი სამედიცინო პროცედურებით, რაც არღვევს ბავშვის ჯანმრთელობის უფლებას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2022 წლის 2 მარტს წარმოებაში მიიღო PHR-ის სარჩელი, რომლითაც ორგანიზაცია ითხოვს ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისათვის დაფინანსების გაზრდას. ქვეყანაში არსებული არასაკმარისი დაფინანსებისა და სერვისების გამო PHR სახელმწიფოსგან ითხოვს, სრულად დაფინანსდეს ბავშვების მკურნალობა, როგორც საქართველოს სამედიცინო ცენტრებში, ასევე საზღვარგარეთის კლინიკებში. საკითხზე მუშაობისას გამოვლინდა, რომ მკურნალობის პროცესში ბავშვებს არ აქვთ სამედიცინო „მეორე აზრის“ მოპოვების საშუალება. გეოგრაფიული მისაწვდომობის პრობლემა აღმოჩნდა დამატებითი დაბრკოლება, რადგან ბავშვიან ოჯახებს უწევდათ ხანგრძლივად

51. ბავშვები და მოზარდები საქართველოში; 2022 წელი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/42zY9WP
52. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/430r2eF
53. იქვე.
54. იქვე.

თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლა, რაც ზრდიდა ხარჯებს. PHR-მა სარჩელით მოითხოვა, გაიზარდოს კლინიკების გეოგრაფიული მისაწვდომობა და გაიხსნას ონკო ცენტრები რეგიონებში, ბავშვებს მკურნალობის პროცესში ჰქონდეთ მეორე აზრის მოპოვების შესაძლებლობა.

PHR-ის სარჩელთან დაკავშირებით, საანგარიშო პერიოდში სასამართლოს არც ერთი სხდომა არ ჩაუნიშნავს. შესაბამისად, ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების სარჩელზე სასამართლო განხილვები 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით არ დაწყებულა.

2023 წლის 24 აპრილს პრემიერ მინისტრმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ სახელმწიფო სრულად დააფინანსებს ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვების მკურნალობას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. ასევე უზრუნველყოფს მგზავრობის, ცხოვრების და ყველა სხვა საჭიროების სრულ დაფინანსებას[55]. თუმცა, ამ დრომდე არ არსებობს სამართლებრივი გარანტიები, რადგან არ შეცვლილა დაფინანსების მოქმედი პროგრამა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მიზნით, ბავშვთა უფლებებზე და დასჯის ძალადობრივი ფორმების აკრძალვაზე საზოგადოების აქტიური ინფორმირება და საზოგადოების დამოკიდებულების და/ან ქცევის ცვლილებისთვის სტრატეგიის შემუშავება;
- სპეციალისტთა გადამზადების შემდეგ, ბავშვთა მიმართ ძალადობის სწრაფი იდენტიფიცირებისა და პრევენციის მიზნით, მოხდეს მათი უნარებისა და ცოდნის უწყვეტი უზრუნველყოფა და პროგრესის შემოწმება;

55. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/news/356977?page=&year= [ბოლოს ნანახია 30.06.23]

- მოხდეს დიდი ზომის ყველა, მათ შორის რელიგიური თემის მართვის ქვეშ მყოფი, ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაცია;
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, უფრო ეფექტური გახდეს დედათა და ბავშვთა თავშესაფრებით უზრუნველყოფის, ასევე, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა და შემუშავდეს სერვისის, ეფექტიანობის შეფასებისა და ეტაპობრივად გაძლიერების გეგმა;
- სახელმწიფომ სრულად დააფინანსოს ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობის ხარჯები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის სამედიცინო ცენტრებში. ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისთვის გაიზარდოს სათანადო სამედიცინო დაწესებულების გეოგრაფიული მისაწვდომობა, მათთვის შესაძლებელი იყოს სამედიცინო „მეორე აზრის“ მიღება.

საგამოძიებო ორგანოებს:

- მოხდეს ეფექტური და სწრაფი გამოძიება ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში გამოვლენილ ძალადობის ფაქტებზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს“

- გადამზადდნენ საჯარო სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეებისთვის კი ჩატარდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე და რეფერირების ვალდებულების შესახებ;
- მოხდეს დეტალური სტატისტიკის წარმოება, რაც მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა/შეჩერების მიზეზების დეტალური იდენტიფიცირების შესაძლებლობას გააჩენს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეიცვალოს ჩანაწერი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N225/ნ-ის მე-16 მუხლში, რომელიც 16 წელს მიღწეულ ბავშვს გამორიცხავს შემწეობის მიმღებთა კატეგორიიდან და ასაკობრივი ზღვარი გაიზარდოს 18 წლამდე;
- გადამზადდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დასაქმებული პირები აღსაზრდელთა რთული ქცევის, ემოციური გამწვავების პრევენციისა და მართვის, ასევე, თითოეულ სახლში, არასრულწლოვანებთან მუშაობისას გამოვლენილ სხვა სპეციფიკურ თემატიკაზე.

თბილისის მერიას

- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსებული უფასო სასადილოების პროგრამა შეიცვალოს და მომსახურებით სარგებლობის უფლება მიეცეს 1-დან 6 წლამდე ბავშვებსაც.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის[56], რომლის ერთ-ერთი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდაა არა მხოლოდ სამართლებრივად, არამედ ფაქტობრივად, გონივრული მისადაგების პრინციპების მხედველობაში მიღებით[57]. თუმცა, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებელ ორგანოებს, მათ შორის, საქართველოს პარლამენტს, საანგარიშო პერიოდში არ დაუმტკიცებია შშმ პირთა უფლებების შესახებ სამოქმედო გეგმა[58].

საანგარიშო პერიოდში კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობის დაცვა წარმოადგენდა. გასული წლების მსგავსად, პრობლემად რჩება ფიზიკური ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, ინფორმაციის და მომსახურების მისაწვდომობის ნაკლებობა[59].

არ შეინიშნება პოზიტიური დინამიკა დასაქმებისა და შრომის უფლების რეალიზაციის კუთხით, კვლავ პრობლემად რჩება სამუშაო ადგილებზე შშმ პირთა დისკრიმინაცია, როგორც შრომით, ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში. მწვავეა შშმ პირთა უმუშევრობის პრობლემა[60].

საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევას წარმოადგენდა ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა. სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის თანახმად, შშმ პირთა უფლებების აღსრულების ნა-

56. საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადება ხელმისაწვდომია : https://bit.ly/3pHv9hg
57. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის;
58. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 257, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
59. იქვე.
60. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება, 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ocksCs

წილში ხარვეზია საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო დაწესებულებაში. განსაკუთრებით თვალშისაცემია საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალისტთა სიმცირე და არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა.

შრომისა და დასაქმების უფლება

საქართველოს „შრომის კოდექსი“ კრძალავს ყველა სახის დისკრიმინაციას როგორც შრომით, ისე წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში[61], რაც თავისთავად გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვას. ამის მიუხედავად, დასაქმებული შშმ პირებისთვის გამოწვევას წარმოადგენს დამსაქმებლებისა და თანამშრომლების მხრიდან გამოვლენილი დისკრიმინაციის ფაქტები. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, რომელიც შშმ პირთა შრომისა და დასაქმების უფლებას შეეხება, რესპონდენტები ჰყვებიან, რომ ხშირად გამხდარან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლნი[62]. სამუშაო ადგილზე შშმ პირების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა გამოიხატება როგორც აგრესიაში, უხეშობასა და უპატივცემულობაში, ასევე სიბრალულში და გონივრული მისადაგების უფლების დარღვევაში.

შშმ პირთა დასაქმების მდგომარეობა დღემდე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქვეყანაში. მომუშავე შშმ პირებს შორის უმრავლესობა არასამთავრობო სექტორშია დასაქმებული. 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით[63] საჯარო სექტორში დასაქმებული შშმ პირების რიცხვი 235-ს შეადგენს[64].

დადებითად უნდა შეფასდეს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება,

61. საქართველოს „შრომის კოდექსი“ მუხლი 2
62. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება, გვ.44-45, 2022 წელი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ocksCs
63. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 252-263, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV
64. იქვე. პროფესიული საჯარო მოხელე- 76; მენეჯერული თანამდებობა- 30; ხელშეკრულებით დასაქმებული- 159.

სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ პირებს შეეძლოთ ერთდროულად ანაზღაურებისა და სოციალური პაკეტის (პენსიის) მიღება, რასაც წინ უძღოდა სახალხო დამცველის რეკომენდაცია და არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნა. ამასთანავე, 2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მიზანი არის მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის შშმ პირებისთვის, დასაქმების ხელშეწყობა. თუმცა, უცნობია, რამდენად ეფუძნება დასაქმების ხელშეწყობის ეს მექანიზმი ჯგუფების საჭიროებების კვლევას[65]. ამ ყველაფრის მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით მნიშვნელოვანი გაუმჯობესება არ შეინიშნება. ყველა ის ნაბიჯი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არის გადადგმული, ნაკლებად ეფექტურია და დროებითია. მსგავსი მიდგომების ფონზე, შშმ პირები სამსახურის დაწყების შემდეგაც დგანან მისი დაკარგვის საშიშროების წინაშე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს(შემდგომში ჯანდაცვის სამინისტროს) დაქვემდებარებაში არსებული დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა ხელი შეუწყოს შშმ პირთა დასაქმებას. თუმცა, სააგენტოს სერვის-ცენტრების რაოდენობა არასაკმარისია და გეოგრაფიულად ვერ ფარავს ქვეყნის დიდ ნაწილს.

საანგარიშო პერიოდში, სამუშაოს მაძიებელ პირთა რაოდენობა, წინა წლების მსგავსად, აღემატება დასაქმებულთა რიცხვს[66]. დღემდე პრობლემად რჩება, პოტენციური დამსაქმებლების მასტიგმატიზირებელი შეხედულებები და არასწორი ინფორმირება გონივრული მისადაგების[67] ზომე-

65. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება, გვ.30, 2022 წელი, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ocksCs

66. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 252-263, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV

67. პრინციპი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ იწვევს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვებთან თანაბარ პირობებში;

ბის გამოყენებასთან მიმართებით. ხოლო კერძო სექტორის წახალისების მიზნით სახელმწიფოს მცდელობები მინიმალურია.

შშმ პირების დასაქმებას ართულებს მათი დაბალი კვალიფიკაცია. ხშირად, ბარიერების გამო, ისინი ვერ ახერხებენ სათანადო საშუალო, უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიღებას. დასაქმების ბარიერებთან ერთად, შშმ პირებისთვის დამატებით დამაბრკოლებელი გარემოება გარემოს და პროგრამების მიუწვდომლობაა. პრობლემას წარმოადგენს საჯარო ტრანსპორტის გამოყენებაც, ეტლით მოსარგებლეებისთვის ქალაქში პანდუსების არარსებობა, უსინათლოებისთვის შუქნიშნების ადაპტირების პრობლემა და სხვა მრავალი დეტალი, რომელიც გაცილებით უფრო თვალსაჩინოა რეგიონებში. ამ ყველაფერს ემატება სამუშაო ადგილებზე არაადაპტირებული გარემო. სწორედ ამ მიზეზების გამო, შშმ პირები ხშირად უპირატესობას ანიჭებენ სახლიდან მუშაობას და ისეთ სფეროში დასაქმებას, რომლებიც ამის შესაძლებლობას იძლევა. სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში, რესპონდენტები მიუთითებენ, რომ მათ არ აქვთ არჩევანი და უწევთ დასაქმდნენ იქ, სადაც შესაძლებლობას მიცემენ[68].

ინკლუზიური განათლება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ ხაზს უსვამს შშმ პირთათვის განათლების უფლებას რეალიზაციის მნიშვნელობას[69]. კონვენციის თანახმად განათლების უფლების დისკრიმინაციის გარეშე და თანაბარ პირობებში რეალიზაციისთვის, უნდა დაინერგოს ინკლუზიური განათლების სისტემა, რომელიც იქნება ყველასათვის თანაბრად მისაწვდომი და ხარისხიანი.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადგილობრივი კანონმდებლო-

68. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება, გვ.46, 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ocksCs

69. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მუხლი 24;

ბის მიერ დაწესებული სტანდარტების მიუხედავად, საანგარიშო პერიოდში კვლავ გამოწვევას წარმოადგენდა ინკლუზიური განათლების მისაწვდომობა და უწყვეტობა. პრობლემა ნათელია ყველა ტიპის საგანმანათლებლო თუ სააღმზრდელო დაწესებულებაში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები განიცდიან ინკლუზიური განათლების სპეციალისტთა სიმცირეს, რაც განსაკუთრებით შეიმჩნევა რეგიონებში[70]. ამასთანავე, სრულად არ არის გამართული ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურა, რაც კიდევ უფრო ამცირებს შშმ ბავშვებისთვის იქ მოხვედრის შესაძლებლობას. ყველაფერს თან ერთვის აღმზრდელთა კვალიფიკაციის სიმცირე. სახელმწიფოს მიერ ინკლუზიური განათლების მიმართულებით 2022 წელს ჩატარდა 27 ტრენინგი[71]. ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მონიტორინგი 53 მუნიციპალიტეტიდან ჩატარდა 11 მათგანში, რაც არასაკმარისია.

ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და სპეციალისტთა სიმცირე პრობლემაა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებშიც. გამოწვევაა შშმ სტატუსის მქონე ყველა ბავშვის ჩართვა საგანმანათლებლო პროცესში. საანგარიშო პერიოდში სკოლის მიღმა დარჩა 611 შშმ ბავშვი[72]. ასევე ხშირია სწავლის მიტოვების შემთხვევები. საბაზო საფეხურის დასრულებამდე სწავლა შეწყვიტა 221 სსსმ/შშმ მოსწავლემ, ხოლო, საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ – 378 სსსმ/შშმ მოსწავლემ.

რაც შეეხება პროფესიულ განათლებას. დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში მიმდინარე 4 ახალი უნივერსალური სტანდარტის პრინციპით მოწყობილი კოლეჯის მშენებლობა[73], რომელთაგან სამი უკვე

70. სპეციალისტების მოძიება უჭირთ შემდეგ რეგიონებში: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჭიათურაში, ტყიბულში, დუშეთში, თიანეთში, ახალციხეში, ახმეტაში, გორში, გურჯაანში, მარნეულში, დუშეთში, სიღნაღში, ხარაგაულში, მესტიაში, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურში.

71. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 249-252, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV

72. იქვე.

73. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 249-252, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV

დასრულდა[74]. თუმცა, გეოგრაფიული დაფარვა მაინც არ არის საკმარისი. 2022 წელს პროფესიულ პროგრამებზე სასწავლებლად ჩაირიცხა 263 სსსმ პირი[75]. პრობლემად რჩება ზოგადი განათლების დამდასტურებელი დოკუმენტის არარსებობის გამო სსსმ/შშმ პირების პროფესიული განათლების მიღმა დატოვების საკითხიც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული სსსმ სტუდენტების საჭიროებების ანალიზს, თუმცა, საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებულა კვლევა[76], რომელიც დაადგენდა, რა ბარიერების გამო ვერ ახერხებენ შშმ სტატუსის პირები, ზოგადი საფეხურის დასრულების შემდეგ სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებლებში. ისევე, როგორც ყველა საფეხურზე, უმაღლეს სასწავლებლებშიც გამოწვევას წარმოადგენს არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, უნივერსიტეტის ვებგვერდების გამართვა და სტუდენტებისათვის სწავლების რესურსების მისაწვდომობის საკითხი.

მისაწვდომობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების რეალიზაციისათვის მისაწვდომობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკურ გარემოზე, ტრანსპორტირებასა და ინფორმაციის მისაწვდომობა ქვეყანაში პრობლემური საკითხია, რის გამოც შშმ პირები ვერ სარგებლობენ კონვენციით გათვალისწინებული უფლებების სრული სპექტრით. შშმ პირებისთვის ფიზიკური მისაწვდომობის უგულებელყოფა დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აყენებს მათ. ამ საკითხთან მიმართებით, კვლავ პრობლემურია შშმ პირებისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის, სოციალური სივრცეების, ინფრასტრუქტურის იმგვარი მისაწვდომობა, რომ შეუფერხებლად შეძ-

74. დასრულდა: წყალტუბოს, ლანჩხუთისა და ხაშურის კოლეჯების მშენებლობა. მიმდინარეობს- ბორკომის

75. იქვე.

76. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 252, საქართველოს სახალხო დამცველი, 2022, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/439eRwV

ლონ საკუთარი უფლებების რეალიზება. ამრიგად, შშმ პირებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისები კვლავ მიუწვდომელია. პრობლემა იკვეთება დედაქალაქში ახლად რეაბილიტირებული ქუჩების უნივერსალურ დიზაინთან[77] შესაბამისობასთან.

2021 წელს ძალაში შევიდა ტექნიკური რეგლამენტი „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“[78], რომლის თანახმადაც პირადი საცხოვრებელი სახლების გარდა ყველა სხვა შენობა-ნაგებობა ან/და სხვა ინფრასტრუქტურული ერთეული უპირობოდ უნდა აკმაყოფილებდეს ყველა კატეგორიის ფიზიკური შესაძლებლობების მქონე პირის საჭიროებებს. თუმცა, კრიტიკულად უნდა შეფასდეს ჩანაწერი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ მისაწვდომობისათვის საჭირო ღონისძიებების დაჩქარების ნაცვლად, მოქმედებების ვადა 2035 წლის ბოლომდე განსაზღვრა[79], რაც უპრეცედენტოდ არაგონივრული თარიღია. სახელმწიფოს ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აზიანებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გარემოს მისაწვდომობის პროცესებს. ამასთანავე კრიტიკულია სახელმწიფოს გადაწყვეტილება, რომ, შშმ და ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები სათანადოდ არ იყვნენ ჩართულნი სტრატეგიული ხელმისაწვდომობის დოკუმენტების მომზადებასა და გადაწყვეტილების მიღებაში[80].

2022 წელს სახელმწიფოს არ დაუმტკიცებია მისაწვდომობის ერთიანი

77. გულისხმობს პროდუქტის, გარემოს, პროგრამებისა და მომსახურების ისეთ დიზაინს, რომელიც ყველა ადამიანის აძლევს მისი მაქსიმალური გამოყენების საშუალებას, ადაპტაციისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების აუცილებლობის გარეშე. „უნივერსალური დიზაინი“ არ გამორიცხავს საჭიროების შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების გამოყენებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 2.

78. საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის №732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ დამტკიცების თაობაზე, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GdtBQQ

79. საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების უფლებების შესახებ; მუხლი 37 მესამე პუნქტი „გ“ ქვეპუნქტი;

80. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველი, 2021

გეგმა[81], რაც შშმ პირებისათვის უზრუნველყოფდა წვდომას ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებ გვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე. რაც თავის მხრივ, ხელს უშლის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტის ეფექტურ აღსრულებას.

სასამართლო ინფრასტრუქტურა ამ დრომდე არ არის სრულად ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებზე, რაც თავის მხრივ არღვევს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მე-13 მუხლს, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფომ მართლმსაჯულების საწყისი ეტაპიდან უნდა უზრუნველყოს ეფექტური მისაწვდომობა ყველა ტიპის საჭიროების მქონე პირთათვის. საქართველოში არსებული სასამართლოების უმეტესობა არ არის დაკავშირებული საზოგადოებრივ ტრანსპორტთან, რაც დამატებითი ბარიერია შშმ პირთათვის. ასევე შენობები ვერ აკმაყოფილებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებს, ხშირ შემთხვევაში ინფრასტრუქტურა გაუმართავია და არ არის ადაპტირებული. ამასთანავე ადაპტაციის პრობლემაა უშუალოდ სასამართლო დარბაზებში, რაც ართულებს შშმ პირის სასამართლო დარბაზი მოწმედ გამოცხადებას, ჩვენების მიცემას და შესაბამისად, მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ჩართულობას[82]. ამ პრობლემის სისტემური ცვლილებისთვის სახელმწიფოს ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

საანგარიშო პერიოდში არ შეცვლილა დისკრიმინაციული ჩანაწერი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლში, რომელიც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებს არ აძლევს უფლებას სასამართლოში დაამტკიცონ თავიანთი უდანაშაულობა. ამის ნაცვლად, ეს პირები იძულებულნი არიან გაიარონ ფსიქიკური ჯანმრთელობის იძულებითი მკურნალობა. შესაბამისად, შშმ სტატუსის მქონე პირის უდანაშაულობის საკითხზე სასამართლო განხილვას სამართლებრივი შეფასების გარეშე წყვეტს. ეს არღვევს უდანაშაულობის პრეზუმ-

81. „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის, 2022 წლის სპეციალური ანგარიში, დოკუმენტი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MO8469

82. Report on the Implementation of the Convention on the Rights of Persons with Disabilities in Georgia, p. 8, Social Justice Center , Partnership for Human Rights (PHR), Movement Accessible Environment for Everyone (MAEE), https://bit.ly/4346fXG

ფციას და იწვევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თავისუფლების უკანონო შეზღუდვას. უფრო მეტიც, იძულებითი მოპყრობის ნორმა არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება გაეროს შშმ პირთა უფლებათა კომიტეტის სტანდარტს[83].

საანგარიშო პერიოდში PHR ჩაერთო საქმეში, რომელიც შეეხება ბრალდებულის სტატუსის მქონე შშმ ქალს. მას არ მიეცა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის შესაძლებლობა და სასამართლოს მიერ იძულებით განთავსდა სამკურნალო დაწესებულებაში.

2022 წლის 29 მარტს PHR ჩაერთო შშმ ქალის საქმეში, რომელიც 2022 წლის 16 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლომ დისკრიმინაციული ნორმატიული ჩანაწერის საფუძველზე, ხონის ფსიქიატრიულში იძულებით მკურნალობის მიზნით გააგზავნა. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ეყრდნობა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც, თავის მხრივ, დისკრიმინაციულია. კონკრეტული ქცევა, რომელიც სხვა შემთხვევაში შემთხვევაში ნორმად ითლება, შშმ ქალს ფსიქიკური აშლილობის სიმპტომად ჩაუთვალეს[84]. იძულებით სამკურნალო დაწესებულებაში მყოფ ქალთან კომუნიკაციის შემდეგ PHR-მა მიმართა ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებას ქალისათვის ვადამდელი შეფასების ჩატარებაზე, რათა მას მოკლე დროში დაეტოვებინა ფსიქიატრიული დაწესებულება და იძულებითი მკურნალობა, რაზეც დაწესებულებამ უარი განაცხადა. 2022 წლის პირველ აპრილს ადვოკატებმა ამავე მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს. სასამართლოს არ გამოუხატავს სურვილი, გასაუბრებოდა ქალს, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატები ითხოვდნენ ზეპირ განხილვას, რა დროსაც მოსამართლეს უშუალოდ მისგან შეეძლო გაეგო, სად არის ქალი მოთავსებული და რა ხდებოდა სინამდვილეში. სასამართლომ არ დააკმაყოფილა PHR-ის მოთხოვნა და ქალი იძულებითი მკურნალობის მიზნით ხონის ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დატოვა. ეს საქმე ცხადყოფს ქვეყანაში არსებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკას, რომელიც არღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას, შშმ პირებს ართმევს

83. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია; მუხლი 12 და 13

84. ირმა მანუკიანის საქმე; PHR; https://bit.ly/456xClC

შესაძლებლობას, ამტკიცონ უდანაშაულობა და ამავე დროს იძულებით ათავსებს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

აბილიტაცია და რეაბილიტაცია

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის 26-ე მუხლი ადგენს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შშმ სტატუსის მქონე პირთა მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევისა და გამოყენების შესაძლებლობა. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სარეაბილიტაციო და სააბილიტაციო სამსახურებისა და პროგრამების გაძლიერება, ასევე იქ დასაქმებული სპეციალისტებისა და პერსონალის განათლება და სისტემატური გადამზადება; მსგავსი ტიპის სარეაბილიტაციო და სააბილიტაციო პროგრამების მისაწვდომობა ყველა ფორმის შეზღუდვის მქონე პირთათვის.

საანგარიშო პერიოდში, შშმ პირთა რეაბილიტაციისა და აბილიტაციის არც ამჟამინდელ და არც დაგეგმილ სტრატეგიებში არ შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის რეაბილიტაცია არის უმთავრესი პირობა, რათა დაცული იყოს მათი ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის და დამოუკიდებლად ცხოვრების უფლება, თუმცა, ქვეყანაში არსებული სარეაბილიტაციო პროგრამები უმეტეს შემთხვევებში ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს და შშმ პირთა საჭიროებებს.

ამის თვალსაჩინო მაგალითია არასრულწლოვანი ლუკას საქმე, რომელიც PHR-თან ერთად მისი უფლებების დასაცავად სასამართლოში იბრძოდა[85]. ლუკას შემთხვევაში აუტიზმის დიაგნოზს თან ერთოდა რთული ქცევა. ის საზოგადოებაში ადაპტაციისა და სრული ფუნქციონირებისათვის საჭიროებდა სარეაბილიტაციო პროგრამებს, თუმცა ქვეყანაში არსებულმა არც ერთმა დღის ცენტრმა თუ სპეციალიზებულმა დაწესებულებამ ვერ მიაწოდა ბავშვს მისი საჭიროებების შესაბამისი სერვისი.

85. რადიო თავისუფლების სტატია : https://bit.ly/42MpBkh

ლუკას პირადი უსაფრთხოებისა და ქვეყანაში ბავშვისთვის საჭირო სარეაბილიტაციო პროგრამის არარსებობის გამო, მშობლები იძულებული გახდნენ ლუკა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოეთავსებინათ, სადაც ის განიცდიდა იზოლაციით და ოჯახისგან იძულებით დაშორებით გამოწვეულ ტანჯვას. მას სურდა დაეტოვებინა ფსიქიატრიული დაწესებულება და დაჰერთვოდაბრუნებოდა ოჯახს.

PHR-მა და ლუკამ სასამართლოს მიმართეს მოთხოვნით, ქვეყანაში ლუკას დიაგნოზის მქონე ბავშვებისათვის სპეციალური სარეაბილიტაციო სერვისი შექმნამდე, სახელმწიფოს დავალებოდა, ბავშვებისთვის შესაბამისი კვალიფიკაციის პერსონალური ასისტენტის გამოყოფა. სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა[86], რითაც აღიარა, რომ ქვეყანაში არსებობს რეალური პრობლემა შშმ სტატუსის მქონე პირებისთვის სათანადო პროგრამების არარსებობის კუთხით. ამასთანავე ლუკას პერსონალური ასისტენტი დაენიშნა მანამ, სანამ სახელმწიფო არ შექმნიდა სათანადო სარეაბილიტაციო სერვისს.

ამ გადაწყვეტილებამ შექმნა პრეცედენტი, რომელმაც, ერთი მხრივ, ხელი შეუწყო სერვისების დროულად შექმნას და გაძლიერებას და ამავე დროს შშმ პირებს მისცა შესაძლებლობა, მოახდინონ კონვენციით მინიჭებული უფლებების რეალიზება.

ზემოთ განხილულ ყველა საკითხთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, დღეს საქართველოში შშმ პირის სტატუსის განმსაზღვრელი სისტემა არსებობს, რომელიც არღვევს გაეროს შშმ პირთა კონვენციას და შშმ პირთა კომიტეტის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც სტატუსის არქონამ, არ უნდა შეუზღუდოს შშმ პირს რაიმე სერვისის ან სხვა სარგებლის მიღება[87]. თუმცა, საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემად რჩება სტატუსის არმქონე შშმ პირებისათვის სერვისებისა და საჭირო პროგრამების მიწოდება.

86. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3okCsLk

87. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის სტატია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OhKdwp

რეკომენდაციები

საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებას:

- მოხდეს დეტალური სტატისტიკის წარმოება, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფო შეიმუშავებს ინკლუზიური განათლების განვითარების გეგმას;
- სახელმწიფოს მხრიდან მისაწვდომობის ღონისძიებების შესრულების ვადა 2035 წლის ნაცვლად შემცირდეს და შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს გეგმის წარდგენა;
- შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს ისეთი შენობა-ნაგებობების დროული ადაპტირება, რომელიც შშმ პირთათვის პირველად საჭიროებას წარმოადგენს; პოლიციის, სასამართლოს და უფასო იურიდიული დახმარების სამსახურების ყველა შენობა ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირებისთვის. მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისას, როგორც ფიზიკური გარემოს, ასევე ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გასაჩივრების პროცედურების ჩათვლით, გასათვალისწინებელია უსინათლო და მხედველობადაქვეითებული ადამიანების საჭიროებები;
- მოსამართლეები, პროკურორები, გამომძიებლები და ადვოკატები უნდა იყვნენ სპეციალიზებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების საკითხებზე;
- შეიქმნას და დაიხვეწოს შშმ პირთა აბილიტაცია, რეაბილიტაციის და თემზე დაფუძნებული მომსახურებები, რომელიც თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება ყველა შშმ პირისთვის და მიმართული იქნება მათი უფლებების რეალიზაციის და დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისაკენ;
- ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობის შესახებ რეგულაციები უნდა ითვალისწინებდეს სენსორული და დაქვეითებული კომუნიკაციის მქონე პირთა, აგრეთვე ინტელექტუალური და გონებრივი განვითარების დარღვევების მქონე პირთა საჭიროებებს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- სახელმწიფო უწყებებმა უზრუნველყონ და/ან გააძლიერონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობისთვის შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური ზომების გატარება;
- უზრუნველყონ დასაქმების სფეროში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მოდიფიცირება, იმგვარად, რომ შშმ პირთათვის დასაქმების შესაძლებლობა გახდეს უფრო მისაწვდომი. გაფართოვდეს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების გეოგრაფიული არეალი;
- შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყონ დასაქმების პორტალების და ვაკანსიების მოსაძიებელი ვებგვერდების მორგება სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირებისთვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- მიიღოს შესაბამისი ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის განათლების უფლებით სრულყოფილად სარგებლობის მიზნით მისაწვდომობის და გონივრული მისადაგების პრინციპის პრაქტიკაში დანერგვით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში გაიზარდოს სპეციალისტების რაოდენობა. მოხდეს მათი სისტემატური გადამზადება და კვალიფიკაციის შემოწმება;
- შეიქმნას სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობს შშმ პირების სწავლის გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებლებში.

ქალები

ფემიციდი და საერთაშორისო გადაწყვეტილებები

2022 წელს ფემიციდის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით გაიზარდა, როგორც ქალთა მკვლელობის, ისე მკვლელობის მცდელობის მხრივ. 2022 წელს გამოვლინდა ქალის მკვლელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის 25 ფაქტი, და ქალის მკვლელობის მცდელობის 37 ფაქტი.[88] როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე წარმოებული ფემიციდთან დაკავშირებული საქმეები ცხადყოფს მთელ რიგ სისტემურ პრობლემებს და დაბრკოლებებს, რაც ხელს უშლის გენდერული ნიშნით ქალის სიცოცხლის ხელყოფის დროულ პრევენციას.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილება საქმეზე „ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ"[89], რომელიც უკავშირდება 19 წლის ყოფილი პარტნიორის მკვლელობას პოლიციის თანამშრომლის მიერ. თხელიძის საქმეზე 2021 წელს მიღებული გადაწყვეტილების[90] მსგავსად ამ საქმეშიც სასამართლომ დაადგინა სიცოცხლის უფლების (როგორც მატერიალური, ისე პროცედურული ასპექტების) და დისკრიმინაციის აკრძალვის უფლების დარღვევა. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდა სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობაზე ოჯახში ძალადობის შესახებ არაერთგზისი შეტყობინების მიუხედავად, გამოეძიებინათ ოჯახში ძალადობის ეს განგრძობადი შემთხვევები და მსხვერპლისთვის პირდაპირი საშიშროების არსებობის პირობებში მოეხდინათ ძალადობის პრევენცია. ეროვნულ დონეზე გამოუკვლეველი დარჩა ისიც, სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა რამდენად იყო განპირობებული გენდერული მოტივით. სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად ეს 2022 წელსაც პრობლემა იყო.[91]

88. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 203. შედარებისთვის იხ. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2021, გვ. 153. 2021 წელს ქალთა მკვლელობისა და თვითმკვლელობამდე მიყვანის 22 და ქალის მკვლელობის მცდელობის 31 ფაქტი გამოვლინდა.

89. განაცხადი ნო. 73975/16, 10 თებერვალი, 2022

90. საქმე „A and B v. Georgia", განაცხადი ნო. 73975/16, 10 თებერვალი, 2022

91. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელის, გვ. 20

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეში აგრეთვე გაუსვა ხაზი მძიმე დარღვევებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მტკიცებულებების შეგროვების პროცესში[92], რაც სისტემური პრობლემაა[93]. ადგილი აქვს პოლიციის მხრიდან მსხვერპლის განცხადებების არასრულად ჩაწერას, უგულებელყოფას ან მცდარი ინფორმაციის შეტანას ჩვენებაში, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შემდგომში სასამართლოს მიერ შემაკავებელი ორდერის გაუქმება, მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების უგულებელყოფა, და რიგი სხვა რისკები მსხვერპლისთვის. ამავე პრობლემის გამოვლინებაა ისიც, რომ პოლიცია ზედმიწევნით არ მიჰყვება და არ ავსებს რისკების შეფასების კითხვარს (შემაკავებელი ორდერის ოქმში), კითხვარის გარკვეულ ნაწილს კი საკუთარი ინტერპრეტაციით ავსებს.[94] ამ პრობლემის პასუხად, ჯერაც არ გატარებულა რაიმე ქმედითი ზომა, მაგალითად, არ არის განსაზღვრული მსხვერპლის განცხადებების აუდიო/ვიდეო ჩაწერის ვალდებულება, რასაც ქალთა უფლებადამცველები დიდი ხანია ითხოვენ.

აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება ფემიციდის ეფექტური პრევენციის გზაზე, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომაც გაუსვა ხაზი, არის კანონმდებლობით გათვალისწინებული მრავალფეროვანი პრევენციული ღონისძიებების გამოუყენებლობა პრაქტიკაში.[95] ამ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით ხაზგასასმელია ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება, რასაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს. ეს ღონისძიება იძლევა მოძალადის ქმედებების რეგულირებისა და კონტროლის საშუალებას და აღიარებულად მნიშვნელოვანი მექანიზმია ძალადობის აღსაკვეთად. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიში მიუთითებს, რომ ეს საკითხი კვლავ პრობლემურია და GPS მონიტო-

92. საქმე „A and B v. Georgia", განაცხადი ნო. 73975/16, 10 თებერვალი, 2022, პარ. 47

93. Rule 9.2 – Communication from NGOs (26/10/2022) (Georgian Young Lawyers' Association, Union Sapari, European Human Rights Advocacy Centre, International Partnership for Human Rights) in the case of Tkhelidze v. Georgia (Application No. 33056/17), DH-DD(2022)1182 08/11/2022

94. იქვე, გვ. 7

95. საქმე „A and B v. Georgia", განაცხადი ნო. 73975/16, 10 თებერვალი, 2022, პარ. 48

რინგის სისტემის გამოყენება იშვიათად ხდება.[96] ზოგიერთი პოლიციელი მსხვერპლს არწმუნებს, რომ ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება მისთვისვე მოუხერხებელი იქნება.[97] ამ ღონისძიებას იშვიათად, მხოლოდ მაღალი რისკის საქმეებში მიმართავენ, მიუხედავად იმისა, რომ მას საშუალო რისკის შემცველ შემთხვევებშიც მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქციის შესრულება შეუძლია.[98]

ფემიციდის ხელშემწყობი ცალკე საკითხია სამართალდამცავი ორგანოების, მათ შორის, სასამართლოების მიერ რისკების მართებულად შეფასების პრობლემა. 2022 წლის 9 ოქტომბერს მოძალადემ მოკლა თავისი პარტნიორი, მას შემდეგ რაც ერთი კვირით ადრე პროკურატურამ სასამართლოს მისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მიმართა, მაგრამ სასამართლომ ეს პირი გირაოს საფუძველზე გაათავისუფლა.[99] სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, სასამართლოს დონეზე პრობლემად რჩება ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულად არაღიარება და აგრეთვე პირობითი მსჯავრის გამოყენება ფემიციდის მცდელობის განმეორების გარანტიების არარსებობისას.[100]

ამ პრობლემების ერთობლიობა ქმნის გარემოს, სადაც პრევენციის ღონისძიებების ნაკლებობა და დაუსჯელობის/მსუბუქი სასჯელის შესაძლებლობა ფემიციდის რაოდენობის ზრდას იწვევს.

96. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 204

97. Rule 9.2 – Communication from NGOs (26/10/2022) (Georgian Young Lawyers' Association, Union Sapari, European Human Rights Advocacy Centre, International Partnership for Human Rights) in the case of Tkhelidze v. Georgia (Application No. 33056/17), DH-DD(2022)1182 08/11/2022, გვ. 27

98. იქვე, გვ. 27

99. See the Media News, Rustavi2, A man who killed a 26-year-old girfriend in Telavi was arrested – the Ministry of Internal Affairs reports, available at: https://rustavi2.ge/ka/news/239844, accessed on 10.10.2022.

100. საქართველოს სახალხო დამცველი, ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელის, გვ. 20

ქალთა მიმართ ძალადობა და სქესობრივი ძალადობა

საქართველოს მე-5 პერიოდულ ანგარიშზე გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებების თანახმად[101], საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით, სქესობრივი დანაშაულების შემთხვევებზე შეტყობინების მაჩვენებელი დაბალია, დაბალია ასევე ბრალდებისა და მსჯავრდადების მაჩვენებელი ამ დანაშაულებისთვის, მსხვერპლები კი არასაკმარის მხარდაჭერას და სერვისებს იღებენ. კომიტეტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ ძალადობის მსხვერპლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიათ თავშესაფრებით სარგებლობა, თუ მათ აქვთ მსხვერპლის სტატუსი. დამატებით, კომიტეტმა აღნიშნა, რომ გაუპატიურების განმარტების ძირითად ელემენტს არ წარმოადგენს თანხმობის ნაკლებობა და კანონმდებლობა არ შეიცავს „ღირსების სახელით ჩადენილ დანაშაულების“ განმარტებას.

მნიშვნელოვანია, რომ 2022 წლის 9 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისთვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე”, რომელიც არეგულირებს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის სრულწლოვანი ან არასრულწლოვანის მსხვერპლისთვის, აგრეთვე მსხვერპლის გარდაცვალების შემთხვევაში მისი არასრულწლოვანი შვილებისთვის კომპენსაციის გაცემის პირობებს, პროცედურას და ოდენობას. ეს აქტი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდაჭერის თვალსაზრისით, თუმცა, როგორც სახალხო დამცველის ანგარიშშია აღნიშნულია „პრობლემურია კომპენსაციის გაცემის პირობები და მოცულობა, რაც მსხვერპლის საჭიროებებს სრულფასოვნად ვერ პასუხობს.”[102]

ცვლილებები შევიდა აგრეთვე „ქალთა მიმართ ძალადობის, ან/და ოჯახ-

101. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, CCPR/C/GEO/CO/5, 13 სექტემბერი, 2022

102. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 202

ში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონში და სხვა საკითხებთან ერთად, შეიცვალა მსხვერპლის განმარტებაც იმგვარად, რომ პირს არ სჭირდება შესაბამისი ორგანოების მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის ქონა იმისთვის, რომ შეძლოს შესაბამისი სერვისებით, განსაკუთრებით, თავშესაფრით ან კრიზისული ცენტრით სარგებლობა.[103]

რაც შეეხება კომიტეტის მითითებას გაუპატიურების დეფინიციაზე, ეს საკითხი კვლავ პრობლემურია[104] და საქართველოს კანონმდებლობა კვლავ საჭიროებს ჰარმონიზებას სტამბულის კონვენციის 36-ე მუხლთან, რაც გულისხმობს, რომ გაუპატიურებად უნდა ჩაითვალოს სექსუალური ხასიათის ურთიერთობაში შესვლა მეორე მხარის თანხმობის გარეშე. ამ საკითხზე საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი ატარებს თემატურ მოკვლევას, თუმცა, ამ დროისთვის ის დასრულებული არ არის და კანონმდებლობაში რაიმე ცვლილება არ შესულა მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლებია ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს, როგორც პარლამენტთან, ისე აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. *საფარმა* 2022 წელს ექსპერტების ჩართულობით შეიმუშავა გაუპატიურების დეფინიციის შეცვლის შესახებ კანონპროექტი და გაუზიარა ის გენდერული თანასწორობის საპარლამენტო საბჭოს და ადამიანის უფლებათა კომიტეტს, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს.

პოლიტიკური ჩართულობა

საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში „მუნიციპალიტეტების დონეზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასების შესახებ“ აჩვენებს, რომ ქალთა ჩართულობის მხრივ გადაწყვეტილე-

103. საქართველოს კანონი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2477-Xრს-Xმპ, 22/12/2022, მუხლი 1, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ა”

104. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი, გვ. 203

ბების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტების დონეზე განსხვავებული მდგომარეობაა: ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ქალებს უკავიათ მნიშვნელოვანი პოზიციები, ზოგიერთში კი ქალები მხოლოდ დაბალი რანგის საჯარო მოხელეები არიან.[105] ქალების ჩართულობას ან წინსვლას საჯარო სამსახურში ადგილობრივ დონეზე ხელს მრავალი ფაქტორი უშლის, განსაკუთრებით, აუნაზღაურებელი შინ შრომის ტვირთი, სტერეოტიპული დამოკიდებულებები, სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმების არარსებობა ადგილზე, შშმ ქალებისთვის მუნიციპალურ შენობებზე წვდომის ნაკლებობა და ენის ბარიერი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალებისთვის.[106]

საანგარიშო პერიოდში *საფარმა* ჩაატარა კვლევა არჩევნებში პოლიტიკური პარტიების ქალი კოორდინატორების შესახებ[107]. კვლევამ აჩვენა, რომ ბევრი ქალი იძულებულია დათანხმდეს ამ ტიპის საქმიანობას სიღარიბის გამო ან სამუშაოს დაკარგვის შიშით. მათი საქმიანობა არამხოლოდ ფიზიკურად და ემოციურად არის რთული (კარდაკარ სიარული, აგიტაცია, პოლიტიკური დაპირებების გახმოვანება, ამომრჩეველთა მობილიზება აქციებისთვის), არამედ ზოგჯერ უკანონობასაც მოიცავს (მაგ. ელექტრონულად ამომრჩევლების შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება, დახმარების მოხსნით მუქარა, ამომრჩევლის ნებაზე ზეწოლა და სხვა).

ამასთან, ქალი კოორდინატორების შრომა, როგორც წესი, ანაზღაურდება ნაღდი ანგარიშსწორებით და შრომითი ხელშეკრულების გარეშე, რაც არამარტო პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირების გაუმჭვირვალობას ზრდის, არამედ თავად ამ ქალებს ხდის კიდევ უფრო მოწყვლადს მათი შრომითი და სხვა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ამ ქალების უფლებები ირღვევა როგორც მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების გამო, რაც მათ მიმართ ძალადობის საფრთხეს ზრდის, აგრეთვე პარტიის შიგნით არარეგულირებული სამუშაო პირობების, მოუწესრიგებელი შრომითი ხელშეკრულებებისა და სამართლებრივი გარანტიების არარსებო-

105. საქართველოს სახალხო დამცველი, მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება, 2022, გვ. 47

106. Public Defender of Georgia, Written Submission for 84th session of the Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), 9 January, 2023, პარ. 17

107. საფარი, ქალი კოორდინატორების გამოწვევები არჩევნებში, 2023, გვ. 10, 30

ბის გამოც. შესაბამისად, ქალი კოორდინატორების საქმიანობა კი არ ზრდის ქალთა მონაწილეობას პოლიტიკაში, არამედ იწვევს მათ ინსტრუმენტალიზაციას პარტიული ინტერესებისთვის, რომელსაც ისინი ხშირად ვერ იზიარებენ და უქვემდებარებს მათ სხვადასხვა ტიპის ძალადობას და შრომით ექსპლუატაციას.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- შემუშავდეს საკანონმდებლო პაკეტი, რათა გაუპატიურებად ჩაითვალოს თანხმობის გარეშე სექსუალური ხასიათის შეღწევა და სხვა სქესობრივი დანაშაულების დეფინიციებიც შესაბამისობაში მოვიდეს სტამბოლის კონვენციასთან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- შეიმუშავოს წინადადებები ფემიციდის პრევენციის ხელშემშლელ, იმ სისტემურ პრობლემებთან დაკავშირებით, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაუსვა ხაზი საქმეში "ა. და ბ. საქართველოს წინააღმდეგ" და უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების სრულად და ეფექტურად აღსრულების ხელშეწყობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში, უზრუნველყოს მსხვერპლის განცხადებების აუდიო/ვიდეო ჩაწერა.
- ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას უზრუნველყოს მსხვერპლისთვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ზედამხედველობის დაწესებასთან დაკავშირებით.
- ელექტრონული ზედამხედველობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და პოპულარიზაციისთვის აწარმოოს საინფორმაციო კამპანია.

საქართველოს შრომის ინსპექციის სამსახურს:

- განახორციელოს ინსპექტირება ქალი კოორდინატორების მიმართ შრომითი ნორმების დაცვასთან დაკავშირებით და დარღვევების გამოვლენისას მიიღოს კანონით დადგენილი ზომები.

ლგბტქი ადამიანები

2022 წელს ლგბტქი ადამიანების თანასწორუფლებიანობის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებმა თემის წევრების საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკისა თუ კანონმდებლობის შემუშავების ნაცვლად, სრულად უგულებელყვეს ლგბტქი ჯგუფი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით საშიშ ტენდენციას წარმოადგენდა ლგბტქი ადამიანების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან, მათ შორის, 2022-2030 წლების ადამიანის უფლებების სტრატეგიისა და გენდერული თანასწორობის კონცეფციიდან სრული გაქრობა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მომუშავე ლგბტქი სათემო ორგანიზაციების არაერთი მცდელობის მიუხედავად, არ მომხდარა არც ერთი სათემო ორგანიზაციის ეფექტიანი ჩართვის უზრუნველყოფა 2022-2030 წლების ადამიანის უფლებების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების პროცესში.[108] აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც არ ახსენებს ლგბტქი პირებისთვის სპეციფიკურ არც ერთ საკითხს, სათემო ორგანიზაციებისთვის მხოლოდ მასზე მუშაობის დასრულების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი და მიუხედავად აღნიშნული ორგანიზაციების მიერ წერილობით გაგზავნილი უკუკავშირისა[109], საბოლოო დოკუმენტში შენიშვნები და დამატებები არ ასახულა.

სახელმწიფოს მიერ თემის გაძლიერებისა და თანასწორი გარემოს ფორმირებაზე უარის თქმის მიუხედავად, საგრძნობლად გაიზარდა ლგბტქი ადამიანებისადმი საზოგადოების დადებითი განწყობები. ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი კვლევის შედეგების თანახმად, 2018 წელს 33 პროცენტიდან 2021 წელს 47 პროცენტამდე გაიზარდა იმ ადამიანების წილი, რომლებიც ლგბტქი თემის უფლებების დაცვას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ.[110] საქართველოში ჩატარებული წარმომადგენლობითი კვლევის თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, სა-

108. მეტი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3H1IhUl წყარო ბოლოს ნანახია: 15.04.2023.

109. ლგბტქი სათემო ორგანიზაციებმა, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად, 2022 წლის აგვისტოს თვეში მიაწოდეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას დოკუმენტთან დაკავშირებულუ უკუკავშირი.

110. ევროპის საბჭო, სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, სიძულვილის ენა და დისკრიმინაცია საქართველოში: ცოდნა და დამოკიდებულება, 2022, გვ. 9, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ooggQh, წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

ქართველოში შემცირდა ჰომო/ბი/ტრანსფობიის ინდექსი.[111] კვლევის თანახმად, ტრანსფობიის ინდექსმა საზოგადოებაში უფრო მკვეთრად დაიკლო, ვიდრე ჰომოფობიამ და ბიფობიამ, თუმცა, დამოკიდებულებები ტრანს და გენდერულად არაკონფორმული ადამიანების მიმართ კვლავ უფრო ნეგატიურია, ვიდრე ბისექსუალების ან ჰომოსექსუალების მიმართ. ასევე, საზოგადოებაში გაიზარდა მეგობრისთვის მხარდაჭერის მზაობა, თუ ის სქესის კვლავმინიჭების ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას გადაწყვეტს.[112] ამავე კვლევის თანახმად, ცვლილებებია საზოგადოების განწყობებში ლგბტქი პირების უფლებრივი მდგომარეობის მიმართ, კერძოდ, თემის უფლებრივ თანასწორობაზე საუბარს უფრო ნაკლები რესპონდენტი აღიქვამს „პროპაგანდად“ და „ცხოვრების წესის სხვებისთვის თავზე მოხვევად“,[113] ასევე, 25%-ით არის შემცირებული იმ რესპონდენტთა წილი, ვინც მიიჩნევს, რომ ლგბტქი ადამიანებს კანონით უნდა აეკრძალოთ შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება.

ჰომო/ბი/ტრანსფობიური ძალადობა და სიძულვილის ენა

წინა წლების მსგავსად, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა ან/და გენდერული გამოხატვის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების პრევენცია, ძალადობის შემთხვევებზე დროული და ეფექტიანი გამოძიება კვლავაც გამოწვევად რჩება. ულტრა-კონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფების გააქტიურების პარალელურად, სახელმწიფო არ იჩენს ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილის დანაშაულებზე რეაგირების ქმედითი პოლიტიკის შემუშავების ნებას. ძალადობის ინდივიდუალური შემთხვევები ნათლად აჩვენებს, რომ

111. ე. აღდგომელაშვილი, ნ. მჭედლიშვილი, თ. ლაფერაძე, წინარწმენიდან თანასწორობამდე, საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ,WISG, 2023. კვლევის ანგარიში იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/43PVYiJ, წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

112. Ibid, გვ.17.

113. კერძოდ, 2016 წელს ასე რესპონდენტთა 76,5% მიიჩნევდა, ხოლო, ახალი კვლევის თანახმად, 55,9%.

სამართალდამცავი უწყებები პრევენციული ღონისძიებების გატარების ნაცვლად, როგორც წესი, პოსტ-ფაქტუმ რეაგირებით შემოიფარგლებიან.

2022 წლის განმავლობაში განსაკუთრებით გახშირდა ლგბტქი ადამიანებზე ჯგუფური თავდასხმის შემთხვევები. მხოლოდ მაისის თვეში, თბილისში ტრანსგენდერ ქალებზე ჯგუფური ძალადობის ორი ეპიზოდი დაფიქსირდა.[114] აღსანიშნავია, 17 ნოემბერს მომხდარი ტრანსფობიური ფემიციდის შემთხვევა, როცა ქალი გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლი გახდა.[115] გასული წლის მსგავსად, 2022 წლის პრაიდ კვირეულსაც მოყვა ულტრა-მემარჯვენე და ძალადობრივი ჯგუფების პროტესტი. მიუხედავად იმისა, რომ კვირეულის ორგანიზატორებმა უარი თქვეს საჯარო სივრცეში მარშის მოწყობაზე, ყველა დახურული ღონისძიება ძალადობრივი ჯგუფების პროტესტის ფონზე ჩატარდა.[116] აღსანიშნავია, რომ 2021 წლის 5 ივლისის ძალადობის ორგანიზატორმა ჯგუფმა „ალტ-ინფომ“ პრაიდის ფესტივალის ჩასაშლელად რამდენიმე კვირით ადრე საჯაროდ დაიწყო ფულის და ადამიანების მოგროვება.[117] პრაიდ კვირეულის ბოლო დღეს პრაიდ ფესტივალის ტერიტორიის უკანონოდ დაკავების მცდელობის შემდეგ პოლიციამ „ალტ-ინფოს“ ლიდერები დააკავა,[118] თუმცა ფესტივალის დღეს ძალადობრივმა ჯგუფმა თბილისში რამდენიმე ადგილას მცირერიცხოვანი აქცია მაინც გამართა. მნიშვნელოვანია, რომ ძალადობრივი აქციების ორგანიზატორების და მონაწილეების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საანგარიშო პერიოდშიც არ დამდგარა.

114. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულებზე: https://bit.ly/40lreTT , https://bit.ly/40jD6WA წყაროები ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

115. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/rY456, წყარო ბოლოს ნანახია: 24.04.2023.

116. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3GVTKEM წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

117. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oxNgp9 წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

118. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KSLTcr წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთობლივი ანგარიშის შესაბამისად, 2022 წელს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სექსუალური ორიენტაციის ნიშნით სიძულვილით მოტივირებულ 36, ხოლო გენდერისა და სექსუალური ორიენტაციით მოტივირებულ 2 დანაშაულზე. ამასთან, სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე მსჯავრი 10 პირს დაეკისრა.[119]

გამოწვევას წარმოადგენს სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის/გამოხატვის ნიშნით ჩადენილი სიძულვილის დანაშაულების, მათ შორის, ოჯახში ძალადობის და სექსუალური პარტნიორის მხრიდან ძალადობის, შემთხვევების სათანადო კვალიფიკაცია; აგრეთვე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლისთვის სათანადო სამედიცინო და ფსიქო-სოციალური სერვისების უზრუნველყოფა. ასევე, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი თემის წევრებისთვის კვლავ გამოწვევად რჩება მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისებით, მათ შორის, შემაკავებელი და დამცავი ორდერებით სარგებლობის შესაძლებლობა, რადგან საქართველოს კანონმდებლობა კვლავ არ განსაზღვრავს ინტიმურ პარტნიორს ოჯახის წევრად.

გადაუჭრელ პრობლემად რჩება ლგბტქი პირების მიმართ დისკრიმინაციის წახალისების, ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილის ენის გამოყენების პრაქტიკა. გასული წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში დისკრიმინაციულ განცხადებებს ყველაზე ხშირად პოლიტიკოსები, მათ შორის, პოლიტიკური თანამდებობის პირები[120] და სასულიერო ლიდერები აკეთებდნენ. საჯარო პირების მიერ სიძულვილის თუ დისკრიმინაციუ-

119. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mNiDLZ წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

120. მაგ: საქართველოს პარლამენტის წევრი იაგო ხვიჩია: *"ჩემი აზრით, აქტივისტობა სახელს უტეხავს მთელ ამ პროცესს... როცა შენ ამბობ, რომ ვარ LGBT თემის წარმომადგენელი, ბუნებრივად ჩნდება განცდა, რომ ხარ არა ჩვეულებრივი ადამიანი, არამედ რუსთაველის წინ ტყავის „ტრუსიკით" გავლას რომ ითხოვს და ამ უფლებისთვის რომ იბრძვის. სინამდვილეში, იმ ხალხისთვის, ვინც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და განსხვავებული ორიენტაცია აქვთ, ეს არის უფრო პრობლემა, ვიდრე დახმარება"*, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MT8J6, წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

ლი ენის გამოყენება ქმნის საფრთხეს, რომ თემის წევრები მომავალში შევიწროებას ან/და ძალადობას დაექვემდებარებიან.[121]

ტრანსი ადამიანები

ტრანსი ადამიანების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი და სისტემური გამოწვევებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია გენდერის სამართლებრივი აღიარება და ხარისხიან ტრანს-სპეციფიკურ ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა.

საქართველოში ტრანსი ადამიანებისთვის კვლავ მიუწვდომელია გენდერის სამართლებრივი აღიარების თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი მექანიზმი. 2022 წლის 1 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, გენდერის სამართლებრივი აღიარების საქმეზე საქართველოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა) დარღვევა დაადგინა.[122] თავის გადაწყვეტილებაში სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი სახელმწიფოს გენდერის სამართლებრივი აღიარების სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურის უზრუნველყოფას ავალდებულებს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში დეტალურად არ განუმარტავს, როგორი უნდა იყოს გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცედურა, თუმცა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, „სწრაფი მექანიზმი გულისხმობს პროცედურას, რომლითაც უზრუნველყოფილია რაც შეიძლება მოკლე ინტერვალი განაცხადის შეტანიდან, ჩანაწერის ცვლილებამდე. მექანიზმი გამჭვირვალედ იქნება მიჩნეული, თუ კანონით მკაფიოდ არის რეგულირებული სახელისა და სქესის შესახებ ჩანაწერის ცვლილების პროცედურა, მათ შორის ის, თუ რომელ უწყებას უნდა მიმართონ დაინტერესებულმა პირებმა განცხადებით. პროცედურის

121. საქართველოს სახალხო დამცველი, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2022 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 22, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MYRJLJ წყარო ბოლოს ნანახია: 20.04.2023.

122. მეტი ინფორმაცია იხილეთ შემდგ ბმულზე: https://bit.ly/40sS0tw წყარო ბოლოს ნანახია: 15.04.2023.

ხელმისაწვდომობა უფრო პრაქტიკულ ასპექტზე კონცენტრირდება და გულისხმობს ბარიერების აღმოფხვრას, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს პირის ჯანმრთელობას, ასაკს, შეზღუდულ შესაძლებლობას. ხელმისაწვდომობის საკითხი ეხება ასევე ფინანსურ ხელმისაწვდომობას, რაც არ შეიძლება იქცეს ბარიერად ტრანსი ადამიანისთვის".[123]

ტრანსი ადამიანებისთვის კვლავ მიუწვდომელია ტრანს-სპეციფიკური ჯანმრთელობის ხარისხიანი სერვისები საქართველოში. კერძოდ, მიუხედავად ეროვნული[124] და საერთაშორისო[125] ინსტიტუტების მხრიდან საქართველოს მიმართ გაკეთებული რეკომენდაციებისა, კვლავ არ არსებობს ეროვნული გაიდლაინები გაიდლაინები და პროტოკოლები, რითაც სამედიცინო პერსონალმა უნდა ისარგებლოს ტრანს-სპეციფიკური სამედიცინოს სერვისების გაწევის დროს. ამასთან, ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სერვისები კვლავ არ არის მოცული არც სახელმწიფო და არც კერძო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებით, რაც მათ ფინანსურად მიუწვდომელს ხდის ტრანსი ადამიანებისთვის.

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- სრულად დაკომპლექტდეს და ამოქმედდეს პარლამენტის ეთიკის საბჭო, რათა მოხდეს პარლამენტის წევრების მიერ გაკეთებულ

123. ბახტაძე ქ., „გენდერის სამართლებრივი აღიარება საქართველოში – პოლიტიკის დოკუმენტი", WISG, 2022, 35. დოკუმენტი იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3AcORmX წყარო ბოლოს ნანახია: 15.04.2023.

124. 2020 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართა ზოგადი წინადადებით, შექმნილიყო ეროვნული პროტოკოლები და გაიდლაინები ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სერვისებისთვის. მეტი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3mP6NB7 წყარო ბოლოს ნანახია: 15.04.2023.

125. 2019 წელს სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის საკიტხებში გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა საქართველოს მისცა რეკომენდაცია, შეექმნა ტრანს-სპეცირიკური ჯანდაცვის სერვისების პროტოკოლები და გაიდლაინები. ანგარიში იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/2ZfE3jE წყარო ბოლოს ნანახია: 15.04.2023.

დისკრიმინაციულ განცხადებებსა და სიძულვილის ენაზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;

- ერთი და იმავე სქესის წყვილებს შორის ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების განხორციელების მიზნით, ოჯახის წევრთა ჩამონათვალს დაემატოს „ინტიმური პარტნიორის“ ცნება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- უზრუნველყოს ჰომო/ბი/ტრანსფობიურ სიძულვილის დანაშაულების პრევენცია და ძალადობის ცალკეულ შემთხვევებზე სწრაფი რეაგირება; გააძლიეროს ძალისხმევა ლგბტქი ადამიანების ძალადობისგან დასაცავად.

საქართველოს მთავრობას:

- შემუშავდეს ულტრა-მემარჯვენე და ძალადობრივი ჯგუფებთან გამკლავების მკაცრი და თანმიმდევრული სტრატეგია;
- შემუშავდეს ჰომო/ბი/ტრანსფობიური სიძულვილის დანაშაულების პრევენციისა და მათზე დროული, სწრაფი, ეფექტიანი რეაგირების ერთიანი სტრატეგია;
- ადამიანის უფლებების დაცვის 2022-2030 ეროვნული სტრატეგიის შესაბამისი სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას ლგბტქი პირთა უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ეფექტიანი ჩართულობა;
- ადამიანის უფლებების დაცვის 2022-2030 ეროვნული სტრატეგიის შესაბამის სამოქმედო გეგმებში მიეძღვნას ცალკე ქვეთავი ლგბტქი ადამიანებისთვის სპეციფიკურ საკითხებს;
- შემუშავდეს სწრაფი, გამჭვირვალე, ხელმისაწვდომი და თვითიდენტიფიკაციაზე დაფუძნებული გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმი, რომელიც როგორც სრულწლოვანი, ისე – არასრულწლოვანი პირებისთვის, რომელიც თავისუფალი იქნება ინვაზიური და ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო წინაპირობებისგან.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შემუშავდეს ტრანს-სპეციფიკური ჯანდაცვის სერვისების ეროვნული გაიდლაინები და პროტოკოლები და პროცესში ეფექტიანი ჩაერთონ თემის წევრები და საკითხის შესაბამისი ექსპერტიზის მქონე ორგანიზაციები;
- შემუშავდეს და დაინერგოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის შესაბამისი სახელმწიფო სერვისები;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- საზოგადოებაში არსებული ჰომო/ბი/ტრანსფობიური განწყობების ცვლილების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების, ინციდენტებისა და სოგი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევების პრევენციის მიზნით, როგორც ფორმალური, ასევე, არაფორმალური განათლების სისტემებში დაინერგოს ადამიანების სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების კომპონენტი, რომელიც მოიცავს სექსუალობასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

რელიგიისა და რწმენის თავისუფლება / რელიგიური უმცირესობები

საანგარიშო წლის განმავლობაში საქართველოში მართლმსაჯულების, სამართლის უზენაესობისა და დემოკრატიული პრინციპების პატივისცემის მიმართულებით არსებული გამოწვევები, ბუნებრივია, რელიგიისა და რწმენის თავისუფლებაზეც აისახა. ხელისუფლების არასეკულარული მმართველობის ფორმა და უთანასწორო დამოკიდებულება არადომინანტური რელიგიური ჯგუფების მიმართ გამოჩნდა არაერთ პოლიტიკურ, საკანონმდებლო და სასამართლო გადაწყვეტილებაში. წინა წლებში არსებული სისტემური პრობლემები კი, როგორებიცაა დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რელიგიური გაერთიანებების საკუთრებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ახალი სამლოცველოების მშენებლობისთვის შექმნილი ხელოვნური ბარიერები, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბუნდოვანი მანდატისა და პოლიტიკის საკითხი, რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებზე არაეფექტიანი რეაგირება და სხვა, გადაუჭრელი რჩება.

დისკრიმინაცია კანონმდებლობაში და ახალი პრივილეგიები საპატრიარქოსთვის

კვლავ მოუგვარებელ პრობლემად რჩება დისკრიმინაციული ნორმები კანონმდებლობაში, რომელიც არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების მიმართ დიფერენცირებულ მიდგომებს ამკვიდრებს. ნაცვლად არსებული უთანასწორობის აღმოფხვრისა, 2022 წელს ხელისუფლებამ მორიგი დისკრიმინაციული კანონმდებლობა შეიმუშავა.

საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული თავდაცვის რეფორმა, რომელიც საქართველოს პარლამენტს წარედგინა 2022 წლის 28 დეკემბერს, სხვა კანონთა პროექტებთან ერთად მოიცავს საქართველოს კანონის „თავდაცვის კოდექსის“ ახალ მოწესრიგებას.[126] ეს კანონპროექტი, სხვა საკითხებს შორის, ეხება სასულიერო პირების მიერ სამხედრო სამსახურის გავლის გადავადების გაუქმებას და მისი ალტერნატიული ფორმით მოხდის დაწესებას. ინიციირებული კანონპროექტის ანალიზმა ცხადყო, რომ მიღების შემთხვევაში, ის თანაბრად არ გავ-

126. „თავდაცვის კოდექსი“, საქართველოს პარლამენტი, 28.12.2022, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/25591

რცელდება ყველა რელიგიურ გაერთიანებაზე და მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ამ საკანონმდებლო ცვლილების მიღება და ძალაში შესვლა პარლამენტის 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზეა დაგეგმილი.

კანონპროექტის მიხედვით, „მღვდელთმსახურის“ სტატუსი აღარ განიხილება სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების საფუძვლად[127] და იგეგმება მათთვის ამ ვალდებულების არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურით ჩანაცვლება, რაც აისახება შემოთავაზებულ „თავდაცვის კოდექსსა“ და „არასამხედრო/ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ მოქმედ კანონში.

საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმების[128] საფუძველზე სამხედრო ვალდებულებისგან თავისუფლდება მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობითა[129] და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით[130], ალტერნატიული შრომითი სამსახური განხილულია სამხედრო ვალდებულების მოხდის ერთ-ერთ ფორმად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა სხვა რელიგიური გაერთიანებისგან განსხვავებით, მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები კვლავ გათავისუფლდებიან წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის ან ალტერნატიული სამსახურის გავლის ვალდებულებისაგან. პრაქტიკაში ეს გააჩენს დისკრიმინაციის კიდევ ერთ საფუძველს, რადგან სხვა რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებს მოუწევთ სამხედრო ვალდებულების ალტერნატიული ფორმით მოხდა. [131]

127. კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, მუხლი 30, პუნქტი ლ)

128. რომელსაც იერარქიულად უპირატესი იურიდიული ძალა აქვს ორგანულ და საქართველოს კანონებთან მიმართებით: „კონსტიტუციური შეთანხმება, მუხლი 4.

129. „არასამხედრო ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პრეამბულა

130. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის №1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”, პ.II.34, 56

131. იხ. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) 2023 წლის 17 თებერვლის განცხადება: https://bit.ly/3K0HmEg

დისკრიმინაციული მოპყრობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ასევე სახელმწიფო ქონების შესახებ კანონსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლებიც ექსკლუზიურ პრივილეგიებს მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ანიჭებს. საკონსტიტუციო სასამართლოში გრძელდება რელიგიური გაერთიანებების ოთხი სარჩელის განხილვა. ორი სარჩელი ეხება საგადასახადო კოდექსის იმ დისკრიმინაციულ დებულებებს, რომლებიც გამონაკლისის სახით მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ათავისუფლებს იმპორტისა[132] და მიწის/ქონების გადასახადებისაგან[133]. ორი სარჩელით კი მოსარჩელეებმა მოითხოვეს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის იმ დისკრიმინაციული ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, უზღუდავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შეძენას და გაცვლას[134] და რელიგიური დანიშნულების ნაგებობებისა და მათი ნანგრევების პრივატიზების უფლებას[135]. საანგარიშო პერიოდში, სასამართლოს არ განუხილავს და არ მიუღია გადაწყვეტილება ამ სარჩელების შესახებ. ამავდროულად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებს კვლავაც არ მიუმართავს რაიმე ღონისძიებისთვის კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად.

კიდევ ერთი დისკრიმინაციული ნორმა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფო ტყეების საკუთრებაში მიღების ექსკლუზიურ უფლებას აძლევს.[136] აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა 2020 წელს შეიმუშავა, რომელიც ძალაში 2021 წლის 1 იანვრიდან შევიდა. საყურადღებოა, რომ ტყეების პრივატიზაცია

132. კონსტიტუციური სარჩელი N1593, ხელმისაწვდომია https://www.constcourt.ge/ka/judicialacts?legal=11126

133. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 აპრილის საოქმო ჩანაწერი სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შესახებ. კონსტიტუციური სარჩელი №1422. ხელმისაწვდომია – https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9133

134. ცხრა რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი N 1440, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1410

135. შვიდი რელიგიური გაერთიანების კონსტიტუციური სარჩელი N 1640, ხელმისაწვდომია – https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=12279

136. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი,

კანონმდებლობით დაუშვებელია, თუმცა ცვლილებებით საპატრიარქო გახდა სწორედ ის პრივილეგირებული ინსტიტუცია, რომელსაც მიენიჭა ეკლესიების მიმდებარედ არსებული ტყეების საკუთრებაში ქონის ექსკლუზიური უფლება. ტყეებთან დაკავშირებულ დისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე 2021 წლის ივლისში საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.[137] 2022 წლის 29 სექტემბერს გაიმართა გამწესრიგებელი სხდომა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების თაობაზე. საანგარიშო პერიოდში სასამართლოს არ მიუღია გადაწყვეტილება სარჩელის დასაშვებობის შესახებ.

■ არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ქონებრივი უფლებები

საანგარიშო პერიოდში გადაუჭრელი რჩება არადომინანტური რელიგიური გაერთიანებების ისტორიული რელიგიური ქონების რესტიტუციის საკითხი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების დაბრუნება, სხვა რელიგიური გაერთიანებებისგან განსხვავებით, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეძლო. ამგვარი ქონების ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაა, ნაწილი კი საქართველოს საპატრიარქოს ხელში გადავიდა. მნიშვნელოვანია, რომ რელიგიური შენობების უმრავლესობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. იმის გამო, რომ ნაგებობები რიგ შემთხვევაში უფუნქციოა ან ისტორიულ მესაკუთრეებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ, განადგურების საფრთხის ქვეშაა. ძეგლების შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი კი სახელმწიფოა.

გარდა ისტორიული ქონებისა, რელიგიური გაერთიანებები დაბრკოლებებს აწყდებიან ახალი სამლოცველოების მშენებლობის პროცესშიც. 2022 წელს კი საქართველოს ევანგელისტური ეკლესია მისი ერთადერთი სამლოცველო სახლის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა.

137. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 22 ივლისის კონსტიტუციური სარჩელი №1627. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3MGZPWO

■ ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმე

ახალი რელიგიური ნაგებობების მშენებლობის პროცესში სახელმწიფოს მხრიდან ხელოვნური დაბრკოლების შექმნის პრობლემა ყველაზე მწვავედ 2017 წელს, ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ნებართვაზე უარში გამოჩნდა. ბათუმის მერიამ ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მეჩეთის მშენებლობის ნებართვის გაცემა პირველ ეტაპზევე არ დააკმაყოფილა. 2019 წლის 30 სექტემბრის ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და 2021 წლის 13 აპრილს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მშენებლობის ნებართვაზე უარი შეფასდა, როგორც უკანონო და რელიგიის ნიშნით მოსარჩელეების მიმართ დისკრიმინაციული.

2021 წელს ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის საქმემ საქართველოს უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლა.[138] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2022 წლის 13 იანვრის განჩინებით დასაშვებად ცნო საკასაციო საჩივრები (როგორც ბათუმის მერიის, ასევე ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის) და გადაწყვიტა საქმის განხილვა მხარეთა დასწრების გარეშე. თარიღი, როდის განიხილავს სასამართლო საქმეს, უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ განხილვისათვის დადგენილი ფორმალური ვადები სასამართლოს მიერ უკვე დარღვეულია. ნათელია, რომ ბათუმის მერია გადაწყვეტილების გასაჩივრებით საქმეს აჭიანურებს. შედეგად, მუსლიმების ფუნდამენტური უფლებების დარღვევას სისტემური და განგრძობითი ხასიათი აქვს.

■ საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის საქმე

საანგარიშო პერიოდი საქართველოს ევანგელისტური ეკლესია ერთადერთი სამლოცველოს დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგა. სამლოცველო ეკლესიის წევრების ძალისხმევით ხუთი წლის განმავლობაში შენდებოდა.[139] არაერთი გარემოება მიანიშნებს, რომ ეს არის საეჭვო და

138. იხ. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის სიახლე: 21.07.2022: https://bit.ly/41tcYcP

139. საქართველოს ევანგელისტური ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებულ საქმის ანგარიში, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), 2023 წლის 9 თებერვალი.

წინააღმდეგობრივი სამოქალაქო საქმის გამოყენებით პასტორის რეპუტაციის შელახვის, ევანგელისტური ეკლესიის ერთადერთი სამლოცველო სახლის წართმევის, რელიგიური გაერთიანების ავტონომიურობისა და დამოუკიდებელ ეკლესიად არსებობის წინააღმდეგ მიმართული მცდელობა.

საქმეში მოსარჩელეები არიან აშშ-ს მოქალაქე ბიუნ ჩან პარკი და აშშ-ში რეგისტრირებული ორგანიზაცია „12 Baskets", რომელიც ეკუთვნის იმავე პირს. 2019 წელს პარკმა ევანგელისტური ეკლესიის პასტორის, ზაალ ტყეშელაშვილის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რითაც მოპასუხისგან მოითხოვა მის სასარგებლოდ გადაეხადა ის შემოწირულობები, რომელიც მოსარჩელემ, ეკლესიის სახელით, წლების განმავლობაში შეაგროვა ქრისტიანი მორწმუნეებისგან.

საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელე პარკის არც ერთი სასარჩელო მოთხოვნა. თუმცა მოსარჩელემ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2022 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ შეცვალა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ევანგელისტური ეკლესიის პასტორს მოსარჩელე პარკისთვის 90 000 აშშ დოლარის გადახდა დააკისრა. 2023 წლის 30 იანვარს პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა გადაწყვეტილება საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

მნიშვნელოვანია, რომ საქმეში არაერთ ბუნდოვანი გარემოებაა. მათ შორისაა მოსარჩელის მიერ წარდგენილი სავარაუდოდ გაყალბებული დოკუმენტების ასლებიც, რომლებზეც დატანილია აშშ-ის ნოტარიუსის ბეჭედი. საბუთების სავარაუდო გაყალბების ფაქტზე, 2019 წლის ნოემბერში, პასტორმა ზაალ ტყეშელაშვილმა გამოძიების დაწყების მოთხოვნით საქართველოს პროკურატურასაც მიმართა. თუმცა ამ დრომდე შედეგი არ დამდგარა. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის წინააღმდეგ გადაწყვეტილება სწორედ ამ დოკუმენტებზე დააფუძნა.

იხ: https://bit.ly/3KJ8p7k

სახელმწიფოს მიერ რელიგიური საქმიანობის უკანონო კონტროლი

განსაკუთრებით საგანგაშო იყო 2021 წელს გავრცელებული ინფორმაცია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური, სავარაუდოდ, უკანონო ფარული მოსმენა-მიყურადების და თვალთვალის შესახებ, რაზეც დანაშაულის გამოძიების პროცესი არ არის ეფექტიანი და ხელისუფლებას პასუხისმგებელი პირები ამ დრომდე არ გამოუვლენია.

2021 წლის 13 სექტემბერს ათასობით ფაილი განთავსდა ონლაინ პლატფორმებზე.[140] ფაილებში არსებულმა ინფორმაციამ აჩვენა, რომ ხელისუფლება უთვალთვალებს და უსმენს უფლებადამცველებს, ჟურნალისტებს, დიპლომატებს, პოლიტიკოსებს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებს. გამოქვეყნებული დოკუმენტების სრული უმრავლესობა შეეხებოდა რელიგიის თემატიკას და რელიგიურ ორგანიზაციებს. მონაცემთა ბაზა შეიცავს ადამიანების პირადი ცხოვრების, მათი ოჯახის წევრების, ახლობლებისა და სხვა ადამიანებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციას და პერსონალურ მონაცემებს.

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული განცხადების თანახმად, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით დაიწყო (კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევა).[141]

სოციალური სამართლიანობის ცენტრის ინფორმაციით,[142] რომელიც ოთხი დაზარალებული სასულიერო პირის უფლებებს იცავს, გამოძიება არაეფექტიანად მიმდინარეობს. დაზარალებულის სტატუსი მათ პროკურატუ-

140. 2021 წლის განცხადება გავრცელებულ უკანონო ჩანაწერებზე ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rGaEiX

141. საქართველოს პროკურატურის 2021 წლის 18 სექტემბრის განცხადება. იხ: https://pog.gov.ge/news/https-pog-gov-ge-1-2

142. სუს-ის კრებსებზე მიმდინარე გამოძიების შეფასება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022 წლის ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3UgKfoY

რამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 2022 წლის ოქტომბერში მიანიჭა. საყურადღებოა, რომ დაზარალებულ სასულიერო პირთა წრე გაცილებით დიდია.

რელიგიური ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსება

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სახელმწიფო დაფინანსება 2022 წელსაც შენარჩუნდა. წინა წლების მსგავსად, ამ წელსაც საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 25 მილიონი ლარი მიიღო. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობენ ფინანსური და მატერიალური რესურსების გადაცემა საბჭოთა ხელისუფლების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებად წარმოაჩინონ, სინამდვილეში ეს სახელმწიფო დოტაციაა და არა მიყენებული ზიანის ობიექტური და სამართლიანი კომპენსაცია.

საბჭოთა ეპოქაში მიყენებული ზიანის სიმბოლური ანაზღაურების მიზნით, ოთხი რელიგიური გაერთიანება (მუსლიმური, ებრაული, კათოლიკე და სომეხთა სამოციქულო ეკლესია) ასევე იღებს ყოველწლიურ დაფინასებას 2014 წლიდან. ამ თანხებს ანაწილებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო. მიმდინარე წელს აღნიშნული თანხა 1 მილიონი ლარით გაიზარდა და ოთხივე რელიგიური თემისთვის ჯამურად 5,5 მილიონ ლარი შეადგინა.[143] საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლად მხოლოდ ოთხი რელიგიური ორგანიზაციის აღიარება დისკრიმინაციული პრაქტიკის გაგრძელებაა, გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა ეპოქაში რელიგიური გაერთიანებების გაცილებით დიდი ნაწილი იყო მასშტაბური ზეწოლის ქვეშ.

გარდა ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსებისა, საქართველოს საპატრიარქოს ფინანსური თუ მატერიალური რესურსები გადაეცემა ადგი-

143. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, 2020-2022 წლების ანგარიში , გვ. 88, ცხრილი N1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3V0pMFH

ლობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდანაც. 2022 წელს, 43 მუნიციპალიტეტის მიერ მართლმადიდებელ ეკლესიას ჯამურად 4,3 მილიონი ლარი გადაეცა.[144]

საპატრიარქოს მუნიციპალური დაფინანსება განსაკუთრებით დიდია მარნეულში და შეადგენს 400 000 ლარს. 2019 წელს ადგილობრივმა აქტივისტმა სამირა ბაირამოვამ და „სსიპ სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველომ“ სასამართლოში სარჩელი წარადგინა მარნეულის საკრებულოსა და მერიის წინააღმდეგ, „მარნეულისა და ჰუჯაბის“ ეპარქიის ყოველწლიური დაფინანსების გამო. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ, 2022 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილებით მარნეულის მუნიციპალიტეტის დაფინანსების პრაქტიკა დისკრიმინაციულად მიიჩნია და ძალადაკარგულად ცნო საკრებულოს დადგენილება. რაიონული სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის, დაფინანსების გამჭვირვალობის, მიზნობრიობისა და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის თვალსაზრისით. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმავე წლის 8 დეკემბერს გააუქმა.[145] სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადებით, სააპელაციო სასამართლომ საქმის ფორმალური და დაჩქარებული განხილვით „უგულებელყო დავის მნიშვნელობა, კონტექსტი, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და კონსტიტუციური პრინციპები“, ერთ სხდომაში, შეაჯამა „მოცულობითი და კომპლექსური ადმინისტრაციული დავა“, შედეგად გააუქმა გადაწყვეტილება.[146] საქმე უზენაეს სასამართლოში გრძელდება.

144. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს საპატრიარქოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტებიდან მიღებული დაფინანსების შესახებ საჯარო ინფორმაცია შეგროვებული და დამუშავებულია გამომძიებელ ჟურნალისტთა გაერთიანება „აი, ფაქტის“ მიერ https://ifact.ge

145. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 01 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N3/23-2

146. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, განცხადება, 12.08.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/43MjDko

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

რელიგიური შეუწყნარებლობით ჩადენილ დანაშაულებზე გამოძიების დაწყების გაუმჯობესებული მაჩვენებლის მიუხედავად, პრობლემად რჩება პროკურატურის მიერ დაზარალებულისა და ბრალდებულის სტატუსის მინიჭების საკითხი და ბრალის წარდგენის დროში გაჭიანურება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურისა და უზენაესი სასამართლოს 2022 წლის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ ერთიანი სტატისტიკური მონაცემებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სავარაუდო რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე 8 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება; საქართველოს პროკურატურამ დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, ხოლო 13 პირს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა.[147]

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნე ჯგუფი მიმდინარე წელსაც იეჰოვას მოწმეთა ქრისტიანულ ორგანიზაცია იყო. 2022 წელს გამოვლინდა სავარაუდო შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 9 შემთხვევა. ეს შემთხვევები, წინა წლების მსგავსად, მოიცავს ვანდალიზმს ღვთისმსახურების ადგილების მიმართ, რელიგიური მსახურების უკანონო ხელშეშლას, ძალადობის მუქარას და ფიზიკურ ძალადობას.[148]

იეჰოვას მოწმისთვის სისხლის გადასხმის საქმე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილება არსებითია რელიგიის და რწმენის თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობის, ღირსებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების ჭრილში.

147. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო – „დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2022. იხ.: https://www.geostat.ge/media/51737/diskriminacia_2022.pdf

148. ინფორმაცია ეფუძნება საქართველოში იეჰოვას მოწმეების 2022 წლის ანგარიშს.

იეჰოვას მოწმე პაციენტი ავტოავარიის შემდეგ უგონო მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოგვიანებით ის რეგიონული საავადმყოფოდან თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადაიყვანეს. პაციენტს ჰქონდა სპეციალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა უარს სისხლის გადასხმაზე ნებისმიერ შემთხვევაში. სამედიცინო მომსახურების გამწევისთვის ცნობილი იყო პაციენტის ნება. მიუხედავად ამისა, საავადმყოფომ ოჯახის სხვა წევრისგან მიიღო თანხმობა და უგონო მდგომარეობაში მყოფ პაციენტს სისხლი გადაუსხა. საავადმყოფოში აცხადებენ, რომ გადასხმა პაციენტის სიცოცხლის გადასარჩენად იყო საჭირო.

პაციენტმა სასამართლოს მიმართა საჩივრით და საავადმყოფოს მორალური ზიანის ანაზღაურება და ექიმის ლიცენზიის სამი წლით შეჩერება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებაში არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნები. თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და ნაწილობრივ დააკმაყოფილა. კერძოდ, მან საავადმყოფოს მორალური ზიანის ანაზღაურება დააკისრა 1,000 ლარის ოდენობით. სასამართლომ განაცხადა, რომ სისხლის გადასხმაზე უარი პაციენტის მიერ მკაფიოდ გამოხატულ ნებას წარმოადგენდა რაც განპირობებული იყო მისი მრწამსით, რელიგიისა და რწმენის თავისუფლება კი პირისთვის კონსტიტუციით დაცული უფლებაა.[149]

ანტისემიტიზმი

2022 წელს გაგრძელდა სასამართლო პროცესები ახალგაზრდა ადამიანის უფლებათა დამცველის, ვიტალი საფაროვის მკვლელობის საქმეზე. 2018 წელს, საფაროვი ეთნიკური შეუწყნარებლობისა და ანტისემიტიზმის მოტივით მოკლეს. 2019 წლის ივნისში თბილისის საქალაქო სასამართლომ საფაროვის მკვლელობის საქმეში ორი მამაკაცი დამნაშავედ ცნო, მაგრამ დანაშაული არ შეფასდა, როგორც მკვლელობა რასობრივი,

149. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე № 330210020004008136 (№2ბ/691-22).

რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის ნიშნით.[150] პროკურატურამ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება მაგრამ 2023 წლის 16 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა. შედეგად, მკვლელობის საქმეზე დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენის გამოკვეთა, კვლავაც პრობლემურია. საქმე უზენაეს სასამართლოში გრძელდება.[151]

სასამართლოში მიმდინარე მკვლელობის საქმის პარალელურად, დაუდგენელმა ფაშისტურმა ჯგუფებმა წამოიწყეს საგანგაშო ანტისემიტური კამპანია გარდაცვლილი ვიტალი საფაროვისა და მისი ოჯახის წინააღმდეგ. 2022 წლის 4 მარტს ვიტალი საფაროვის დედა სოციალური ქსელების საშუალებით ანტისემიტური შინაარსის და სიძულვილის ენის შემცველი თავდასხმის სამიზნე გახდა.[152] პარალელურად, ფეისბუქზე გამოჩნდა არაერთი ანტისემიტური პროფილი და გვერდი, რომლებიც იყენებდნენ გარდაცვლილი საფაროვის ფოტოებს და ავრცელებდნენ ფაშისტურ, ანტისემიტურ გზავნილებს. გამოძიებამ ვერ გამოავლინა სიძულვილით მოტივირებული კამპანიის უკან მდგომი პირები.

2022 წლის 28 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაცია *ისრაელის სახლისთვის* ცნობილი გახდა ინფორმაცია თბილისში, სამგორის რაიონში, ებრაული სასაფლაოს კედელზე უცნობი პირების მიერ დახატული ნაცისტური სვასტიკის შესახებ (ვანდალიზმის ზუსტი თარიღი უცნობია). პოლიცია ადგილზე მივიდა და ფაქტი დააფიქსირა. 2022 წლის აპრილში შსს-დან მიღებული ინფორმაციით, გამოძიება დაიწყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 150² მუხლის საფუძველზე (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის იერსახის დამახინჯება), თუმცა შედეგები უცნობია.[153]

150. „განაჩენი- 15 წელი #ვიტოსთვის“, რადიო თავისუფლება, 27.06.2019, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/418r3wo

151. ვიტალი საფაროვის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ განაჩენი უცვლელად დატოვა – წინ უზენაესის სიტყვაა”, რადიო თავისუფლება, 16 თებერვალი, 2023, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Z2YheK

152. “ვიტალის ფოტოთი ძალადობრივ მოწოდებებს ავრცელებენ“, – როდის დაინტერესდება შსს მომხდარით?”, რადიო თავისუფლება, 14 აპრილი, 2022, http://bit.ly/3JH9SMb

153. „ანტისემიტიზმის ახალი საგანგაშო შემთხვევები საქართველოში“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 22.03.2022, ხელმისაწვდომი.: https://bit.ly/3L4PwgJ

საანგარიშო პერიოდი, სხვა საკითხებთან ერთად, პრობლემური იყო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ანტისემიტური განცხადებების კუთხითაც. უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის ფონზე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული გზავნილები მიმდინარე ომის შესახებ ხშირად ემთხვევა კრემლისა და რუსეთის საპატრიარქოს გზავნილებს.

სხალთის ეპისკოპოსმა სპრიდონმა 2022 წლის აგვისტოს ქადაგებაში ისაუბრა იმაზე, თუ როგორ ექცევიან რუს ტურისტებს საქართველოში და ეს შეადარა ჰიტლერის ქცევას ებრაელების მიმართ. რუსებისადმი არასათანადო მოპყრობის შთაგონების წყაროდ, ეპისკოპოსმა პრეზიდენტი ზელენსკი დაასახელა.[154] ამასთან ერთად, მას ჰიტლერს ადარებს და რუსულ სამხედრო აგრესიას „ჩადენილი ცოდვების“ რისხვად მიიჩნევს: „აი, მაგ კაცის ცოდვების გამო და ამ სატანისტური იდეოლოგიის გამო, ხომ ხედავთ, რა ხდება უკრაინაში.“[155]

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ხარება ჩიქოვანის და გიორგი სამსონიძის ანტისემიტური შინაარსის პოსტები უკავშირდება რუსეთის სამხედრო აგრესიას უკრაინაში. იზიარებს შეთქმულების თეორიას ებრაელების მსოფლიო ბატონობის შესახებ და ამ კონტექსტში ხაზს უსვამს უკრაინის პრეზიდენტ ზელენსკის ებრაულ წარმოშობას, ვინც პასუხისმგებელია რუსეთის აგრესიაზე და უკრაინელთა მიზანმიმართულ ხოცვაზე.[156] არც ეკლესიას და არც სახელმწიფოს არ გაუკეთებიათ ანტისემიტიზმის კონკრეტული შემთხვევების კრიტიკული შეფასება.

154. მეუფე სპირიდონი: რუს ტურისტებს უხეშად მოეპყარითო – ასე აკეთებდა გიტლერი”, ტაბულა, 17 აგვისტო, 2022, ხელმისაწვდომი.: https://bit.ly/43y91W7

155. 2022 წლის 14 აგვისტოს ქადაგების ვიდეო ბმული: https://www.facebook.com/mamulimamulishvilebi/videos/1072378643396030

156. დეტალური ინფორმაციისთვის იხ: „ანტისემიტიზმის ახალი საგანგაშო შემთხვევები საქართველოში“, ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 22.03.2022, ხელმისაწვდომი.: https://bit.ly/3L4PwgJ

რეკომენდაციები

საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას:

- უზრუნველყოს საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სეკულარული სახელმწიფოს პრინციპის დაცვა, ყველა რელიგიური გაერთიანების თანასწორად მოპყრობა და დისკრიმინაციული რელიგიური პოლიტიკის, პრაქტიკისა და კანონმდებლობის აღმოფხვრა;
- უარი თქვას რელიგიური გაერთიანებების სასულიერო პირებისათვის სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის დისკრიმინაციული კანონების მიღებაზე;
- აღმოიფხვრას არადომინანტური რელიგიური ორგანიზაციების მიერ ახალი სალოცავი ადგილების აშენებისას დაბრკოლებების შექმნის დისკრიმინაციული პრაქტიკა; ბათუმის მერიამ მუსლიმებს ბათუმის ახალი მეჩეთის ასაშენებლად მისცეს მშენებლობის ნებართვა;
- დაიწყოს რესტიტუციის პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავება ისტორიული ქონების დაბრუნებისთვის;
- დაუყოვნებლივ გამოიძიოს მასშტაბური უკანონო თვალთვალისა და მიყურადების ფაქტები და პასუხისგებაში მისცეს ყველა დამნაშავე სახელმწიფო თანამდებობის პირი.
- გააუმჯობესოს რელიგიური შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების დროული და ეფექტიანი გამოძიება;
- სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირებმა გააკეთონ დროული და მკაფიო განცხადებები რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, ანტისემიტიზმის, სიძულვილისა და ძალადობის წინააღმდეგ.

არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში, წინა წლების მსგავსად, უმცირესობების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები და თემის აქტივისტები აქტიურად აყენებდნენ დღის წესრიგში არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვის საკითხებს. თუმცა, ამ მიმართულებით ცენტრალურ და ადგილობრივ უწყებებს მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადაუდგამთ. ეთნიკური უმცირესობებისთვის უფრო ინკლუზიური და სამართლიანი გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვან ისეთ საბაზისო საკითხებზეც კი არ გვაქვს პროგრესი, როგორიცაა საკონსულტაციო საბჭოების შექმნა მთავრობასთან და პარლამენტთან, სერვისების მიწოდების პროცესში და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ადმინისტრაციულ პრაქტიკაში უმცირესობების ენებზე თარგმანის რესურსების შექმნა, ეთნიკური მარკერებით სტატისტიკის წარმოება, საჯარო სამსახურში ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამების შემუშავება.

პოზიტიური განვითარებები

2022 წლის ერთ-ერთ პოზიტიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადებული კანონპროექტი, „ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ," რომელიც პოლიტიკურ დღის წესრიგში არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების უპრეცედენტო თვითორგანიზების შემდეგ დადგა. სამწუხაროდ, ამ დრომდე საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, თუ როგორია კანონპროექტის საჯარო განხილვისა და მიღების გეგმა და ვადები.

მისასალმებელია, რომ 2022 წელს საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტმა ჩაატარა ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის მოკვლევა[157]. დოკუმენტმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა არაქართულენოვანი თემებისთვის სკოლამდელი და ზოგადი განათლების სფეროში არსებული ფუნდამენტური გამოწვევები და ხარვეზები. მათ შორის, სკოლამდელ

157. ეთნიკური უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით შექმნილი თემატური ჯგუფი https://parliament.ge/media/news/etnikuri-umtsiresobebis-khariskhian-ganatlebaze-khelmisatsvdomobis-shestsavlis-miznit-datsqebuli-tematuri-mokvlevis-farglebshi-mokvlevis-jgufis-tsevrebi-samokalako-sazogadoebis

განათლებაზე მკვეთრად დაბალი და შეზღუდული ხელმისაწვდომობა ეთნიკური უმცირესობებისთვის; კვალიფიციური მასწავლებლების რესურსის სიმწირე, ბილინგვური სახელმძღვანელოების დეფიციტი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს აღნიშნული მოკვლევის დაწყებამდე, საქართველოს აზერბაიჯანელმა თემმა დაიწყო კამპანია #მასწავლექართულიუფასოდ, რომლის მიზანიც უმაღლესი განათლების საშეღავათო პროგრამის (1+4) მონაწილეებისთვის დაფინანსების არსებული უსამართლო წესის ცვლილების მოთხოვნა იყო, რომელიც ასევე აისახა მოკვლევის დოკუმენტში.

ინტეგრაციის პოლიტიკა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა მუშაობდა სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმების დამტკიცებაზე, ასევე, საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაზე და მისი სამოქმედო გეგმის დოკუმენტზე. აღნიშნულ პროცესში შეინიშნებოდა „მოჩვენებითი ღიაობის“ დამოკიდებულება სახელმწიფო უწყებების მხრიდან, სადაც ისინი ერთის მხრივ აცხადებდნენ, რომ ღია იყვნენ შენიშვნებისა და კომენტარებისთვის, თუმცა, ამ პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის გავლენის მოხდენის შანსები უკიდურესად შეზღუდული აღმოჩნდა.

მოქალაქეობის პრობლემა

ეთნიკური უმცირესობების წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა 2022 წელსაც მოქალაქეობის საკითხი იყო. ეს პრობლემა ყველაზე მასშტაბურად ჯავახეთში მცხოვრებ ეთნიკურ სომეხ თემში დგას[158]. რეგიონში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო,

158. ათასობით ადამიანი ჯავახეთიდან საქართველოს მოქალაქეობის მოლოდინში https://socialjustice.org.ge/ka/products/atasobit-adamiani-javakhetidan-sakartvelos-mokalakeobis-aghdgenis-molodinshi

ადგილობრივ მოსახლეობას უწევს შრომით მიგრაციაში ყოფნა რუსეთში. 2008 წლის ომის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის მიმოსვლის შეწყვეტის შემდეგ, შრომითი მიგრანტების ნაწილს რუსეთის მოქალაქეობის მიღება მოუწიათ, რის გამოც მათ საქართველოს მოქალაქეობა ავტომატურად დაკარგეს. დღესდღეობით კი ათიათასობით ადამიანი ვერ ახერხებს საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას საკმარისი ენობრივი კომპეტენციების არქონის გამო. მოქალაქეობის პრობლემები ასევე დგას 90-იანი წლების კონფლიქტის დროს საქართველოდან იძულებით წასული ეთნიკური ოსების, რეპატრირებული მუსლიმი მესხებისა და ჩეჩენი ლტოლვილების წინაშე. სამწუხაროდ, მოქალაქეობის შესახებ არსებული კანონმდებლობა და პოლიტიკა ნაკლებად მგრძნობიარეა ამ ჯგუფების წინაშე მდგარი გამოწვევების მიმართ და მოქალაქეობის გარეშე დარჩენილ ადამიანებს, რომლებსაც ძლიერი პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კავშირები აქვთ საქართველოსთან, საბაზისო პოლიტიკური და სოციალური უფლებების გარეშე ტოვებს.

მუსლიმი მესხები არ წარმოადგენენ ეთნიკურ უმცირესობას, თუმცა იმის გამო, რომ მესხების რეპატრიაციის საკითხს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უწევს კოორდინირებას, რაც სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარებას გულისხმობს, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ამ ქვეთავში აღვწეროთ მესხების წინაშე მდგარი გამოწვევებიც. მუსლიმი მესხების სამშობლოში დაბრუნების პროცესი მნიშნველოვანი გამოწვევებით ხასიათდება. საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერისა და დახმარების ფონზე, და საქართველოს მიერ გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების (სტრატეგიისა და კანონის მიღება რეპატრიაციის საკითხზე) მიუხედავად, მესხები დღესაც ვერ ახერხებენ სამშობლოში ღირსეულად დაბრუნებასა და საქართველოს მოქალაქეობის მიღებას. ხშირად, სამშობლოში დაბრუნებულ მესხებში რჩება განცდა, რომ რეპატრიაციის კანონის საფუძველზე მოქალაქეობის მიღების გზა ბიუროკრატიულობით და დამატებითი ბარიერებით გამოირჩევა. ის მუსლიმი მესხები კი, რომლებმაც მრავალი ბარიერისა და სირთულის მიუხედავად სამშობლოში დაბრუდნენ, მოქალაქეობის არქონის პირობებში, ყველაზე მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში აგრძელებენ საქართველოში ცხოვრებას, სადაც საბაზისო სოციალური მხარდაჭერისა

და ჯანდაცვის პროგრამებით ვერ სარგებლობენ. აღსანიშნავია, რომ ნატურალიზაციის გზით ვერც ერთმა მუსლიმმა მესხმა საქართველოს მოქალაქეობა დღემდე ვერ მიიღო[159].

ენის დისკრიმინაციული პოლიტიკა

მიმდინარე წელს ისევ დადგა დღის წესრიგში სერვისის მომწოდებელი უწყებების (იუსტიციის სახლი მარნეულში) მხრიდან ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე თარგმანის რესურსების არარსებობის პრობლემა[160]. სამწუხაროა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები არაერთ მუნიციპალიტეტში და ასევე, სერვისის მიმწოდებელი უწყებები არ აღიარებენ ეთნიკური უმცირესობების უფლებას, მიიღონ სასიცოცხლო ინფორმაცია და სერვისი მათთვის გასაგებ ენაზე. ენის არსებული პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური და სოციალური გარიყულობის სტრუქტურული მიზეზი ხდება, რასაც არაერთი რაოდენობრივი კვლევის შედეგებიც ადასტურებს.

2022 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში აქტიური პროტესტი იყო კომპანია RMG-ის ოქროს მოპოვებითი სამუშაოების წინააღმდეგ[161]. სოფელ მუშევანში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ დაწყებულმა წინააღმდეგობის მოძრაობამ სხვადასხვა აქტივისტური ჯგუფი და თემის ლიდერებიც ჩართო გარემოსდაცვით აქტივობებში. ამ პროცესში თვალშისაცემი იყო გარემოსდაცვით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეთნიკური უმცირესობების ჯეროვანი მონაწილეობის პრობლემა, რაც მათ შორის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის უმცირესობების ენაზე თარგმნის არარსებობას უკავშირდებოდა. ამ პროცესში ასევე გამოჩნდა

159. მუსლიმი მესხების რეპატრაციის მოჩვენებითი პოლიტიკა https://socialjustice.org.ge/ka/products/muslimi-meskhebis-repatratsiis-mochvenebiti-politika-sakartveloshi

160. აზერბაიჯანულად ვერ დაგელაპარაკები, აკრძალულია – რა მოხდა მარნეულის იუსტიციის სახლში https://www.radiotavisupleba.ge/a/31692801.html

161. „სოფელი მზადაა რომ ბოლომდე იბრძოლოს თავისი უფლებების დასაცავად“ მუშევანში RMG-ის მუშაობას აპროტესტებენ https://www.marneulifm.ge/ka/politika/article/65547--sofeli-mzadaa-rom-bolomde-ibrdzolos-thavisi-uflebebis-dasacavad-mushevanshi-s-mushaobas-aprotesteben

სოფლის მოსახლეობასთან მემორანდუმის გაფორმების პრაქტიკა, როცა კომპანია მოპოვებითი სამუშაოების შეუზღუდავი ჩატარების სანაცვლოდ ადგილობრივ მოსახლეობას ჰპირდება იმ საბაზისო სოციალური და ინფრასტრუქტურული საჭიროებების გადაჭრას, რომელიც სოფელში არსებობს და რომელთა მოგვარება სახელმწიფოს კომპეტენციებს მიეკუთვნება. აღნიშნულ მემორანდუმს, როგორც წესი, არ აქვს სავალდებულო ხასიათი და მისი აღსრულების მექანიზმები სუსტია. ამასთან, ამ პროცესში რთულია წარმოდგენილი იყოს ადგილობრივი თემის საჭიროებების მრავალფეროვნება და რეალური დემოკრატიული ინტერესები. მოლაპარაკებების პროცესი ინვესტორთან, როგორც წესი, სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე მიმდინარეობს და ამ პროცესში კომპანიასა და ადგილობრივებს შორის ძალაუფლებრივი ასიმეტრიის დაძლევა ვერ ხდება. ცხადია, რომ ორმხრივი მოლაპარაკების ფორმატის და მემორანდუმის ეს პრაქტიკა იმის მანიშნებელია, რომ არსებული სალიცენზიო თუ სანებართვო პროცედურა ადგილობრივი მოსახლეობისა და ინვესტორის ურთიერთობას სათანადოდ ვერ აწესრიგებს და მოსახლეობის გარემოსდაცვითი და სოციალური ინტერესები დაუცველი რჩება.

ულტრაკონსერვატიული ჯგუფები

ალტ-ინფოსა და პარტია კონსერვატიული მოძრაობის წევრები/მხარდამჭერები ღიად, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ მარნეულელ აქტივისტს სამირა ბაირამოვას, მას შემდეგ რაც ამ უკანასკნელმა მარნეულში მდებარე კონსერვატიული პარტიის ოფისის ფასადი უკრაინის დროშის ფერებში შეღება. გარდა სიცოცხლის მოსპობის მუქარისა 2022 წლის 16 მარტს, ალტ-ინფოსა და კონსერვატიული მოძრაობის წევრები შეიკრიბნენ მარნეულში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს ს. ბაირამოვას და მისცეს ორდღიანი ვადა კონსერვატიული მოძრაობის ბანერების აღსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრნენ. ალტ-ინფოსა და კონსერვატიული მოძრაობის წარმომადგენლები სამირა ბაირამოვას რელიგიურ კუთვნილებას უსვამდნენ ხაზს და უთითებდნენ, რომ იგი ქრისტიანული ჯვრისა და სარწმუნოების წინააღმდეგ იბრძვის. ფაქტზე დაწყებული გამოძიების მიუხედავად, 20 მარტს, სავარაუდოდ, კონსერვატიული პარტიისა და ალტ-ინფოს წარმომადგენლებმა, მარნეულში, ერთიანი ნა-

ციონალური მოძრაობის ოფისის გარე ფასადი წითლად შეღებეს და შეურაცხმყოფელი წარწერები კვლავ სამირა ბაირამოვას მიმართ გააკეთეს. ფაქტებზე გამოძიება დაიწყო, პროკურატურამ სამირა ბაირამოვა დაცვის სპეციალურ პროგრამაშიც ჩართო, თუმცა, გამოძიებას ამ დრომდე სხვა შედეგი არ მოჰყოლია.[162] არ მომხდარა სავარაუდო დამნაშავეების იდენტიფიცირება და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

უმცირესობების კონტროლის პრაქტიკები

პრობლემური იყო პანკისის ხეობაში დაფიქსირებული პრაქტიკა, როცა სავარაუდოდ პოლიციამ უკრაინაში მიმდინარე სასტიკი ომის ფონზე ადგილობრივების მიერ საჯარო სივრცეებში დახატული იჩქერიის დროშები წაშალა, რასაც ადგილობრივების უკმაყოფილება მოჰყვა. ამ მოვლენებს შემდგომში მედიაშიც არასწორი ინტერპრეტაციები მიეცა და ადგილობრივი აქტივისტების მიმართ პრობლემური წინასწარგანწყობების გავრცელებაც მოჰყვა.[163]

წელს შემაშფოთებელი იყო საზღვრის კვეთის დროს ჩრდილოეთ კავკასიელების შემოწმების სავარაუდოდ ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციული პრაქტიკა[164], რაც საზღვარზე ცალკე ოთახში, მათი სპეციალური და უფრო რთული პროცედურით გამოკითხვას გულისხმობდა. იმ ფონზე, როცა რუსეთის სხვა მოქალაქეებს, რომლებიც სამხედრო მობილიზაციისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ, ხელისუფლება თავისუფლად უშვებდა საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიელების შემოწმების სპეციალური და უფრო გართულებული წესი, როცა დღეების განმავლობაში ადამიანებს

162. აშკარაა დაუსჯელობის და ხელისუფლების ლოიალობის ნიშნები ალტ-ინფოსა და კონსერვატიული მოძრაობის ლიდერების მიმართ https://socialjustice.org.ge/ka/products/ashkaraa-dausjelobisa-da-khelisuflebis-loialobis-nishnebi-alt-infosa-da-konservatiuli-modzraobis-liderebis-mimart

163. პანკისში დროშების გადახატვაზე რუსთავი 2-ის მანიპულაციური სიუჟეტი გასაჩივრდა https://socialjustice.org.ge/ka/products/pankisshi-droshebis-gadakhatvaze-rustavi-2-is-manipulatsiuri-siuzheti-gasachivrda

164. შემაშფოთებელია ჩრდილოეთ კავკასიელების მიმართ საზღვარზე შემოწმების სავარაუდო დისკრიმინაციული მიდგომა https://socialjustice.org.ge/ka/products/shemashfotebelia-chrdiloet-kavkasielebis-mimart-sazghvarze-shemotsmebis-savaraudo-diskriminatsiuli-manera

რიგში დგომა და შემოწმება უწევდათ, მიუღებელი იყო. საზოგადოებრივი პროტესტის შემდეგ რამდენიმე კვირაში ეს პრაქტიკა შეიცვალა, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს.

სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია

სასოფლო-სამეურნეო მიწების უსამართლო და უთანასწორო გადანაწილების საკითხმა 2022 წელს სამი რეგიონის მინიმუმ სამ სოფელში, თექალოში (ქვემო ქართლი)[165], ყაურმაში (სამცხე-ჯავახეთი)[166] და დუზაგრამში (კახეთი)[167] იჩინა თავი. ეს შემთხვევები კიდევ ერთხელ გვანახებს, რომ საქართველოში მიწის რეფორმამ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, დღემდე ვერ აღმოფხვრა სოციალური უკმაყოფილებები და უსამართლობები ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

მიმდინარე წელს სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტმა[168] და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა[169] მნიშვნელოვანი კვლევები

165. სოფელ თექალოში მოსახლეობასთან შეხვედრა https://socialjustice.org.ge/ka/events/sofel-tekalos-mosakhleobastan-shekhvedra

166. სოფელ ყაურმაში მოსახლეობას მიწებით სარგებლობის უფლებას არ აძლევენ https://www.facebook.com/socialjustice.org.ge/videos/1051699998838203/?paipv=0&eav=AfayYc4LFGTEngSaa94HWe-qy8kKBAPT-1LrCbIwQ5vOoIM3IG8fWq2LgFTk-B3EQ5k&_rdr

167. დუზაგრამის ოლიგარქი ანუ როგორ დაეპატრონა მერის რწმუნებული სოფლის მიწებს https://ifact.ge/duzagrama/?fbclid=IwAR24xKhEvxG-J1fFZ3a6zQ6ch9x1we-9fu6HPuUvsnsCvLcBGplSVoVGJPw

168. ეთნიკური უმცირესობის ექსკლუზია (გარიყვა) საქართველოში 2021 https://www.issa-georgia.com/ge/non-entrepreneurial-non-commercial-legal-entity/fondi-ghia-sazogadoeba-saqartvelo/etnikuri-umtsiresobis-eqskluzia-garikva-saqartveloshi-2021/175?fbclid=IwAR2CAWUSnNMdbgxLBT0_zlLa7IjB5vvxNreWFvwqaYK9orXwkzIFgtToOI8

169. ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sotsialuri-da-ekonomikuri-ekskluzia
შიშველი შრომა – არადომინანტური ეთნიკური ჯგუფები სოფლის მეურნეობაში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/shishveli-shroma-aradominanturi-etnikuri-jgufebi-soflis-meurneobashi
ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელი შშმ თემის გამოცდილება – წვდომა სოციალური დაცვის მექანიზმებზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2023, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/kvemo-kartlshi-mtskhovrebi-azerbaijaneli-shshm-temis-gamotsdileba-tsvdoma-sotsialuri-datsvis-mekanizmebze

ჩაატარეს, რომელმაც ეთნიკური უმცირესობების სოციალური გარიყულობის მძიმე შედეგები და სტრუქტურული მიზეზები გამოავლინა. კვლევებმა აჩვენა, რომ ეთნიკური უმცირესობები სოციალურად კიდევ უფრო გარიყულები და დაუცველები არიან. ასიმეტრია თვალშისაცემია ფაქტობრივად ყველა სფეროში: დასაქმება, განათლება, სოფლის მეურნეობა, სახელმწიფოს სერვისებზე წვდომა.

- **შემოსავლები:** საშუალოზე დაბალი შემოსავალი ქვეყნის მოსახლეობის 53 % აქვს, ეთნიკურ უმცირესობებში კი ეს მაჩვენებელი 68%-ია. ამ მხრივ, განსაკუთრებით რთული ვითარებაა ქვემო ქართლის ეთნიკურად აზერბაიჯანელ თემში. აქ მოსახლეობის 83%-ზე მეტის შემოსავალი საშუალოზე დაბალია.

- **უმუშევრობა:** ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში გამოკითხული რესპონდენტების 12.9% უმუშევარია. მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის შემთხვევაში უმუშევარი ადამიანების წილი შრომითი ასაკის მოსახლეობაში 9.8%-ის ტოლია.

- **დასაქმების მაჩვენებლები:** საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 37.4% განეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობისთვის იგივე მაჩვენებელი შედარებით მაღალია და 45.7%-ს შეადგენს. რაც შეეხება სასოფლო დასახლებებში არსებულ მდგომარეობას, საშუალოდ დასახლების აღნიშნული ტიპი ეკონომიკური აქტივობის შედარებით დაბალი დონით (შესაბამისად, არააქტივობის მაღალი დონით) ხასიათდება. მართლაც, სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების 40.6%, ხოლო ამავე ტიპის დასახლებებში მცხოვრები მთლიანი მოსახლეობის 52.1% განეკუთვნება ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას.

- **შინამეურნეობების ზომა:** ეთნიკური უმცირესობის შინამეურნეობის საშუალო ზომა შეადგენს 4.7 ადამიანს მაშინ, როდესაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის დონეზე დათვლილი იდენტური მაჩვენებელი 30%-ით ნაკლებია მასზე და 3.3 ადამიანის ტოლ სიდიდეს შეადგენს.

- **განათლება:** სრული საშუალო განათლების დონეზე უფრო მაღალი საფეხურისთვის (საშუალო ტექნიკური, სრული უმაღლესი, სამეცნიერო ხარისხი) მიღწეული აქვს ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 43.1%, იგივე მაჩვენებელი 26.2%-ს შეადგენს ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში. ამასთან, მაღალია იმ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა წილი, რომელთაც არ მიუღწევიათ სრული საშუალო განათლებისთვის; სრული საშუალო განათლების არმქონე ეთნიკური უმცირესობების წილი 23.2%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც იდენტური მაჩვენებელი 10.1%-ის ტოლია მთლიანად ქვეყნის მოსახლეობის დონეზე. **საინტერესოა ამ სურათის რეგიონულ ჭრილში დანახვა:** სრული საშუალო განათლების არმქონე მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად მაღალია კახეთის აზერბაიჯანელების შემთხვევაში **(რესპონდენტების 54%).** რაც შეეხება რაოდენობრივი კვლევის სამიზნე სხვა რეგიონებს/დასახლებებს, მათთვის დათვლილი იდენტური მაჩვენებელი შედარებით დაბალია: ქვემო ქართლი – 17.7%, პანკისი – 11.5%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში სრული საშუალო განათლების არმქონე მოსახლეობის წილი მხოლოდ 9.4%-ს შეადგენს. პარალელურად, კახეთის რეგიონში შედარებით დაბალია იმ შინამეურნეობათა წილი, რომლებსაც მიღწეული აქვთ საშუალო განათლებასთან შედარებით უფრო მაღალი საგანმანათლებლო საფეხურისთვის (რესპონდენტების 12.2%). სხვა რეგიონებისთვის/დასახლებებისთვის აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით მაღალია და შემდეგ პროცენტულ სიდიდეებს შეესაბამება: პანკისი – 35.5%, სამცხე-ჯავახეთი – 32.4%, ხოლო ქვემო ქართლი – 25.3%.

- **ენა:** ეთნიკური უმცირესობების 63%, ცუდად ან ძალიან ცუდად ცნობს ქართულ ასოებს, 60% – ს ფაქტობრივად, არ შეუძლია ქართულად საუბარი, 84%-ს კი არ შეუძლია ქართული ლიტერატურის კითხვა და ტექსტის შინაარსის გაგება. ენის ცოდნა დაკავშირებულია დასაქმებასთანაც. აღმოჩნდა, რომ ქართული ენის მცოდნეთა 26% დასაქმებულია, ხოლო არმცოდნეთა მხოლოდ 9%-ა დასაქმებული. ეს კი ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა: ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საბავშვო ბაღების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ ნაკლებია, ეთნიკურ უმცირესობებს თითქმის 2-ჯერ ნაკლები მასწავლებლები ასწავლიან, ვიდ-

რე რეალურად სჭირდებათ. ამ სკოლებში ამ დრომდე არ არის დანერგილი ხარისხიანი ბილინგვური წიგნები. ენის ამგვარი პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების გაუცხოებას და იზოლაციას იწვევს.

- **მონაწილეობა:** ეთნიკური უმცირესობების 70%-ზე მეტი თითქმის არ მიმართავს თვითმმართველობებს. 57% კი აცხადებს, რომ ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმირებული არ არის. რესპონდენტების საშუალოდ 90%-ს არასდროს მიუღია მონაწილეობა შემდეგ აქტივობებში: საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა, ეგზიტპოლების განხორციელება, საარჩევნო კომისიის წევრობა/თავმჯდომარეობა, პოლიტიკური პარტიის აგიტაცია, საარჩევნო ბუკლეტების ან საინფორმაციო ბროშურების გავრცელება, საარჩევნო სიების დაზუსტება.

- **უფლებების დაცულობის განცდა:** რესპონდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი (42%-91%) ყველა ეთნიკურ ჯგუფთან მიმართებით აფიქსირებს, რომ ამ ჯგუფების უფლებები მათ რაიონში/ქალაქში დაცულია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ეთნიკურად ქართველების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი დიდ უმრავლესობას წარმოადგენს (90.7%), მაშინ როდესაც სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით მათი უფლებების დაცვაზე მიუთითებს გამოკითხულთა გაცილებით ნაკლები რაოდენობა (აზერბაიჯანელებთან მიმართებით –- 49%, ქისტების შემთხვევაში – 42%; სომხებთან მიმართებით – 53%).

- **სოფლის მეურნეობა:** ეთნიკური უმცირესობებისთვის სოფლის მეურნეობა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა. აქ პროდუქტების გაყიდვით მიღებული თანხები ოჯახების თითქმის 22%-ისთვის არის შემოსავლის ძირითადი წყარო. ეს მაჩვენებელი დაახლოებით 3-ჯერ ნაკლებია და მხოლოდ 7%-ს შეადგენს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობაში. სოფლის მეურნეობაზე სასიცოცხლო მიჯაჭვულობის მიუხედავად, ეთნიკური უმცირესობების დიდ ნაწილს მონაწილეობა არასოდეს სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვან სახელმწიფო პროგრამებში. უფრო ზუსტად კი, ეთნიკურ უმცირესობებს არ მიუღიათ მონაწილეობა შემდეგ პროგრამებში/პროექტებში: სახელმწიფო პროგრამა „აქარმოვესაქართველოში“ (85.2%), პროგრამა „დანერგე

მომავალი“ (89.6%), აგროდაზღვევის პროგრამა (90%), შეღავათიანი აგროკრედიტი (80.8%), მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (91.1%), ფერმათა/ ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი (89%). რესპონდენტები მცირედ აქტივობას აფიქსირებენ ორი პროექტის მიმართულებით: შეღავათიანი აგროკრედიტი (8.5%) და სახელმწიფო პროგრამა „აქარმოვესაქართველოში“ (5.2%).

- **მიგრაციის მაღალი ინტერესი:** ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები მიგრაციის სურვილი აქვთ და/ან აპირებენ ქვეყნიდან წასვლას, ამის მიზეზად, ძირითადად, ასახელებენ სიღარიბეს (40.5%) და სამუშაო ადგილების ნაკლებობას (25.9%). მიგრაციის მაპროვოცირებელ ფაქტორებად სიღარიბისა და სამუშაო ადგილის პრობლემა ყველა ეთნიკურ ჯგუფში მწვავედ დგას, თუმცა კიდევ უფრო მკვეთრია აზერბაიჯანულ თემში (83.1% და 86.6%), სამუშაო ადგილების პრობლემა, ასევე, აქტუალურია ქისტების თემში (79.6%), ხოლო სიღარიბე – ურბანულ მცირე ეთნოსებში (65%).

- **წვდომა სოციალურ სერვისებზე შშმ პირებისთვის:** სოციალური პოლიტიკის ჩავარდნები კიდევ უფრო მწვავედ აისახება ორმაგი ან მრავალი მოწყვლადობის მქონე შშმ პირებზე, მათ შორის არიან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი შშმ პირებიც. რამდენიმე მონაცემიც კი აჩვენებს ამ კუთხით არსებულ რეალობას: 1. შშმ პირთა რაოდენობა საქართველოს ყველა რეგიონში არაადეკვატურად დაბალია, **თუმცა ქვეყანაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქვემო ქართლის რეგიონშია.** ეს მიუთითებს შშმ პირის სტატუსის მინიჭების მექანიზმებზე ქვემო ქართლის მოსახლეობის წვდომის პრობლემებზე, რის შედეგადაც კიდევ უფრო მეტი შშმ პირი სახელმწიფოს მინიმალური მხარდაჭერის გარეშე რჩება. ქვემო ქართლის სამ მუნიციპალიტეტში შშმ პირთა წილი რეგიონის საშუალო მაჩვენებელზე კიდევ უფრო დაბალია. ესენია, **თეთრიწყაროს (2.07 %), გარდაბნისა (2.28 %) და წალკის (2.3 %) მუნიციპალიტეტები.** 2. ქვემო ქართლის *7 მუნიციპალიტეტიდან 4-ში (გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტები) საერთოდ არ არსებობს* ადრეული განვითარებისა და დღის ცენტრების ქვეპროგრამებით გათ-

ვალისწინებული მომსახურებების მისაწვდომობის შესაძლებლობა, რაც მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახება ამ მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ბავშვების მდგომარეობაზე. 3. ამასთან, ყოველ 100 000 მოსახლეზე იმ სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობით, რომლებიც შშმ სტატუსის დადგენის მიზნით ახორციელებს სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზას, ქვემო ქართლის რეგიონი საქართველოს რეგიონებში ბოლოდან მეორე პოზიციაზე იმყოფება. წალკის, დმანისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ამგვარი დაწესებულებები საერთოდ არ ფუნქციონირებს, რის გამოც მოსახლეობას სტატუსის მისაღებად სხვა მუნიციპალიტეტებში უწევს წასვლა, რაც დიდ ფინანსურ და დროით რესურსთან არის დაკავშირებული. 4. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქვემო ქართლში მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტების (ე.წ. ქოუჩის) მომსახურებაში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა და რეგიონში მცხოვრები შშმ პირების საერთო რაოდენობასთან მისი შეფარდება დაბალია და საქართველოს არაერთ რეგიონს (აჭარის ა/რ, კახეთი, იმერეთი, თბილისის მუნიციპალიტეტი, სამეგრელო-ზემო სვანეთი) ჩამორჩება.

- **ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა:** გამოკითხულთა დიდი წილი (33%) მიიჩნევს, რომ არ აქვს სახელმწიფოს ან ადგილობრივი ხელისუფლების მიერ დაფინანსებული დაზღვევა. გამოკითხულთა 90% არავაქცინირებულია.

ცხადია, რომ ეს რეალობა სახელმწიფოს მხრიდან სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის პოლიტიკის ძირეულ გადააზრებას და სპეციალური მიდგომების დანერგვას საჭიროებს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს:

- გაძლიერდეს შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი ფუნქციები ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტიანად საწარმოებლად. ამ მხრივ ასევე

მნიშვნელოვანია, სახელმწიფო მინისტრის მოადგილეებისა და დეპარატამენტების ხელმძღვანელების პოზიციებზე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა გაიზარდოს. მიზანშეწონილია, აპარატს გააჩნდეს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად და ტრადიციულად დასახლებულ რეგიონებში ოფისები;

- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციის სტანდარტების შესაბამისად, შეიქმნას რეგულარული, დემოკრატიული და ინკლუზიური საკონსულტაციო პლატფორმები პარლამენტის და მთავრობის, ასევე მუნიციპალიტეტების დონეზე, სადაც უმცირესობები კომპაქტურად და ტრადიციულად ცხოვრობენ;
- დაიწყოს კონსულტაციები და დისკუსიები უმცირესობებთან და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციებთან პოლიტიკური მონაწილეობის სპეციალური პოზიტიური მექანიზმების დანერგვასთან დაკავშირებით;
- შექმნას უმცირესობების ენებზე თარგმანის რესურსები, განსაკუთრებით, თვითმმართველობებისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდებაზე პასუხისმგებელ უწყებების ადმინისტრაციულ პრაქტიკაში და მათ საინფორმაციო პლატფორმებზე;
- შექმნას ეთნიკური უმცირესობებისთვის საჯარო სამსახურში დასაქმების ხელშეწყობის სპეციალური პროგრამა, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდებისთვის დასაქმების რეალური და ღირსეული პირობები შეიქმნება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

- საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სახელმწიფო სტრატეგია და შესაბამისი წლიური სამოქმედო გეგმები მთავრობამ შეაფასოს მრავალფეროვნებისა და ინკლუზიურობის კუთხით და ყოვლისმომცველი კვლევებისა და მონაწილეობითი, საკონსულტაციო პლატფორმების შექმნის გზით, გაითვალისწინოს ეთნიკური უმცირესობების თემებიდან სოფლის მეურნეობის სფეროში ჩართული თვითდასაქმებულების და ფერმერების საჭიროებები;

- შეისწავლოს 90-იან წლებში და შემდგომ პერიოდში მიწის რეფორმის პროცესის ხარვეზები და ამ რეგიონებში მცხოვრები ფერმერების

საჭიროებებიდან გამომდინარე, შეიმუშაოს აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელი ან/და შესამსუბუქებელი პოლიტიკა, მათ შორის, სახელმწიფოს ბალანსზე არსებული სხვა მიწების მათთვის კანონიერი მექანიზმებით გადაცემის გზით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- გაუმჯობესდეს ეთნიკური უმცირესობებისთვის ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა და შეიქმნას არაქართულენოვანი თემებისთვის განათლების მხარდამჭერი სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ერთიანობაში დაინახავს და უპასუხებს სკოლამდელ, საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს საფეხურებზე არსებულ გამოწვევებს;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს:

- შეისწავლოს მუსლიმი მესხების რეალური საჭიროებები, შეამციროს მოქალაქეობის მიღების პროცესში მათ წინაშე არსებული ბიუროკრატიული და სამართლებრივი ბარიერები და სამშობლოში დაბრუნებულ ადამიანებს განსაზღვრული დროით მისცეს სპეციალიზებული, მათზე მორგებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამები.
- შეიმუშაოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები და პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ეთნიკური სომხებისა და სხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფებისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენას;

უცხოელები

უკრაინელების უფლებრივი მდგომარეობა

2022 წელს, უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად უკრაინიდან საქართველოში ჩამოსული ადამიანები სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური და ჰუმანიტარული, ასევე, სამართლებრივი გამოწვევის წინაშე დადგნენ. უკრაინელების საქართველოში ჩამოსვლიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა მათი სამართლებრივი პრობლემები და მოიცვა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საკითხები.

თავის მხრივ, 2022 წელს, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად უკრაინიდან საქართველოში შემოსული უკრაინელების სათანადო უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს მხრიდან რიგი ნაბიჯები გადაიდგა.

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ 2022 წლის 24 თებერვლიდან, უკრაინის მოქალაქეებისთვის საქართველომ მნიშვნელოვნად გაამარტივა ოფიციალური საზღვრის კვეთა. უკრაინის მოქალაქეებს საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა შეეძლოთ როგორც საერთაშორისო პასპორტით, ასევე, უკრაინის შიდა პასპორტით, ხოლო არასრულწლოვანი ბავშვების შემთხვევაში – დაბადების მოწმობით. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ უკრაინის მოქალაქეებისთვის საქართველოს საზღვრის კვეთა, საგამონაკლისო წესით, ასევე დაიშვებოდა ვადაგასული დოკუმენტის არსებობის შემთხვევაშიც. მნიშვნელოვანია, რომ საზღვრის კვეთის ეს გამარტივებული რეჟიმი დღემდე მოქმედებს და, ამ კუთხით, უკრაინელებისთვის რაიმე მნიშვნელოვანი დაბრკოლების გარეშე ხორციელდება.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებით, უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ, საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის სხვადასხვა ტიპის სერვისები უფასოდ გახდა ხელმისაწვდომი. ომის დაწყების საწყისი პერიოდიდანვე, ამგვარი პროგრამებით სარგებლობის შესაძლებლობა შეეხო სამედიცინო სერვისებს. კერძოდ, „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულების საფუძველზე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთე-

ლობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში შემოსული და საქართველოში უწყვეტად მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფა დაევალა[170]. აღსანიშნავია, რომ განკარგულება არის ვადიანი, თუმცა, 2022 წლის განმავლობაში მასში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები და განკარგულების დღეს მოქმედი რედაქციით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით სარგებლობა 2022 წლის პირველი თებერვლიდან პირველ ნოემბრამდე საქართველოში შემოსულ და უწყვეტად მცხოვრებ უკრაინის მოქალაქეებს შეუძლიათ. მოცემულ ეტაპზე, პროგრამით სარგებლობა პრობლემურია 2022 წლის პირველი ნოემბრის შემდგომ საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეებისთვის.

დამატებით, საქართველოში უკრაინელებისთვის გათვალისწინებულია ისეთი სახის სამედიცინო პროგრამებზე წვდომა, როგორებიცაა, ტუბერკულოზისა და შიდსის მკურნალობა, დიაბეტის მართვა, დიალიზი და ა.შ.

აღსანიშნავია განათლების სფეროში არსებული შეღავათები, რომლებიც უკრაინელი სკოლის მოსწავლეებისთვის იქნა შემოღებული. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სკოლის მოსწავლეები, რომლებიც 2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში დაწყებული საომარი მოქმედებების შედეგად, ვერ ახერხებენ უკრაინის სკოლებში ზოგადი განათლების მიღების გაგრძელებას და გამოხატავენ სურვილს, რომ სწავლა საქართველოში განაგრძონ, სკოლებში გამარტივებული წესით ჩაირიცხებიან.

გარდა ცენტრალურ დონეზე განხორციელებული ღონისძიებებისა, საქართველოში ჩამოსული უკრაინელებისთვის სხვადასხვა სახის დახმარება გასწია რამდენიმე მუნიციპალიტეტმა, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი მიღებულ უკრაინელ ლტოლვილთა განსახლებისა და პირველადი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების საქმიანობაში. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ დედაქალაქში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს გარკვეული სახის მუნიციპალური სერვისები უფა-

170. „უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების გამო განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 2 მარტის №387 განკარგულება.

სოდ შესთავაზა. ეს შეღავათები შეეხო ისეთ სერვისებს, როგორებიცაა, ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში უფასოდ მგზავრობა; მუნიციპალურ საბავშვო ბაგა-ბაღებში უკრაინელი ბავშვების მიღება; ასევე, მუნიციპალური სპორტული ცენტრების, აუზების, მუზეუმების, თეატრების, ბიბლიოთეკების, მედიათეკების, ხელოვნების სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მომსახურებით უფასოდ სარგებლობა. დამატებით, საქართველოს რკინიგზის გადაწყვეტილებით, უკრაინის მოქალაქეებს, საქართველოს მასშტაბით, ნებისმიერ რეისზე უფასოდ მგზავრობის შესაძლებლობა მიეცათ.

საქართველოს მთავრობის მიერ 2022 წლის ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილებით, შეიცვალა სქემა, რომლის მიხედვითაც საქართველოში უკრაინელი ლტოლვილებისთვის სოციალურ-ეკონომიკური დახმარების გაწევა ხდებ(ოდ)ა. კერძოდ, თუკი 2022 წლის 24 თებერვლის შემდგომ, სხვადასხვა წყაროთი და დაფინანსებით ხდებოდა უკრაინელთა განთავსება სასტუმროებში/საოჯახო ტიპის სასტუმროებში, ეს სქემა 2022 წლის აგვისტოს თვიდან ყოველთვიური დახმარების ფორმით ჩანაცვლდა, უფრო კონკრეტულად, საქართველოს მთავრობის 2022 წლის №1254 განკარგულებით, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო საქართველოში შემოსული უკრაინის მოქალაქეებისა და უკრაინის ტერიტორიაზე მუდმივად ცხოვრების უფლების მქონე პირებისთვის გათვალისწინებულ იქნა 3 თვის განმავლობაში, საცხოვრებელი პირობების შექმნისთვის ოჯახზე (მათ მიერ განსაზღვრულ პირთა წრე) თვეში 300 ლარის, ხოლო, საარსებო პირობების უზრუნველსაყოფად – პირზე 45 ლარის გაცემა. მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული ფინანსური დახმარება გათვალისწინებულ იქნა მხოლოდ იმ უკრაინელთათვის, რომლებიც საქართველოში შემოვიდნენ 2022 წლის პირველი თებერვლიდან 2022 წლის 15 ივლისამდე პერიოდში და საქართველოში განთავსებულნი იყვნენ სხვადასხვა საჯარო დაწესებულების მიერ დაფინანსებულ სასტუმროებში. შესაბამისად, 2022 წლის პირველი თებერვლიდან 15 ივლისამდე საქართველოში შემოსული ის უკრაინელები, რომლებმაც საკუთარი სახსრებით შეძლეს თავის შენახვა და განთავსება სასტუმროსა თუ საქართველოში მყოფი ნათესავების/მეგობრების საშუალებით, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი და გათვალისწინებული სოციალური დახმარების მიღმა დარჩნენ. ეს ასპექტი სა-

ქართველოს მთავრობის მიერ ჩამოყალიბებული სქემის მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

2022 წელს უკრაინის მოქალაქეებს პრობლემები შეექმნათ საქართველოში საბანკო ანგარიშის გახსნასთან დაკავშირებით. კერძოდ, უკრაინის მოქალაქეები, რომლებმაც საქართველოს საზღვარი გადმოკვეთეს უკრაინის შიდა პასპორტით და მხოლოდ აღნიშნულ დოკუმენტს ფლობენ, საბანკო სერვისებით სარგებლობას ვერ ახერხებენ, რამდენადაც, საბანკო ანგარიშის გახსნა უკრაინის მოქალაქეებისთვის შესაძლებელია მხოლოდ ე.წ. საერთაშორისო პასპორტით, ან საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაცემული სხვა ვალიდური დოკუმენტით (მაგალითად, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტით, ბინადრობის მოწმობით).

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთა

2022 წელს, კვლავ გამოწვევად დარჩა საქართველოს საზღვრის კვეთაზე უცხოელებისთვის უარის თქმის საკითხი, რაც 2021 წლის მდგომარეობითაც ასევე პრობლემური იყო. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წელს 21 698 უცხოელს შეეზღუდა საქართველოში შემოსვლა, თუმცა სამინისტროს არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ[171].

საქართველოს კანონმდებლობა, უცხოელების საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლის საკითხის გადაწყვეტისა და უცხოელებისთვის საზღვრის კვეთისას უარის თქმის საკითხთან მიმართებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის უფლებამოსილ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას განუსაზღვრავს. კანონმდებლობით, ერთი მხრივ, დადგენილია კონკრეტული გარემოებები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელების დაშვებაზე უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს, მეორე მხრივ კი, ერთ-ერთ ამგვარ გარემოებად გათვა-

171. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი.

ლისწინებულია „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები“. სწორედ აღნიშნული საფუძვლის შინაარსი, რომელიც განჭვრეტადი არ არის, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს ფართო დისკრეციას უქმნის, მასში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი რეგულაცია მოიაზროს. მოცემული ჩანაწერის პრაქტიკული გამოყენების გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ აღნიშნული საფუძვლის მითითებისას, შინაგან საქმეთა სამინისტრო არ უთითებს, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა რა კონკრეტული შემთხვევა გახდა უარის თქმის საფუძველი. ასევე, გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, სამინისტროს მხრიდან არ ხდება კონკრეტული ინფორმაციის მოწოდება, შესაბამისად, ობიექტურად სირთულეს წარმოადგენს გამორკვევა, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გარემოება გახდა თუ არა უარის თქმის რეალური მიზეზი.

მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა საქართველოში შემოსვლაზე პირისთვის უარის თქმის დასაბუთების მოთხოვნას აწესებს, თუმცა, უცხოელისთვის საქართველოს ტერიტორიაზე დაშვებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ფორმა და ამ მხრივ არსებული პრაქტიკა არ ითვალისწინებს კონკრეტული გარემოებების მითითებას, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო. შედეგად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისას სამინისტროს უფლებამოსილი თანამდებობის პირისთვის ამგვარი დისკრეციის მინიჭება უცხოელებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე დაუსაბუთებლად უარის თქმისა და ამ უფლებამოსილების შერჩევითად და დისკრიმინაციულად გამოყენების მომეტებულ საფრთხეს ქმნის. ფართო დისკრეციის ფარგლებში ამგვარ პრობლემურ პრაქტიკასთან ერთად ასევე გასათვალისწინებელია დასახელებული უარყოფითი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და სამართალწარმოების ვადები, რაც უცხოელისთვის საკუთარ უფლებაში აღდგენის ეფექტიან და დროულ მექანიზმს ვერ უზრუნველყოფს.

2022 წელს, დღის წესრიგში იდგა უცხოელი ჟურნალისტებისთვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის პრობლემური ტენდენცია. კერძოდ, უცხოელი ჟურნალისტების მიერ საზღვრის კვეთაზე უარის თქმის შემთხვევებში, შინაგან საქმეთა სამინის-

ტროს უფლებამოსილი პირები არ განმარტავდნენ უარის კონკრეტულ მიზეზს და ხშირად, სამინისტროს მიერ უარის თქმის საფუძვლად მითითებული იყო ის, რომ პირი „არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს“. შესაბამის დასაბუთებაზე წვდომა ასევე არ იყო შესაძლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცესშიც. თავის მხრივ, გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა ასევე გამოწვევას წარმოადგენდა, რაც, სასამართლოს მხრიდან საქმის წარმოების ვადების დარღვევაშიც გამოიხატება.

„უფლებები საქართველო“ აწარმოებს დამოუკიდებელი რუსული მედიასაშუალება „მედიაზონის“ ჟურნალისტის – დავიდ ფრენკელის საქმეს, რომელიც, 2022 წლის 6 მარტს საქართველოში არ შემოუშვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებაში მითითებულ იქნა, რომ ჟურნალისტი „არ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა მოთხოვნებს“. დავიდ ფრენკელისთვის არ განუმარტავთ უარის თქმის კონკრეტული მიზეზი, მაშინ, როდესაც მას, რუსეთის ფედერაციის სხვა მოქალაქეების მსგავსად, უვიზოდ შეეძლო საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლა. უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების ფონზე, საქართველოში შემოსვლისას სხვა დამოუკიდებელი ჟურნალისტების დაბრკოლების პრაქტიკა ქმნის ვარაუდს, რომ დავიდ ფრენკელს დისკრიმინაციულად, სწორედ მისი ჟურნალისტური საქმიანობის გამო არ მიეცა საქართველოს საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა.[172]

ორგანიზაციამ ფრენკელის ინტერესების დაცვის მიზნით ადმინისტრაციული საჩივრით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა და 2022 წლის 6 მარტის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა, რაც, სამინისტროს მიერ არ დაკმაყოფილდა დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენისა და დასაბუთების გარეშე. სამინისტროს გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრდა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სარჩელი სასამართლოში წარდგენილ იქნა 2022 წლის 17 მაისს, ამ დრომდე სასამართლოში საქმის განხილვის სხდომა არ ჩანიშნულა და სარჩელი მხოლოდ წარმოებაში იქნა მიღებული.

172. „უფლებები საქართველოს“ განცხადება დავიდ ფრენკელის საქმეზე, ხელმისაწვდომია: https://www.rights.ge/ka/advert/79

სახელმწიფო უსაფრთხოება

2022 წელს, ასევე უცვლელ გამოწვევად რჩებოდა საქართველოში თავშესაფრის მაძიებლებისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებისა და სტატუსის ჩამორთმევის სახელმწიფო უსაფრთხოების საფუძველზე უპირობო აპელირებით გადაწყვეტის საკითხი.

საქართველოში თავშესაფრის მაძიებლისთვის საერთაშორისო დაცვის მინიჭებისა და საერთაშორისო დაცვის სტატუსის ჩამორთმევის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დასკვნა, რომელიც თავშესაფრის მაძიებლის მიერ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნას ეხება.[173] დასკვნა, თავისი არსით, რეკომენდაციას და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას წარმოადგენს, რომელზე წვდომაც მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირსა და, შემდგომში, მოსამართლეს გააჩნიათ. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ პირისთვის საერთაშორისო დაცვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ერთ-ერთ ხშირად გამოყენებულ საფუძველს სწორედ ეს საიდუმლო ინფორმაცია წარმოადგენს. ამასთან, საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე, არც მოსარჩელე მხარეს და არც მის წარმომადგენელს არ აქვთ ამ ინფორმაციაზე წვდომა, რაც, საქმის განხილვის პროცესში მოსარჩელისა და მისი წარმომადგენლის მონაწილეობას მხოლოდ ფორმალობად აქცევს. მიუხედავად იმისა, რომ, ზოგადად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას, კანონმდებლობით განისაზღვრება ის ზოგადი საფუძვლები, რასაც, შესაძლოა, ამგვარი უარყოფითი დასკვნა ეყრდნობოდეს. მაგალითად, ასეთ საფუძვლებს მიეკუთვნება პირის კავშირი სხვა ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებთან, ტერორისტულ ან/და ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან და სხვა.[174] აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში, თავშესაფრის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ არც მიგრაციის დეპარტამენტის და, შემდგომში, არც

173. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

174. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც წესი, ამგვარ ზოგად საფუძვლებზეც კი არ აკეთებს მითითებას, რაც მოსარჩელის მხრიდან დაცვის უფლების სრულყოფილ რეალიზაციას მეტად შეუწყობდა ხელს.

2022 წლის განმავლობაში, უსაფრთხოების საფუძვლით უარი 29 თავშესაფრის მაძიებელს ეთქვა. იმ პირთაგან, რომლებსაც უარი უსაფრთხოების საფუძვლით ეთქვათ, ავღანეთის – 14 და სირიის 2 მოქალაქეს, რომელთა წარმოშობის ქვეყნებშიც ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები კვლავ საყურადღებოა.[175] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, 2022 წელს სტატუსის მინიჭებაზე უარი ავღანეთის 14 მოქალაქეს ეთქვა. ეს მონაცემები იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ უსაფრთხოების საფუძვლით უცხოელისთვის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის ბერკეტი, შესაძლოა, შერჩევითად და დისკრიმინაციულად იქნეს გამოყენებული კონკრეტული ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რაც, იმ პირებს, რომლებიც წარმოშობის ქვეყნებში არსებული მძიმე უფლებრივი მდგომარეობის გამო მომეტებულად მოწყვლად მდგომარეობაში არიან, კიდევ უფრო მეტად აყენებს დაუცველობის რისკის წინაშე.[176]

ამგვარი სამართლებრივი რეალობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ადმინისტრაციული წარმოებისას წარდგენილი ინფორმაციის დაუსაბუთებლად და დისკრიმინაციულად გამოყენების მომეტებულ საფრთხეს ქმნის და მნიშვნელოვნად აბრკოლებს თავშესაფრის მაძიებლის დაცვის უფლებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2022 წელს ასევე პრობლემური იყო უცხოელებზე, მათ შორის, უცხოელ სტუდენტებზე ანალოგიური საფუძვლით ბინადრობის ნებართვის გაცემაზე უარის თქმის ტენდენცია. საანგარიშო პერიოდში ფიქსირდება არაერთი შემთხვევა, როდესაც სწორედ სახელმწიფო უსაფრთხოების მიზეზებზე აპელირებით ეთქვათ უცხოე-

175. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2022 წელი.

176. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის სტატისტიკური ინფორმაცია სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/63dbabfeaac53.xlsx

ლებს უარი საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემაზე, ამასთან, რიგ შემთხვევებში, ასევე უარის თქმა ხდებოდა ისეთი პირებისთვისაც, რომლებზეც სახელმწიფოს მანამდე უკვე ჰქონდა გაცემული ბინადრობის ნებართვა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების მიზეზით საქართველოში ჩამოსული უკრაინელებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოში არსებული პროგრამებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- დამუშავდეს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაცია დას ინფორმაცია გამოქვეყნდეს პერიოდულად;
- „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევების“ საფუძვლით უცხოელისთვის საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის თქმის დროს, გადაწყვეტილებაში მიეთითოს უარის თქმის კონკრეტული საფუძველი;
- გამარტივდეს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის გზით გასაჩივრების პროცედურა.

საქართველოს პარლამენტს:

- განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები და დაინერგოს საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების ეფექტიანი და უცხოელებისთვის ხელმისაწვდომი მექანიზმი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტს:

- საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის შეფასებისას, ერთი მხრივ, სრულყოფილად იქნეს შესწავლილი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარდგენილი ინფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ, თავშესაფრის მაძიებლის საქმეში არსებული გარემოებები ყოველმხრივ იქნეს შესწავლილ/ შეფასებული და გადაწყვეტილები მიღებულ იქნეს არსებული კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსებით;
- თავშესაფრის მაძიებლისთვის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის პოტენციური საშიშროების შექმნის საფუძვლით საერთაშორისო დაცვის მინიჭებაზე უარის თქმისას გადაწყვეტილებაში მიეთითოს „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი გარემოება.

საქართველოს საერთო სასამართლოებს:

- მოსარჩელესა და მის წარმომადგენელს ყოველ საქმეზე, ინდივიდუალურად, დასაბუთებულად განემარტოთ სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციაზე წვდომისა და, აქედან გამომდინარე, პროცედურული უფლებების შეზღუდვის საჭიროება;
- დასაბუთდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციის, როგორც მთავარი მტკიცებულების საფუძველზე, გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

განგრძობადი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობა

ახალი პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც რეგიონში შეიქმნა უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად, ვერ გახდა საქართველოში ერთიანი სამშვიდობო პოლიტიკის შექმნის საფუძველი. მეტიც, უკრაინის ომის პარალელურად, იმის ნაცვლად, რომ დაჩქარებულიყო 2021 წელს დაწყებული პროცესები დეოკუპაციის და შერიგებისა და ნდობის აღდგენის სტრატეგიების შექმნასთან დაკავშირებით, ეს პროცესი განუსაზღვრელი ვადით შეჩერდა;[177] მიუხედავად იმისა, რომ ყველა პოლიტიკური ჯგუფი კონფლიქტების მოგვარებას არაძალისმიერი, სამშვიდობო მეთოდებით ხედავს,[178] რადიკალიზებულ და ანტაგონისტურ პოლიტიკურ ველში არ ჩანს დიალოგის რესურსი, სადაც სამშვიდობო პოლიტიკის ძირითად პრინციპებზე შეთანხმება გახდება შესაძლებელი.

ამ დაძაბულ პოლიტიკური გარემოში და კრიზისებში კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის მძიმე სოციალური და უფლებრივი ყოფა კვლავ ვერ იქცა პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილად, არ დაწყებულა პროცესი, რომელიც მათ საჭიროებს უპასუხებდა და სისტემურ ცვლილებებს შესთავაზებდა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ადამიანების უფლებრივ და სოციალური მდგომარეობაზე ინფორმაცია კვლავ შეზღუდულად არის ხელმისაწვდომი ქართული საზოგადოებისთვის, რაც, პირველ რიგში, უფლებრივი მონიტორინგის მექანიზმების არარსებობის პრობლემიდან გამომდინარეობს. 2022 წელს გაგრძელდა რუსეთის დამპყრობ-

177. ხელისუფლებას კვლავ არ აქვს დეოკუპაციის სტრატეგია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აგვისტო, 2022: https://socialjustice.org.ge/ka/products/khelisuflebas-kvlavats-ar-akvs-deokupatsiis-strategia

178. რას ფიქრობენ ქართველი პოლიტიკოსები საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აპრილი, 2022: https://socialjustice.org.ge/ka/products/ras-fikroben-kartveli-politikosebi-sakartvelos-samshvidobo-politikaze-ruset-ukrainis-omis-fonze

ლური პოლიტიკა, რაც პირდაპირ აისახება კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ყოფაზე. საპასუხოდ ქართულ ხელისუფლებას არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები. მაგალითად, საქართველოს ხელისუფლება არც კი გამოეხმაურა ბიჭვინთის აგარაკების გარშემო მიმდინარე პროცესებს. როგორც ცნობილია, 2022 წლის 11 ივლისს აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტში დაიწყო განხილვები ბიჭვინთა-მიუსერის აღკვეთილში სახელმწიფო აგარაკების კომპლექსის გასხვისებასთან დაკავშირებით, რასაც აფხაზური საზოგადოების პროტესტი მოჰყვა.[179] მოსკოვსა და სოხუმს შორის გაფორმებული შეთანხმება ითვალისწინებს სახელმწიფო აგარაკის ყველა შენობა-ნაგებობის რუსეთის ფედერალური დაცვის სამსახურისთვის საკუთრებაში, ხოლო მიმდებარე 186 ჰექტრის 49-წლიანი იჯარით გადაცემას.

გარდა ამისა, 2022 წელს, აფხაზური კანონმდებლობის რუსეთის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესის ქვეშ, აფხაზეთში დაიწყო განხილვები „უცხოური აგენტის“ შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ უწესებს შეზღუდვებს აქ მოქმედ სამოქალაქო ორგანიზაციებს მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა დასავლეთისგან.[180] ამ ინიციატივას ასევე დიდი პროტესტი მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან აფხაზეთში, მათ შორის აფხაზეთის სახალხო დამცველის მხრიდან, რომელიც აცხადებს, რომ ეს კანონი აფხაზეთის იზოლაციას გაზრდის.[181]

კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მხრიდან მტკივნეულად იყო აღქმული ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, არ აღიარონ ამ რეგიონებში გაცემული რუსული პასპორტები.[182] იმ პირობებში როდესაც აფხაზეთის და ცხინვალის რე-

179. სოციალური სამართლიანობის ცენტრი ბიჭვინთის ტერიტორიის რუსეთისთვის გადაცემას ეხმიანება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/sotsialuri-samartlianobis-tsentri-bichvintis-teritoriis-rusetistvis-gadatsemas-ekhmianeba

180. ინალ არძინბა აფხაზეთში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციების ნაწილს პროექტების განხორციელებას უკრძალავს, https://www.radiotavisupleba.ge/a/31661816.html

181. “უცხო ქვეყნის აგენტების“ შესახებ კანონი გაზრდის აფხაზეთის იზოლაციას – შაკრილი, https://netgazeti.ge/news/614774/

182. ევროკავშირის საბჭომ გადაწყვიტა არ მიიღოს ოკუპირებულ რეგიონებში რუსეთის მიერ გაცემული პასპორტები https://civil.ge/ka/archives/518161

გიონის მოსახლეობას გადაადგილების სხვა ალტერნატივა არ გააჩნიათ, რუსული პასპორტების არაღიარება, მათი იზოლაციისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, იმ პირობებში, როცა არ დაწყებულა მსჯელობა გადაადგილების სხვა ალტერნატივების შესახებ. გარდა ამისა, რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის თანადროულად ამ გადაწყვეტილების მიღება, უფრო მეტად ზრდის რისკებს, რომ რუსეთი კონფლიქტის რეგიონების მოსახლეობისთვის ერთადერთი ალტერნატივა გახდეს. ეს პროცესი კი კიდევ უფრო შეასუსტებს ნდობის აღდგენის პოლიტიკას.

ამ პირობებში საქართველოს ხელისუფლებას სჭირდება ქმედითი ნაბიჯები როგორც დამპყრობლური პოლიტიკის საპასუხოდ, ისევე კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით. მაგალითად, ამ რეგიონების მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იქნებოდა ნეიტრალური დოკუმენტების საფუძველზე სოციალური სერვისებზე და პროგრამებზე ხელმისაწვდომობა, რომელიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს არ აქვთ. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა 2022 წელს აფხაზეთში მცხოვრები შშმ პირის საქმეზე მნიშვნელოვანი სასამართლო დავა მოიგო.[183] 2021 წელს ოჩამჩირეში მცხოვრებმა შშმ პირმა, რომელიც საქართველოს პირადობის ნეიტრალურ მოწმობას ფლობს და არ მიუღია სხვა ქვეყნის მოქალაქეობა, შშმ პირებისთვის განკუთვნილი პენსიის და COVID-19 შედეგად მიყენებული ზიანის შესამსუბუქებლად დაწესებული კომპენსაციის მოთხოვნით საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართა. სააგენტომ ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, იმის გამო, რომ ის საქართველოს მოქალაქე არ იყო. თბილისის საქალაქო სასამართლომ სააგენტოს ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია. სასამართლომ დაადგინა, რომ პირადობის ნეიტრალური მოწმობის გაცემით სახელმწიფომ მოსარჩელეს მიანიჭა პირადი ნომერი და მისცა შესაძლებლობა სამართლებრივ ურთიერთობებში მიიღოს მონაწილეობა, მათ შორის, ისარგებლოს სოციალური შეღავათებით. სასამართლომ ასევე იმსჯელა ამ დოკუმენტების მნიშვნელობაზე დეოკუპა-

183. პრეცედენტული გადაწყვეტილება პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირების სოციალური დაცვის გარანტიების გაფართოების საკითხზე https://socialjustice.org.ge/ka/products/pretsedentuli-gadatsqvetileba-piradobis-neitraluri-motsmobis-mkone-pirebis-sotsialuri-datsvis-garantiebis-gafartoebis-sakitkhze

ციის მიზნის კონტექსტში. ამ გადაწყვეტილების აღსრულების პირობებში, შესაძლებელია გაიზარდოს ნეიტრალური მოწმობების აღების მსურველთა რიცხვი, რაც დღეს დაბალია. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლიდან 2021 წლის ბოლომდე გაცემულია ჯამში 246 პირადობის ნეიტრალური მოწმობა, აქედან უმეტეს შემთხვევაში სოხუმში და ოჩამჩირეში მცხოვრებ პირებზე.

გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობა

გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობის სოციო-ეკონომიკური და უფლებრივი მდგომარეობა უცვლელად მძიმე რჩება. აქ მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული განგრძობადი შიშები (განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის დაწყების შემდეგ) სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არ არის დანახული და არ არსებობს შესაბამისი ხედვა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების გასამკლავებლად. ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის შესახებ ჩატარებული უკანასკნელი კვლევა მოწმობს, რომ არაერთი გლობალური თუ რეგიონული გამოწვევის ფონზე ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები – ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი და შესაბამისი სტრატეგიები მოძველებულია და ვერ პასუხობს ახალ გამოწვევებს.[184] შესაბამისი სახელმწიფო უწყებების საქმიანობის, მანდატების და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ ბუნდოვანია, თუ რას ეფუძნება მათი საქმიანობის სტრატეგიები სადაზვერვო, კონტრდაზვერვითი თუ სხვა ტიპის უფლებამოსილებების განხორციელების დროს. სახელმწიფოს არ აქვს ხედვა თუ პროაქტიულად როგორ უნდა გაუმკლავდეს იმ გამოწვევებს, რაც გამყოფი ხაზის პირას მცხოვრებ ადამიანებს ყოველდღიურად აქვთ. კვლავ არ შექმნილა ადრეული გაფრთხილების სისტემა და შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტები, რომელიც ამ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს უპასუხებს. ამ პირობებში, გამყოფ

184. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურა, https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/საქართველოს_ეროვნული_უსაფრთხოების_არქიტექტურა_1681130673.pdf

ხაზებთან მცხოვრებ მოსახლეობას დამატებით უწევს მძიმე სოციალურ პრობლემებთან გამკლავება.

არც სამშვიდობო პოლიტიკის და არც ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პოლიტიკაში არ არის დანახული კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ხედვა და საჭიროებები მშვიდობასთან დაკავშირებით. გარდა უსაფრთხო გარემოსთან და სტაბილურობასთან დაკავშირებული საჭიროებებისა, განგრძობადი კონფლიქტის კონტექსტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ინფრასტრუქტურული და ინსტიტუციური განვითარება, სამართლიანი და თანასწორი გარემო სწორედ მშვიდობას უკავშირდება. ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიური საჭიროებები მჭიდროდ ებმის მოუგვარებელი კონფლიქტით გამოწვეულ პრობლემებს და კონფლიქტის ესკალაციის შიშს.[185] კვლევამ აჩვენა, რომ, მაგალითად, ზუგდიდში მოსახლეობისთვის მშვიდობა არის არა მხოლოდ გამყოფ ხაზთან ცხოვრების უსაფრთხოება, არამედ საკუთარი თავის რეალიზაციის საშუალება, ეკონომიკური უსაფრთხოება, ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე.[186] ხოლო გორის მოსახლეობისთვის, მშვიდობა არის, როცა არ არსებობს გატაცების შიში, როცა ახლობლის საფლავის მონახულება თავისუფლად შეეძლებათ, ა.შ.[187]

ადმინისტრაციულ საზღვართან არსებულ სოფლებში მოსახლეობის რაოდენობა საგანგაშოდ იკლებს, ჯერ კიდევ 2019 წლის მონაცემებით გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა 33%-ით შემცირდა, რაც საქართველოში მთლიანი მოსახლეობის კლების მაჩვენებელზე ორჯერ მაღალია.[188] სოფელი ზარდიაანთკარი, რომელზეც ხელისუფლებამ 2008 წლის ომის შემდეგ, 2012 წელს აღადგინა კონტროლი, მოსახლეობისგან პრაქტიკულად დაიცალა, რადგან ამ დრომდე ომის შედეგად დანგრეუ-

185. მურუსიძე, ჭანკვეტაძე, ყოველდღიური მშვიდობის ინდიკატორები კონფლიქტით დაზარალებულ საზოგადოებაში, PMC კვლევითი ცენტრი, 70-71. https://pmcresearch.org/policypapers_file/958162ffa40394983.pdf

186. იგივე, 25,

187. იგივე, 39.

188. საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, 2019, 25.

ლი სახლები არ რეაბილიტირებულა. რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსები მხოლოდ 2022 წელს გამოიყო ადგილობრივ ბიუჯეტებში.[189]

მძიმე მდგომარეობაშია სხვა სოფლების მდგომარეობაც. მაგალითად, სოფლების ხურჩა და ფახულანი მაცხოვრებლების ნაწილმა ე.წ. საზღვრის გავლების გამო დაკარგა მიწები/თხილნარები და ხშირად კარგავენ საქონელსაც, რაც მათ მძიმე სოციალურ ზიანს აყენებს. დაკარგული მიწების სანაცვლოდ სახელმწიფოს მათთვის სხვა მიწის ნაკვეთები არ გადაუცია;[190] როგორც გამყოფი ხაზების სხვა სოფლებში, აქაც ხშირია ე.წ. საზღვრის კვეთის გამო ადგილობრივების უკანონო დაკავების ფაქტები. მაშინ როცა გამყოფი ხაზის მიღმა მეზობელ სოფლებთან ამ ადამიანებს ყოველდღიური კავშირი ჰქონდათ, როგორც ნათესაური, ისე ეკონომიკური, დღეს ეს კავშირები გაწყვეტილია.[191]

გაეროს ქალთა ორგანიზაციის 2019 წლის კვლევა მოწმობს, რომ გამყოფი ხაზის მიმდებარედ სოფლებში ზოგადად მძიმე ვითარებაა. დასახლებების მხოლოდ 33%-ს აქვს წყალგაყვანილობა და აქედან მხოლოდ 73%-ს აქვს სასმელი წყალგაყვანილობა; 38%-ში სამედიცინო მომსახურება საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი; მხოლოდ 39%-მა განაცხადა, რომ შინამეურნეობების უმეტესობას საკმარისი საკვები აქვს; ამავე კვლევის მონაცემებით კი, საბავშვო ბაღი ან ბაგა-ბაღი საზღვრისპირა დასახლებების მხოლოდ 30%-ს აქვს. მოსახლეობის 90%-ს არ აქვს ხელმისაწვდომობა აფთიაქზე, 91%-ში არ არის დაგებული გზა, ა.შ.[192]

189. მთავრობა: ზარდიაანთკარში ომისას დაზიანებულ 28 სახლს აღვადგენთ, ნეტგაზეთი, დეკემბერი, 2022. https://netgazeti.ge/news/644071/

190. გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლების ხურჩას და ფახულანის მოსახლეობა მძიმე სოციალურ მდგომარეობაშია, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აგვისტო, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/gamqof-khaztan-mdebare-soflebis-khurchas-da-fakhulanis-mosakhleoba-mdzime-sotsialur-mdgomareobashia

191. შენიშვნა: სოფელ ხურჩასთან არსებული ხურჩა-ნაბაკევის გამშვები პუნქტი 2017 წლის მარტის შემდეგ გაუქმებულია და ამით სრულიად გაწყდა კავშირი ხურჩასა და გალის სოფლების მოსახლეობას შორის. გადაადგილების შეზღუდვის შემდეგ ნაბაკეველი ბავშვები ვეღარ გადმოდიან ხურჩის საბავშვო ბაღში, ხოლო თვითონ წლებია ვეღარ მიდიან ნაბაკევში მათი ნათესავებისა და საფლავების მოსანახულებლად.

192. საქართველოში გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების შეფასება, 2019, 12-14.

გამყოფი ხაზის სოფლებისთვის სახელმწიფოს არ აქვს სპეციალური სოციალური პროგრამები, რომელიც ომის ზიანს და კონფლიქტის ზონაში ცხოვრების მოწყვლად რეალობას დააკომპენსირებდა. ომის ტრავმის გამოცდილების მიუხედავად, ამ სოფლებში არ ფუნქციონირებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები. გამყოფი ხაზის ზოგიერთ სოფელს მინიჭებული აქვს მთის სტატუსი, რაც გარკვეულ სოციალურ შეღავათებთან ასოცირდება, თუმცა ეს ბენეფიტები არ ვრცელდება ყველა სოფელზე.

არაერთი კვლევა მოწმობს, რომ გამყოფ ხაზებთან მცხოვრები ქალების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, ვინაიდან ისინი მწვავე სოციალური, ეკონომიკური და უსაფრთხოების პრობლემების წინაშე დგანან და ხოლო მათი საჭიროებები და გამკლავების მექანიზმები კაცებისგან განსხვავებულია.[193] ადამიანური უსაფრთხოების რისკებთან ერთად, საზღვრის პირას მცხოვრები ქალებისთვის უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა, რასაც ხელს უწყობს კონფლიქტისგან გამოწვეული სტრესი და ქალების ეკონომიკური დაუცველობა. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების მიზნით შემუშავებული სამოქმედო გეგმები მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ჩარჩოა კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებების გათვალისწინების მიზნით, ეს სტრატეგიული დოკუმენტები არ ითვალისწინებს ქალების ისეთ ძირეულ გამოწვევებს, რომელიც სოციალურ ექსკლუზიას, სიღარიბეს, ომთან დაკავშირებულ მატერიალურ დანაკარგებსა და ტრავმებს, პოლიტიკურ მონაწილეობასა და ძალადობის ეფექტიან პრევენციას დაუკავშირდებოდა.

გალის და ახალგორის რაიონებში უფლების დარღვევის სისტემური პრაქტიკები

მძიმეა გალსა და ახალგორში მცხოვრები ადამიანების მდგომარეობა, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისა და დე ფაქტო ადმინისტრა-

193. გამყოფი ხაზების მიმდებარედ მცხოვრები ქალების გამოწვევები და საჭიროებები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/gamqofi-khazebis-mimdebared-mtskhovrebi-kalebis-gamotsvevebi-da-sachiroebebi

ციების დისკრიმინაციული პოლიტიკის გამო, ორმხრივი გამოტოვებისა და იგნორირების რეალობაში ცხოვრობენ.[194]

გალის და ახალგორის მოსახლეობის სტატუსი ადგილობრივ სისტემაში მყიფე და არასტაბილურია, რის გამოც უწევთ დე ფაქტო ადმინისტრაციასთან და მათ მიერ დაწესებულ „სამართლებრივ რეჟიმებთან“ ადაპტაცია. ამ მხრივ გამორჩეულად მძიმეა ვითარება გალში, რადგან ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის სამართლებრივი სტატუსი წლების განმავლობაში ბუნდოვანია, რაც არაერთი ძირითადი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლების შეზღუდვის საფუძველი ხდება, მათ შორისა, საკუთრების უფლების აღიარება, საჯარო სამსახურში დასაქმება, პოლიტიკური მონაწილეობა, გადაადგილების თავისუფლება და სხვა.

ახალგორის მოსახლეობას სტატუსთან დაკავშირებული პრობლემა არ აქვთ, სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ადმინისტრაციამ ახალგორელების უმრავლესობას „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი“ მისცა, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს, მიიღონ ადგილზე არსებული სოციალური სერვისები და მხარდაჭერა. 2020 წლის ბოლოს დე ფაქტო საპასპორტო სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაციით, რაიონის მოსახლეობის დაახლოებით 80% ფლობს ე.წ. პასპორტს. 2021 წელს კი 43 დე ფაქტო პასპორტი გაიცა.[195] თუმცა დოკუმენტაციის პრობლემა ახალგორისთვის მაინც კრიტიკული რჩება. მათ მაინც სჭირდებათ ე.წ. საშვები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად, რასაც დე ფაქტო ადმინისტრაცია და უშიშროების სამსახურები არ გასცემენ, ან შეფერხებით გასცემენ და ადგილობრივ მოსახლეობას განგრძობად იზოლაციაში ამყოფებენ. გადაადგილების თავისუფლების მხრივ არსებული შეზღუდვები ხშირად ფატალური შედეგებითაც სრულდება, რადგან იზოლაციაში მყოფი ადამიანები ვერ ახერხებენ დროული სამედიცინო დახმარების მიღებას. 2023 წლის 2 იანვარს 1.5 წლის ბავშვი გარდაიცვალა ახალგორი-გორის გზაზე, როდესაც მძიმე ვირუსის გამო მას

194. ორმხრივი გამოტოვების ადგილები – უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/ormkhrivi-gamotovebis-adgilebi-uflebrivi-da-sotsialuri-gamotsvevebi-galsa-da-akhalgorshi

195. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 332.

სასწრაფო სამედიცინო დახმარება ესაჭიროებოდა. მისთვის დროული დახმარების გაწევა შეუძლებელი აღმოჩნდა ახალგორის და ცხინვალის საავადმყოფოებში, რაც ფატალურად დასრულდა.[196] ცხინვალის რეგიონში და განსაკუთრებულად ახალგორში, ადგილობრივი ჯანდაცვის სისტემა პრაქტიკულად უკვე მოშლილია, და ამაზე ღიად საუბრობენ დე-ფაქტო ადმინისტრაციაშიც.[197] განსაკუთრებით პრობლემურია მედიკამენტების, სამედიცინო აღჭურვილობის და პერსონალის რაოდენობა.[198]

გადაადგილების თავისუფლება ორივე რაიონის მოსახლეობისთვის კრიტიკული მნიშვნელობის საკითხია. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადაადგილება მათთვის უკავშირდება ხელმისაწვდომობას საბაზისო სოციალურ, საყოფაცხოვრებო და ჯანდაცვის სერვისებზე, რისი შესაძლებლობაც ადგილზე პრაქტიკულად არ არსებობს. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ, მაგალითად, პანდემიის პერიოდში, როდესაც გადაადგილება საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე შეზღუდული იყო და მოსახლეობას სჭირდებოდა ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე, 2021 წლის პირველ სამ თვეში, აფხაზური წყაროების მიხედვით, „საზღვრის უკანონო კვეთისთვის“ 3000 ადამიანი დააკავეს.[199] გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის პარალელურად გრძელდება უკანონო დაკავებების მანკიერი პრაქტიკა, ე.წ. საზღვრის უკანონო კვეთისთვის. საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის 2018-2021 წლების წლიური ანგარიშების მიხედვით აფხაზეთის მიმართულებით ამ პერიოდში დააკავეს 79 მოქალაქე, ხოლო სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მიმართულებით

196. 1.5 წლის ბავშვი მაშინ დაიღუპა, როცა ოკუპირებული ახალგორიდან გორში გადმოჰყავდათ, https://netgazeti.ge/life/649139/

197. ცხინვალში ექიმების, წამლების და სამედიცინო აღჭურვილობის დეფიციტია: https://www.radiotavisupleba.ge/a/დე-ფაქტო-ჯანდაცვის-სისტემაში-მედპერსონალისა-და-აღჭურვილობის-დეფიციტია/32342174.html

198. ორმხრივი გამოტოვების ადგილები – უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, გვ. 69-70. ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში ვირუსული ინფექციების აფეთქებაა. დე ფაქტო ჯანდაცვის სისტემა საგანგებო რეჟიმზეა https://www.radiotavisupleba.ge/a/ოკუპირებულ-ცხინვალის-რეგიონში-ვირუსული-ინფექციების-აფეთქებაა-დე-ფაქტო-ჯანდაცვის-სისტემა-საგანგებო-რეჟიმზეა/32194230.html

199. ორმხრივი გამოტოვების ადგილები – უფლებრივი და სოციალური გამოწვევები გალსა და ახალგორში, გვ. 26.

320 მოქალაქე.[200] აღსანიშნავია რომ 2019 წლიდან გახშირდა სხვადასხვა ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნის და ხანგრძლივი პატიმრობების „მისჯის“ შემთხვევები, მათ შორის ვაჟა გაფრინდაშვილის, გენადი ბესტაევის, ზაზა გახელაძის, ირაკლი ბებუას, ქრისტინე თალაკანძის, და სხვა შემთხვევები. 2022 წელს სუს-ის ინფორმაციით აფხაზეთის მიმართულებით დააკავეს 13 ადამიანი, ხოლო ცხინვალის მიმართულებით – 42.[201] დაკავებულებს შორის არის ყოფილი სამხედრო მამუკა ჩხიკვაძე, რომელსაც ცხინვალის სასამართლომ 2022 წლის მარტში 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა „მიუსაჯა“.[202] 2022 წლის 20 ივლისს „ჯაშუშობის ბრალდებით“ აფხაზეთის ე.წ. უშიშროების სამსახურმა დააკავა ქრისტინე თალაკანძე, რომელსაც ბრალად ედება 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის ივლისამდე საიდუმლო ინფორმაციის მოპოვება, შეგროვება და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გადაცემა.[203] „აფხაზეთის დროშის“ დაწვის ბრალდებით დაპატიმრებული ირაკლი ბებუა, რომელსაც 9 წლიანი თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, კვლავ პატიმრობაში რჩება აფხაზეთში.[204]

გარდა საბაზისო სერვისებზე ხელმისაწვდომობისა, იზოლაციური პოლიტიკა გალის და ახალგორის მოსახლეობას უზღუდავს ნათესაური და საოჯახო კონტაქტების შენარჩუნების შესაძლებლობას, რაც პირადი და ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტურ ასპექტებს მოიცავს. ამგვარ მყიფე და

200. შენიშვნა: აქვე აღსანიშნავია, რომ ზუსტ მონაცემებზე წვდომა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებს არ აქვთ და მათი განმარტებით, მათ ხელთ არსებული მონაცემებით, ე.წ. საზღვრის უკანონოდ კვეთის ბრალდებით დაკავებულ პირთა რაოდენობა ჯამური ციფრის დაახლოებით 10-15 %-ს შეადგენს. ასევე, მაგალითად, სუს-ის მონაცემებით, 2019 წელს აღნუსხულია 86 უკანონო დაკავების ფაქტი, ხოლო სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო უშიშროების კომიტეტის მონაცემებით, 2019 წლის მხოლოდ ოქტომბერი-ნოემბრის პერიოდში „საზღვრის კვეთის ბრალდებით“ 87 ადამიანი დააკავეს.

201. ვინ, სად, როდის – საოკუპაციო ხაზთან დაკავებული საქართველოს მოქალაქეები: https://www.radiotavisupleba.ge/a/32200277.html

202. მამუკა ჩხიკვაძეს ოკუპირებული ცხინვალის სასამართლომ სასჯელი შეუფარდა https://www.radiotavisupleba.ge/a/31848397.html

203. საქმე 2-0004/2023 – „ჯაშუში“ ქრისტინე თაკალანძე „განაჩენის“ მოლოდინში https://www.radiotavisupleba.ge/a/ოკუპირებულ-აფხაზეთში-იზოლატორში-მყოფი-საქართველოს-მოქალაქის-საქმეზე-/32229021.html

204. ირაკლი ბებუას 9 წელი მიუსაჯეს სეპარატისტული რეგიონის დროშის დაწვის და ამის „მძიმე შედეგებისთვის“. https://www.radiotavisupleba.ge/a/30990669.html

მოწყვლად სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობაში, ადგილობრივი მოსახლეობა იძულებულია დატოვოს საკუთარი რაიონები და საცხოვრებლად ან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოვიდეს, ან საერთოდ დატოვოს ქვეყანა. წლიდან წლამდე მცირდება ახალგორის და გალის სკოლებსა და ბაღებში მოსწავლეების რაოდენობა, რადგან ამ რეგიონებში ახალგაზრდობა ვერ ხედავს განვითარების პერსპექტივას. ახალგორის რაიონში დაიკეტა 1 სკოლა მოსწავლეთა კონტიგენტის არარსებობის გამო და დარჩა მხოლოდ 6 სკოლა, რომელთაგან 1 რუსულია და ყველაზე მეტი მოსწავლე სწორედ ამ სკოლაში დადის. მოსწავლეთა რაოდენობა მცირდება გალის რაიონის სკოლებშიც. 2022 წელს გალის რაიონის 30 სკოლაში მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3778 მოსწავლე ირიცხება. შედარებისთვის, 2017 წელს გალის სკოლებში 4267 მოსწავლე ირიცხებოდა.[205]

მოსწავლეთა კონტიგენტის შემცირება უპირველეს ყოვლისა უკავშირდება მშობლიურ ენაზე განათლების უფლების შეზღუდვას, რომელიც ორივე რეგიონის სკოლებისთვის სრულად შევიდა ძალაში 2022 წლის სექტემბრიდან.

თამარ მეარაყიშვილის ხუთწლიანი დევნის საქმე 2022 წელს დასრულდა. 2022 წლის 3 ნოემბერს სამხრეთის ოსეთის დე ფაქტო პროკურატურამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა ახალგორში მცხოვრები აქტივისტის, თამარ მეარაყიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების შეწყვეტას ყველა ბრალდებასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო. დე ფაქტო პროკურატურის აღნიშნული დადგენილება, ერთი შეხედვით, 2017 წლიდან თამარ მეარაყიშვილის წინააღმდეგ მიმდინარე უკანონო და დაუსაბუთებელი სისხლის სამართლებრივი დევნის დასრულების პოზიტიურ ნიშანს. თუმცა, იმის გამო, რომ „პროკურატურის“ გადაწყვეტილების ტექსტი პირდაპირ უთითებს თამარ მეარაყიშვილისგან დე ფაქტო პასპორტების ამოღების სამართლებრივი პროცედურის დაწყების შესახებ, ის კვლავ ტოვებს მისთვის დე ფაქტო მოქალაქეობის ჩამორთმევის რისკებს, რაც

205. აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული საჯარო ინფორმაცია, 19 ოქტომბერი, 2022.

მთლიანობაში ახალგორში მცხოვრები ქართველების სამართლებრივ სტატუსს დე ფაქტო ადმინისტრაციის პირობებში ხდის სადავოს. [206]

დევნილები

იძულებით გადაადგილებული პირების უფლებრივი და სოციალური მდგომარეობა კვლავ მყიფეა. ამას თან ერთვის საქართველოს პარლამენტის მიერ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომელიც პარლამენტმა ნაჩქარევად, დევნილ თემთან კონსულტაციების და დიალოგის გარეშე მიიღო. ცვლილებები გულისხმობს დევნილის სტატუსის არმინიჭებას იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დაიბადებიან 2023 წლის 1 იანვრის შემდეგ. დევნილი ოჯახების ნახევარი კვლავ საცხოვრისის გარეშეა დარჩენილია და დიდი ნაწილი კვლავ განაგრძობს სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის საშიშ პირობებში ცხოვრებას. სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს, წინა წლის მონაცემებთან შედარებით, განახევრდა იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც არასათანადო საცხოვრისიდან ალტერნატიულ საცხოვრებელში გადაასახლეს.[207]

იძულებით გადაადგილებული პირები არ არიან სამშვიდობო პოლიტიკის მნიშვნელოვან პროცესებში ჩართული, ხელისუფლება ვერ ხედავს მათ სამშვიდობო პოტენციალს, მათი ხმა არ ისმის როგორც გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ისე სამშვიდობო დიალოგებში.

კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

კონფლიქტით დაზარალებულ მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობის ანალიზისას ეთიკური ოსების უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნე-

206. თამარ მეარაყიშვილის საქმეზე 5 წლის შემდეგ გამოძიება საბოლოოდ შეწყდა, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, დეკემბერი, 2022. https://socialjustice.org.ge/ka/products/tamar-mearaqishvilis-sakmeze-5-tslis-shemdeg-gamodzieba-sabolood-shetsqda

207. PDO annual report on human rights situation in Georgia, 2022, p. 300.

ლოვან საკითხს წარმოადგენს, რომელიც სხვა ჯგუფების მსგავსად ასევე გამოტოვებულია როგორც სამშვიდობო, ასევე ინტეგრაციის ეროვნული პოლიტიკებიდან. 2004 წლისათვის ჩრდილოეთ ოსეთში არსებული მონაცემებით, საქართველოდან ემიგრირებული რეგისტრირებული ოსების რაოდენობა შეადგენდა 19,025 ადამიანს.[208] საქართველოში მცხოვრები ოსები, რომლებმაც 90-იან წლებში ეთნიკურ ნიადაგზე მძიმე რეპრესიები, შევიწროება და დევნა გაიარეს სხვა სოციო-ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად, წლების შემდეგ დაბრუნდნენ საქართველოში და კვლავ ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე დგანან. ამ გამოწვევებს შორის, უპირველეს ყოვლისა, არის საქართველოს მოქალაქეობის დაბრუნების პრობლემა, ასევე კონფლიქტის შემდეგ დაკარგული ქონების რესტიტუციის საკითხი.[209] შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი მოწმობს, რომ არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ მომზადებულა ისეთი ნორმატიული ჩარჩო, რომელიც ეთნიკურად ოსი მოსახლეობის რეაბილიტაციას მოახდენდა, ასევე აღადგენდა მათ ქონებრივი უფლებებს. რესტიტუციასთან დაკავშირებული კანონი, რომელიც საქართველომ 2006 წელს მიიღო ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესაბამისად, დღემდე უმოქმედოა, არ შექმნილა კომისია, რომელსაც რესტიტუციის და კომპენსაციის საკითხი უნდა განეხილა.

საქართველოს მოქალაქეობის მიღება ამ ჯგუფისთვის საერთო წესის მიხედვით ხდება და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უარყოფითი დასკვნის საფუძველზე, დაბრუნებული ოსები მოქალაქეობის მიღებაზე ხშირ შემთხვევაში უარს იღებენ.

რეკომენდაციები

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტის რეგიონებში კონტროლის არქონის პირობებში დე იურე სახელმწიფოების გავლენები მკვეთრად

208. საქართველოში მცხოვრები ოსური თემის მიგრაცია და მოქალაქეობასთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემები, სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2015, 7.

209. კონფლიქტით დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოქალაქეების ქონებრივი რესტიტუციის და მოქალაქეობის დაბრუნების პროცესის სამართლებრივი ანალიზი, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2022.

შეზღუდულია, მნიშვნელოვანია ამ მოცემულობაშიც საქართველომ აჩვენოს სათანადო გულისხმიერების პირობებში გაწეული ძალისხმევა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი პირების უფლებების დასაცავად. ეს კი გამოიხატება სპეციალური მხარდამჭერი მექანიზმების შექმნაში, სერვისების და პროგრამების შეთავაზებაში, რომლებიც გაითვალისწინებდა უშუალოდ ამ რაიონებში მცხოვრები ადამიანების გამოწვევებს.

საქართველოს მთავრობას:

- *ახალი სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია ხელისუფლებამ ძალისხმევა მიმართოს ამ საკითხზე ფართო პოლიტიკური და საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად. ამისათვის ასევე აუცილებელია ახალი სტრატეგიის შემუშავების პროცესი საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობით* წარიმართოს.
- იმსჯელოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებთან სტატუს ნეიტრალური დიალოგის ფორმატების შექმნაზე, რომელიც ადამიანის უფლებებისა და სოციალური დაცვის საკითხების პრაქტიკული და ეფექტიანი გადაწყვეტის მექანიზმი გახდებოდა;
- არსებითია ხელისუფლებამ გამოიყენოს ყველა დიპლომატიური, პოლიტიკური და სამართლებრივი მექანიზმი ეთნიკური ქართველებისთვის მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების დასაცავად და მათ შორის, აქტიურად ითანამშრომლოს დე ფაქტო მთავრობებთან.
- გაზარდოს ნეიტრალური პირადობის მოწმობებთან დაკავშირებული სოციალური მხარდაჭერის სერვისები და პაკეტები, რომელიც გაზრდის კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ხელმისაწვდომობას სოციალურ სერვისებზე, და ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენის პოლიტიკის განხორციელებას.
- *უსაფრთხო და თავისუფალი მიმოსვლის აღდგენის მიზნით, გამოიყენოს ყველა პოლიტიკური და დიპლომატიური საშუალება, მათ შორის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობებთან პირდაპირი მუშაობისა და კომუნიკაციის გზები.*

- *გამყოფ ხაზებთან მცხოვრები მოსახლეობისთვის შექმნას რეგულარული სოციალური მხარდაჭერის მექანიზმები, უზრუნველყოს ომისგან დანგრეული სახლების დაუყოვნებლივი რეაბილიტაცია.*

განათლების და მეცნიერების სამინისტროს:

- ქართული ენის შენარჩუნების მიზნით, გალელი და ახალგორელი ახალგაზრდებისთვის შემუშავდეს ენის სწავლების სპეციალური ონლაინ პროგრამები, რაც მათ საშუალებას მისცემს შეინარჩუნონ ქართული ენა, ჩააბარონ და ხარისხიანი განათლება მიიღონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.
- გაძლიერდეს გალელი და ახალგორელი მასწავლებლების მხარდაჭერა (როგორც ფინანსური, ისე პროფესიული), რათა შეძლონ ადგილობრივი ახალგაზრდების ხარისხიანად მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- *უსაფრთხოების ზომების გაძლიერებით, მათ შორის, რეგულარული პატრულირების გზით უზრუნველყოს გამყოფ ხაზებთან მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოების დაცვა.*
- *უზრუნველყოს ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების დროული დანერგვა.*

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- *პროაქტიულად შეისწავლოს უსაფრთხოების რისკების წინაშე მდგარ სხვადასხვა ობიექტებში მცხოვრები დევნილების მდგომარეობა და საჭიროებები და უზრუნველყოს მათი დროული განსახლება ჯეროვანი* ალტერნატივების შექმნის გზით.
- იმსჯელოს დევნილთა საჭიროებების, ინტერესების და წუხილების რეპრეზენტაციის ქმედით ინსტიტუციურ გზებზე და მექანიზმებზე.
- მიიღოს კონფლიქტის რეგიონებში, inter alia, გალსა და ახალგორში ადამიანის უფლებებსა და სოციალურ დაცვაზე მიმართუ-

ლი სპეციალური სამოქმედო გეგმა, რომელიც ადგილობრივ თემებთან მჭიდრო კონსულტაციებსა და ანგარიშვალდებულებისა და მონიტორინგის დემოკრატიულ მექანიზმებს დანერგავს;

- ხელი შეუწყოს კომერციული და სამედიცინო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შექმნას ცხინვალის რეგიონთან არსებულ ადმინისტრაციულ საზღვართან (აფთიაქი, საავადმყოფო, მაღაზია), რაც ხელმისაწვდომს გახდის პირველადი დანიშნულების სერვისებსა და პროდუქტებს როგორც ახალგორის რაიონის მოსახლეობისთვის, ისე გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის, ადმინისტრაციული საზღვრის ორივე მხარეს.

იუსტიციის სამინისტროს:

- გაითვალისწინოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ეთნიკურად ოსი მოსახლეობის განსაკუთრებული კონტექსტი და საჭიროებები და უზრუნველყოს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მოწესრიგება რესტიტუციის და კომპენსაციის პრობლემების მოგვარების მიზნით, ასევე საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭებისთვის.

უფლებადამცველები
და აქტივისტები

ადმინისტრაციული დაკავებისა და სამართალწარმოების მავნე პრაქტიკა შეკრების თავისუფლების წინააღმდეგ

2022 წელს გაგრძელდა აქციებში მონაწილე აქტივისტებისა თუ დემონსტრანტების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და პასუხისგებაში მიცემის მავნე პრაქტიკა. ეს პრაქტიკა ეყრდნობა საბჭოთა პერიოდში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს (შემდგომში ასკ), რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა თანამედროვე სტანდარტებს.[210] კერძოდ, სამართალდამცავები გაუმართლებლად აკავებენ დემონსტრანტებს წვრილმანი ხულიგნობისა (ასკ 166-ე მუხლი) და კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის (ასკ 173-ე მუხლი) საბაბით, ხოლო მოსამართლეები დაკავებულებს ადმინისტრაციულ სანქციებს აკისრებენ საპროცესო გარანტიების უგულებელყოფით. წინამდებარე ქვეთავში რამდენიმე ასეთ შემთხვევას წარმოგიდგენთ.[211]

2022 წლის 22 თებერვალს „მოძრაობა საქართველოსთვის“ გეგმავდა მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან აქციის ჩატარებას, რის შესახებ წინასწარ გაავრცელეს ინფორმაცია.[212] შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოებისათვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო. ამ შემთხვევაში საგანგაშოა, რომ სამართალდამცავებმა 8 აქტივისტი დააკავეს აქციის გასამართ ადგილას მისვლამდე და აქციის დაწყებამდე.[213] ამასთანავე, დაკავებულები მიზანმიმართულად გადაანაწილეს რამდენიმე ქალაქში, მიუხედავად იმისა, რომ დაკავების მასშტაბი არ იყო დიდი და თბილისის იზოლატორშიც იყო ადგილები.[214] ამან ხელი შეუშალა

210. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოკლედ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაზე, იხ.: https://bit.ly/3KLAfjp [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

211. ვრცლად იხ.: საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 14-16, იხ.: https://bit.ly/41m0Iv9 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

212. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა – ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 15 იხ.: https://bit.ly/3TV1N8r [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

213. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა – ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 15.

214. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა – ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 15.

დაკავებულთა დაცვის უფლების ეფექტიან რეალიზებას.[215]

2022 წლის 7 მარტს სამოქალაქო მოძრაობა „სირცხვილიას“ ორგანიზებით გაიმართა უკრაინის მხარდამჭერი აქცია.[216] აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ უკრაინის მიმართ ხელისუფლების პოზიციას და ითხოვდნენ რუსეთთან სავიზო რეჟიმის დაწესებას, რუსული მედიასაშუალებების აკრძალვას და რუსეთისათვის ცის დაკეტვას.[217] აქციის დროს მთავრობის ადმინისტრაციის მიმართულებით აქტივისტებმა პროტესტის ნიშნად ტუალეტის ქაღალდები ისროლეს.[218] პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 16 აქტივისტი დააკავა, რომლებიც სასამართლომ 34 400 ლარით დააჯარიმა, მათ შორის კი „სირცხვილიას“ 6 წევრს 15 800 ლარის ჯარიმა დაეკისრა.[219] აქციის მონაწილეთა შეკრების თავისუფლებაში ჩარევა გააკრიტიკეს როგორც სახალხო დამცველმა, ისე არასამთავრობო ორგანიზაციებმა. სახალხო დამცველის პოზიციით, დემონსტრანტების ქმედება იყო მშვიდობიანი, არაძალადობრივი და არ შეუქმნია სერიოზული კანონდარღვევის/დანაშაულის ჩადენის საფრთხე.[220] შესაბამისად, დემონსტრანტების ქმედების სამართალდარღვევად ცნობა და მათ შეკრების თავისუფლებაში ჩარევა გაუმართლებელი იყო.[221] ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებით, დაირღვა დაკავებულთა უფლებები: პოლიციამ აქტივისტები შესაბამისი მტკიცებულებებისა და საფუძვლების გარეშე თვითნებურად დააკავა; დაკავებულებს არ განუმარ-

215. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა – ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 15.

216. „სირცხვილიას“ ოთხი წევრი დააკავეს, იხ.: https://bit.ly/3GVqnCw [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

217. „სირცხვილიას“ ოთხი წევრი დააკავეს, იხ.: https://bit.ly/3GVqnCw [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

218. უკრაინის მიმართ სოლიდარობის აქციაზე დაკავებული აქტივისტები ჯამში 15 800 ლარით დააჯარიმეს, იხ.: https://bit.ly/3UU1IUU [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

219. ხელისუფლება განაგრძობს აქტივისტების წინააღმდეგ მართლმსაჯულების რეპრესიის მიზნებისთვის გამოყენებას, იხ.: https://bit.ly/3mRUHY4 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

220. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 162-163, იხ.: https://bit.ly/3LbFSJ3 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

221. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 163.

ტეს უფლებები; დაკავების ოქმები შაბლონური და არაინფორმატიული იყო; პოლიციამ უკანონოდ და დაუსაბუთებლად გამოიყენა დაკავების მაქსიმალური ვადა; სასამართლომ უგულებელყო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლიანი სასამართლოს სტანდარტები, ხოლო სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებები საკმარისი არ იყო აქტივისტებისათვის ადმინისტრაციული სახდელის შესაფარდებლად.[222] მსგავსი მაღალი ჯარიმების გამოყენებას და მასშტაბურ დაკავებებს აქვს *მსუსხავი ეფექტი* აქტივისტების საქმიანობაზე.

სამწუხაროდ, უკვე დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკაა დაკავებული აქტივისტებისა თუ დემონსტრანტების სამართალდამრღვევად ცნობა საპროცესო გარანტიების დარღვევით,[223] რაც ეწინააღმდეგება შეკრებისა და სამართლიანი სასამართლოს უფლებებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომელიც ეხება 2019 წლის 18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ გამართულ საპროტესტო აქციებზე მასობრივ დაკავებებს.[224] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ დაარღვია ევროკონვენციის მე-6 და მე-11 მუხლები ერთ-ერთი მომჩივნის შემთხვევაში. კერძოდ, დაირღვა მომჩივნის შეკრების თავისუფლება, რადგან სახელმწიფომ ვერ წარმოაჩინა მისი დაკავებისა და მისთვის 4-დღიანი პატიმრობის დაკისრების აუცილებლობისა და პროპორციულობის შესახებ საკმარისი და რელევანტური საფუძვლები.[225] ამასთანავე, დაირღვა მომჩივნის სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან მომჩივანს

222. ხელისუფლება განაგრძობს აქტივისტების წინააღმდეგ მართლმსაჯულების რეპრესიის მიზნებისთვის გამოყენებას, იხ.: https://bit.ly/3mRUHY4 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

223. კოალიცია თანასწორობისთვის, დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2021 წლის ანგარიში, გვ. 98-100, იხ.: https://bit.ly/3oxjjpd [ბოლოს ნანახია 20.04.2023]; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა – ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 18-21.

224. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, იხ.: https://bit.ly/3UV3i8L [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

225. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, §106.

პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ პოლიციელების ჩვენების საფუძველზე სხვა სათანადო მტკიცებულებების გარეშე, შედეგად კი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომ თავად მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება.[226] აქედან გამომდინარე, ევროკონვენციის სტანდარტებს არ შეესაბამება საერთო სასამართლოებში დამკვიდრებული მტკიცების სტანდარტი, რომლის მიხედვით, პოლიციელების მიერ წარდგენილი მტკიცებულება ნდობის უფრო მაღალი ხარისხით სარგებლობს.[227]

საბოლოოდ, მშვიდობიანი აქტივისტებისა თუ უფლებადამცველების ადმინისტრაციული დაკავებების პრაქტიკა წარმოადგენს სადამსჯელო ხასიათის ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს საპროტესტო დემონსტრაციების შეზღუდვას და შემცირებას.

უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი სამართალდარღვევების გამოძიება

უფლებადაცვითი საქმიანობისათვის ხელსაყრელი გარემო საჭიროებს უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევებზე სათანადოდ რეაგირებას, რათა მსგავსი დარღვევები აღარ გამეორდეს. ამის საწინააღმდეგოდ, 2021 წლის 5 ივლისს ლგბტ+ თემის უფლებადამცველებისა და აქტივისტების წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის გამოძიება არაეფექტიანად განხორციელდა. უპირველეს ყოვლისა, გამოძიების მთავარი ნაკლი არის ის, რომ სათანადო მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა 5 ივლისის ძალადობის არც ერთი ორგანიზატორის მიმართ.[228] კერძოდ, სახალხო დამცველის შეფასებით, 2021 წლის 5 ივლისს განვითარებული მოვლენების ამსახველი და საჯაროდ ხელმისაწვდომი მტკიცებულებები საკმარისი იყო ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი

226. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, § 64.

227. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, §§ 61-62.

228. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 17.

ქმედებებისკენ საჯარო მოწოდების ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დასაწყებად.[229] ხსენებული მტკიცებულებების მიუხედავად, დღემდე არ დაწყებულა არც გამოძიება და არც სისხლისსამართლებრივი დევნა.[230] გარდა ამისა, სახალხო დამცველის მიერ შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ „5 ივლისის საქმეზე ჩატარებული გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს ზედმიწევნითობისა და დროულობის კუთხით. დაგვიანებით ჩატარდა ექსპერტიზა, დაგვიანებით იქნა მოპოვებული ნივთიერი მტკიცებულებები“.[231] გამოძიების არაეფექტიანობას ასევე უთითებს 5 ივლისის ძალადობის მსხვერპლების/სამიზნეების დატოვება დაზარალებულის სტატუსის გარეშე. სამწუხაროდ, პროკურატურამ და შემდგომ სასამართლომ დაზარალებულის სტატუსი არ მიანიჭა „თბილისი პრაიდის“ წევრებსა და ლგბტ+ აქტივისტებს მიუხედავად იმისა, რომ 5 ივლისს ისინი იდევნებოდნენ სექსუალური ორიენტაციის ნიშნით და საფრთხე ემუქრებოდა მათ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.[232] რაც შეეხება 5 ივლისის საქმეზე მიღებულ განაჩენებს, სასამართლომ ბრალდებულებს მოუხსნა ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის ბრალდება, რომლის მაგივრად, დამნაშავედ ცნო ჯგუფურ ძალადობაში და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლითა და 3 თვით.[233] სახალხო დამცველის პოზიციით, გადაწყვეტილებები მიღებულია არათანმიმდევრულად, დაუსაბუთებლად და სასჯელის ინდი-

229. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2021 წელი, გვ. 184, იხ.: https://bit.ly/3EkRbtQ [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

230. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 192-193.

231. შემოწმების შედეგები 5 ივლისის საქმესთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3MYK28t [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

232. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 17; სოციალური სამართლიანობის ცენტრი, აქტივიზმი და შეკრების უფლებით სარგებლობა – ქართული პრაქტიკის ანალიზი, 2022, გვ. 23; თბილისის საქალაქო სასამართლომ 5 ივლისს ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლების (აქტივისტების) საჩივარი დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით არ დააკმაყოფილა, იხ.: https://bit.ly/3oyrSA4 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

233. საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, ადამიანის უფლებები საქართველოში 2022, გვ. 18.

ვიდუალიზაციის პრინციპის დარღვევით.[234] სამოქალაქო ორგანიზაციების შეფასებით, შეფარდებული სასჯელი არ იყო საკმარისად მკაცრი, ბრალდების გადაკვალიფიცირება კი გამორიცხავდა ძალადობის ორგანიზატორებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას და წარმოადგენდა საშიშ გზავნილს, რომ სახელმწიფო შეიწყნარებს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ორგანიზებასა და მასში მონაწილეობას.[235] აღნიშნული მიდგომა ახალისებს დაუსჯელობის სინდრომს და ვეღარ მიიღწევა დანაშაულის პრევენცია, როგორც სასჯელის ერთ-ერთი მიზანი.

2021 წლის 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების გარდა, პრობლემურია წარსულში უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი სხვა სამართალდარღვევების გამოძიებაც. კერძოდ, პროკურატურის მიერ სახალხო დამცველისათვის მიწოდებული ინფორმაციით, დღემდე არ დაწყებულა კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა 2017-2019 წლებში ქალთა და ლგბტქი+ თემის უფლებადამცველების წინააღმდეგ მუქარისა და 2020 წელს „თბილისი პრაიდის“ ოფისიდან დროშის ქურდობის ფაქტებზე.[236] გარდა ამისა, არასათანადოდ წარიმართა გამოძიება 2021 წლის 15 მაისს მომხდარ ჰომოფობიურ ინციდენტზე. კერძოდ, 2021 წლის 15 მაისს ჰომოფობიური დაჯგუფების ლიდერმა გურამ ფალავანდიშვილმა, ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღისთვის მომზადებული არტ-ინსტალაცია „Welcome to the closet“ დაარბია.[237] მან ასევე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ადგილზე მყოფ აქტივისტებს.[238] მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელები ადგილზე იყვნენ, მათ გურამ ფალავანდიშვილისთვის არტ-ინსტალაციის დარბევაში და აქ-

234. შემოწმების შედეგები 5 ივლისის საქმესთან დაკავშირებით, იხ.: https://bit.ly/3MYK28t [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

235. GDI და HRC პროკურატურას განაჩენის გასაჩივრებისკენ მოუწოდებენ, იხ.: https://bit.ly/43IsYK1 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

236. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2022 წელი, გვ. 167.

237. 15 მაისს დედაენის ბაღში ლგბტ ინსტალაციის დაზიანებისთვის ამ დრომდე არავინ დაუკავებიათ, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/31360557.html [უკანასკნელად ნანახია 28.04.2023].

238. 15 მაისს დედაენის ბაღში ლგბტ ინსტალაციის დაზიანებისთვის ამ დრომდე არავინ დაუკავებიათ, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/31360557.html [უკანასკნელად ნანახია 28.04.2023].

ტივისტებზე ძალადობაში ხელი არ შეუშლიათ.[239] აქტივისტებმა ადგილზე გამოიძახეს პოლიცია, რომელმაც ფალავანდიშვილი შემთხვევის ადგილიდან მოგვიანებით გაიყვანა. გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით, რაც გულისხმობს დევნას სიტყვის და აზრის გამო. ფალავანდიშვილის მიერ შეკრების დარბევა ვიდეოფირზე მედიამ გადაიღო .[240] მოწმის სახით გამოიკითხა 16 ადამიანი, ჩატარდა 5 სხვადასხვა ექსპერტიზა, 2 აქტივისტი დაზარალებულად იქნა ცნობილი. მიუხედავად ამისა, ფალავანდიშვილს ამ დრომდე ბრალი არ წარდგენია და სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა. წელიწადზე მეტია საქმეში არანაირი საგამოძიებო ღონისძიება არ ჩატარებულა.

ზოგადად, გასული წლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სისტემატურად არაეფექტურია ჰომოფობიური დანაშაულების გამოძიება საქართველოში. სახალხო დამცველის შეფასებით, „სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება კვლავ გამოწვევად რჩება. სამართალდამცავი უწყებების რეაგირება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობისა და დროულობის სტანდარტებს. დაბალია მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლებში სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის მაჩვენებელიც“.[241]

სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის მცდელობები

2022 წელსაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის შემთხვევებს. „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ, „ყველაზე მდიდარი ენჯეოები“ უწო-

239. 15 მაისს დედაენის ბაღში ლგბტ ინსტალაციის დაზიანებისთვის ამ დრომდე არავინ დაუკავებიათ, იხ.: https://www.radiotavisupleba.ge/a/31360557.html [უკანასკნელად ნანახია 28.04.2023].

240. გურამ ფალავანდიშვილმა ლგბტქი აქტივისტების ინსტალაცია დაარბია. იხ.: https://www.youtube.com/watch?v=c9C9ZjT7Biw [უკანასკნელად ნანახია 28.04.2023].

241. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, გვ. 28, იხ.: https://bit.ly/41I2GWl [ბოლოს ნანახია 26.04.2023].

და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას (ISFED)“.[242] 2022 წლის სექტემბერში ირაკლი კობახიძემ განაცხადა, რომ რამდენიმე ყველაზე მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციის ხარჯები აბსოლუტურად გაუმჭვირვალე იყო და ქვეყნისთვის რისკებს ქმნიდა.[243] ასევე, 2022 წლის სექტემბერში მმართველი პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ სახელმწიფოს და ხელისუფლების წინააღმდეგ მიემართებოდა ფული, რომლითაც ფინანსდებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები.[244] გარდა ამისა, საყურადღებოა ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში სექტემბერ-ოქტომბერში გასული რამდენიმე გადაცემა, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების კანონიერებას ეჭვქვეშ აყენებდა.[245] ამ გადაცემებისა და ზემოაღნიშნული განცხადებების შემდეგ, 2022 წლის დეკემბერში საპარლამენტო უმრავლესობის წევრების ჯგუფმა „ხალხის ძალამ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ იანვარში დააინიცირებდა ე.წ. „უცხოეთის აგენტების“ დაფინანსების მარეგულირებელ კანონპროექტს.[246] აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ წინმსწრები განცხადებები ემსახურებოდა კანონპროექტისათვის ნიადაგის მომზადებას და არასამთავრობო სექტორის დისკრედიტაციას. უფლებადამცველების მიმართ წარმოებულ დისკრედიტაციის კამპანიას გამოეხმაურა სახალხო დამცველიც, რომლის შეფასებით, არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებაზე „ინფორმაციის მსგავსი სახით წარმოჩე-

242. ირაკლი კობახიძე – 12 პუნქტის გარშემო სამუშაო პროცესში ჩართული უნდა იყვნენ მხოლოდ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ემიჯნებიან პოლიტიკურ მოთხოვნებს და არ არიან შემჩნეული რაღაცების გაყალბებაში, იხ.: https://bit.ly/41EKT28 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

243. ირაკლი კობახიძის განცხადებით, რამდენიმე დიდი არასამთავრობო ორგანიზაციის ფინანსური შემოსავლები კითხვის ნიშნებს აჩენს, იხ.: https://bit.ly/3MRhLAE [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

244. მდინარაძე: ფული, რომლითაც NGO-ები ფინანსდებიან, ტექნიკური მთავრობის კამპანიის დასაგეგმადაა, იხ.: https://formulanews.ge/News/76949 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

245. იხ.: https://bit.ly/3XjkjKa https://bit.ly/3XswcNI https://bit.ly/3XTwrlh https://bit.ly/3w9Q8sV ბოლოს ნანახია [26.04.2023].

246. „ხალხის ძალა“ NGO-ების საქმიანობისა და მედიაში სიცრუის გავრცელებაზე კანონპროექტებს წარადგენს, იხ.: https://civil.ge/ka/archives/520493 [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

ნა მიზნად მხოლოდ საზოგადოებაში სამოქალაქო სექტორის მიმართ ნეგატიური განწყობების შექმნას ისახავს“.[247]

სამოქალაქო სექტორის მონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველყოფა

ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების ერთ-ერთი პირობაა, რომ „უზრუნველყოფილი იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე“.[248] ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა სხვადასხვა პროცესში არ ყოფილა სათანადოდ უზრუნველყოფილი. კერძოდ, პარლამენტში შექმნილ საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფში არ მიიწვიეს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED)“ მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციას დიდი გამოცდილება და ექსპერტიზა აქვს სწორედ საარჩევნო საკითხებზე. „ISFED“-ის მონაწილეობაზე უარი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა და „ქართული ოცნების“ წევრმა გივი მიქანაძემ ახსნა იმ არგუმენტით, რომ „ISFED“-მა (პოლიტიკური) „ნეიტრალიტეტი დაკარგა, როდესაც ბოლო შეკრების დროს შეუერთდნენ მოთხოვნას, პრემიერ-მინისტრის გადაყენების თაობაზე“.[249] ამ პოზიციის გასაპროტესტებლად, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე უარი თქვეს სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც. მათი შეფასებით, „ISFED-ისთვის საარჩევნო საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის აკრძალვა არის კრიტიკული და დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაციების დისკრედიტაციის კიდევ ერთი მცდელობა და ამ გადაწყვეტილებას განსხვავებული აზრის გამო დისკრიმინაციის შინაარსი და კონტექსტი აქვს“.[250]

247. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებადამცველების მიმართ წარმოებულ დისკრედიტაციის კამპანიას ეხმიანება, იხ.: https://bit.ly/3MZEc6P [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

248. მოხსენებითი ბარათი (memo): საქართველო, იხ.: https://bit.ly/40r7jTO [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

249. საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის თაობაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომლის პირველი შეხვედრაც პარლამენტში იმართება, „სამართლიან არჩევნებს“ მონაწილეობის უფლება არ მისცეს, იხ.: https://bit.ly/3La1UvO [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

250. მმართველმა პარტიამ უნდა უზრუნველყოს ISFED-ის ჩართულობა საარჩევნო საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში, იხ.: https://bit.ly/41gt2Px [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

ასევე, ხსენებული გადაწყვეტილება, სახალხო დამცველის შეფასებით, „ეწინააღმდეგება ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად, საქართველოსთვის განსაზღვრულ ერთ-ერთ პირობას, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას გულისხმობს და აზიანებს ცვლილებების ეფექტიანად და სიღრმისეულად განხორციელების პროცესს“.[251]

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მხრივ, საყურადღებოა ადამიანის უფლებათა 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაზე მუშაობის პროცესი, რომელიც გააკრიტიკეს ლგბტ+ სათემო ორგანიზაციებმა. კერძოდ, „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენლის თქმით, მთავრობის ადმინისტრაციის ცვლილების შემდეგ გაწყდა კომუნიკაცია და ორგანიზაცია აღარ მიუწვევიათ სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, მათ არც მიუღიათ სტრატეგიის სამუშაო ვერსია მთავრობის ადმინისტრაციისგან და არ ყოფილან მიწვეულნი დოკუმენტის წარდგენაზე.[252] ანალოგიურად, არც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ მიუღია სტრატეგია უშუალოდ მთავრობისგან და იგი საკუთარი ძალისხმევით, პარტნიორი ორგანიზაციისგან მოიპოვეს, ხოლო თანამშრომლობა მხოლოდ დოკუმენტზე კომენტარების დართვით შემოიფარგლა.[253]

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- განახორციელოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სრულყოფილი რეფორმა, საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, მათ შორის – ევროკონვენციით დადგენილი სტანდარტების დაცვით.

251. საქართველოს სახალხო დამცველი უფლებადამცველების მიმართ წარმოებულ დისკრედიტაციის კამპანიას ეხმიანება, იხ.: https://bit.ly/3MZEc6P [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

252. რატომ არ არის ნახსენები ლგბტქი+ ადამიანები ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში, იხ.: https://bit.ly/3TSSZzP [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

253. რატომ არ არის ნახსენები ლგბტქი+ ადამიანები ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიაში, იხ.: https://bit.ly/3TSSZzP [ბოლოს ნანახია 20.04.2023].

შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, სხვა ძალოვან უწყებებს:

- პატივი სცენ უფლებადამცველებისა და აქტივისტების გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებას და უკანონოდ არ ჩაერიონ უფლებების რეალიზებაში;
- მოახდინონ უფლებადამცველებისა და აქტივისტების წინააღმდეგ დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების პრევენცია, მათი აღკვეთის მიზნით დროული და სათანადო რეაგირება და ეფექტური გამოძიება.

სასამართლოებს:

- აქტივისტების წინააღმდეგ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილონ და გადაწყვიტონ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით, მათ შორის – ევროკონვენციით, დადგენილი სტანდარტების დაცვით.

საქართველოს ხელისუფლებას:

- უზრუნველყოს სამოქალაქო სექტორის სათანადო ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის პირობის შესაბამისად;
- არ განახორციელონ სამოქალაქო ორგანიზაციების დისკრედიტაცია და საჯაროდ მხარი დაუჭირონ მათ საქმიანობას;
- თავი შეიკავოს ჰომოფობიური განცხადებებისაგან.

მედია

მედიის უსაფრთხოება

მედიის წარმომადგენლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით წინა წლებში დაწყებული ტენდენცია მნიშვნელოვნად გაუარესდა და კიდევ უფრო გახშირდა ჟურნალისტებზე სიტყვიერი და ფიზიკური თავდასხმის, მათ პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევის შემთხვევები. მედია გარემო კვლავ მტრული და არამეგობრული რჩება, რადგან ჟურნალისტი ხშირად ხდება უკანონო ჩარევისა და თავდასხმის მსხვერპლი.[254] ხელისუფლების წარმომადგენლები და რელიგიური ლიდერები ხშირად ეპყრობიან მედიას დისკრიმინაციული დამოკიდებულებით და აგრძელებენ მათ ლეგიტიმურ მოთხოვნებზე აგრესიული რიტორიკით პასუხს.[255] სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მსგავს ფაქტებზე სათანადო რეაგირებას და დროულ პრევენციას. ხშირია არაეფექტიანი გამოძიება, რისი კარგი მაგალითია 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები, შემდგომი გამოძიება და სასამართლო განაჩენები,[256] სადაც, რიგ შემთხვევაში, ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ჩამდენი პირები არასრულად ან ვერ გამოვლინდნენ.[257] გარდა ამისა, მიუხედავად საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომი უამრავი მტკიცებულების არსებობისა, ძალადობის არც ერთ ორგანიზატორს ბრალი არ წაყენებია.[258]

254. მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], 12.04.2022, „მედია ადვოკატირების კოალიცია ეხმაურება ფორმულა TV-ს თანამშრომლებზე თავდასხმის ფაქტებს“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ovTFyI, განახლებულია: 04.04.2023. მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], 19.11.2021, „მედია ადვოკატირების კოალიცია „შემაშფოთებლად მიიჩნევს საქართველოში კიდევ ერთი უკრაინელი ჟურნალისტის უფლებების შეზღუდვას”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31FBiyG, განახლებულია: 04.04. 2023.

255. საია, [ფეისბუქის გვერდი], 09.05.2021, „მედია ადვოკატირების კოალიცია გმობს სასულიერო პირების მიერ ჟურნალისტებზე თავდასხმებს”, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3rIkX76, განახლებულია: 04.04.2023.

256. საია 5-6 ივლისის მოვლენების შედეგად დაზარალებული მედიის წარმომადგენლების სახელით ევროსასამართლოს მიმართავს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი. 07.11.2022 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Urfvkr განახლებულია: 13.03.2023

257. იქვე

258. იქვე. იხილეთ აგრეთვე: მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], მედია ადვოკატირების კოალიცია საგანგაშოდ მიიჩნევს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 5 ივლისის საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mNHr6k განახლებულია: 13.03.2023

„უცხოელი აგენტების შესახებ“ ინიციირებული კანონის წინააღმდეგ მიმდინარე ლეგიტიმური პროტესტის დროს, მედიის წარმომადგენლებს განზრახ შეეზღუდათ პროფესიული მოვალეობების შესრულება და კონსტიტუციით გარანტირებული გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობა, სამართალდამცავები ხშირად ძალადობდნენ, იყენებდნენ არაპროპორციულ ძალას და ადმინისტრაციული წესით აკავებდნენ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს.[259] ზოგიერთ შემთხვევაში ეროვნული სასამართლო მტკიცებულებების შეფასებისას მხოლოდ საპატრულო პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განმარტებებს დაეყრდნო და მედიის წარმომადგენლები დააჯარიმა.[260] თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ რუსეთის კანონმდებლობის წინააღმდეგ აქციაზე დაკავებული ჟურნალისტების დაჯარიმება სახიფათო პრეცედენტს ქმნის და საზიანოა მედია გარემოსთვის. ცხადია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება მიზნად ისახავს პროფესიული საქმიანობის მომეტებულ შეზღუდვას.[261]

კრიტიკულ მედიასთან ბრძოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ნიკა გვარამიას დაკავება და მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი. საია ნიკა გვარამიას ე.წ. „რუსთავი 2-ის საქმეზე“ გამოტანილ განაჩენს გაეცნო და სასამართლო სხდომებს აკვირდებოდა. სასამართლო პროცესი აჩენს კითხვებს ბრალდებულის ბრალის წაყენების, სასამართლო პროცესის, განაჩენის დასაბუთებულობის სტანდარტებზე, სასამართლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე მოსამართლის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე, რის გამოც, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია. ამასთან, სასამართლო დარბაზში გამოკვლეული უამრავი მტკიცებულება იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ ქმედებაში ბრა-

259. მედია ადვოკატირების კოალიცია [ფეისბუქის გვერდი], 13.03.2023, მედია ადვოკატირების კოალიცია მიმართავს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და სხვა დარღვევების თაობაზე, ხელმისაწვდომია მისამართზე: https://bit.ly/3JxaRNV, განახლებულია: 04.04.2023.

260. მედიის ადვოკატირების კოალიცია, 20.04.2023, რუსეთის კანონის წინააღმდეგ პროტესტის გამო დაპატიმრებული ჟურნალისტების დასჯა მედიისთვის კიდევ ერთ საშიშ პრეცედენტს ქმნის, ხელმისაწვდომია: http://mediacoalition.ge/ge/a/1288877b, [21.04.2023]. განახლებულია: 04.04.2023.

261. იქვე.

ლის ნიშნები არ იყო.[262] ნიკა გვარამიას დაპატიმრების საქმეს „Amnesty International“ პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევს.[263]

ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა, რომელიც კვლავ გამოიკვეთა, იყო ქვეყანაში უკანონო თვალთვალის მრავალი ფაქტი, მათ შორის მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ.[264] 2021 წელს საჯაროდ გავრცელდა ფაილები, რომლებიც, სავარაუდოდ, ასახავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული ფარული მოსმენის ფაქტებს, ადრესატებს შორის იყვნენ ჟურნალისტებიც.[265] აღნიშნულ საქმეებზე პროკურატურამ გამოძიება სსკ-ის 158-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 (ა) ქვეპუნქტებით დაიწყო, რაც გულისხმობს პირადი საუბრების უნებართვო ჩაწერას ან მიყურადებას.[266] თუმცა, გამოძიებაში დაზარალებულთა არაჯეროვანი ჩართულობა, ინფორმაციული ვაკუუმი, საქმის საწყის ეტაპზე პროკურატურის მიერ დაზარალებულთა დაკითხვის უგულებელყოფა და სხვა გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფო არ არის მოტივირებული სავარაუდო სისტემური დანაშაულის გამოძიებით, დამნაშავეების იდენტიფიცირებით და დასჯით. გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არის კითხვები, რაც კიდევ უფრო არღვევს უკანონო მოსმენების მსხვერ-

262. იხილეთ: საიას ინფორმაციით, ნიკა გვარამიას საქმეზე გამოტანილი განაჩენი გაუმართლებელია, საიას ვებგვერდი. 03.06.2022წ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3BTjIae განახლებულია: 04.04.2023.; განცხადება ნიკა გვარამიას საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, საიას ვებგვერდი, 04.04.2023. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Lx1O1Q განახლებულია: 04.04.2023.

263. Amnesty International, საქართველო: ოპოზიციური მედიის მფლობელის, ნიკა გვარამიას განაჩენის გამოტანა განსხვავებული ხმის პოლიტიკური მოტივით გაჩუმება, 17.05.2022, ხელმისაწვდომია: https://www.amnesty.org/en/latest/news/2022/05/georgia -ოპოზიციური-მედიის-მფლობელის-ნიკა-გვარამია-ა-პოლიტიკურ-მოტივირებული-დადუმება/, განახლებულია: 04.04.2023.

264. სამოქალაქო ორგანიზაციები: ხელისუფლება იყენებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, როგორც ტოტალური კონტროლის მექანიზმს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებ-გვერდი, 02.08.2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3d9npLm განახლებულია: 04.04.2023

265. იხილეთ: საქართველოში დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება პრაქტიკაში სხვადასხვა ჯგუფისადმი. 2021 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mZbuZd განახლებულია 04.04.2023.

266. იხილეთ: პროკურატურის მიერ ე.წ. მოსმენების გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს. სოციალური სამართლიანობის ცენტრის ოფიციალური ვებგვერდი. 18.05.22 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3mX7E2I განახლებულია 04.04.2023.

პლთა პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას, კონსტიტუციითა და კონვენციით გარანტირებულ სამართლიან სასამართლოს უფლებას და არ უტოვებს მსხვერპლებს შესაძლებლობას, დაიცვან თავიანთი უფლებები ეფექტური ეროვნული სამართლებრივი მექანიზმებით.[267]

პარლამენტში მედიის აკრედიტაციის ახალი რეგულაციები

2023 წლის 6 თებერვალს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ გამოსცა ბრძანება, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის წესი. რეგულაცია 7 თებერვლიდან შევიდა ძალაში.[268] ერთ-ერთი ცვლილების მიხედვით, ჟურნალისტი ვალდებულია, შეწყვიტოს ინტერვიუ მაშინვე, როდესაც ამას პარლამენტის წევრი, აპარატის თანამშრომელი, ან პარლამენტში სტუმრად მყოფი პირი მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევს აკრედიტაციის შეჩერებას. საქართველოს პარლამენტის კვლევა მიუთითებს, რომ ევროპული პარლამენტის ჟურნალისტების ქცევის კოდექსის მიხედვით პარლამენტარისგან ინტერვიუს მისაღებად საჭიროა წინასწარი თანხმობა და პარლამენტარის მოთხოვნით, ნებისმიერ დროს შეიძლება შეწყდეს ინტერვიუ, რომლის დარღვევაც გამოიწვევს სანქციას.[269] აღსანიშნავია, რომ ევროპული პარლამენტის ჟურნალისტების ქცევის კოდექსი მართლაც მოიცავს იმგვარ მოწესრიგებას, რომლის თანახმადაც ინტერვიუს მისაცემად საჭიროა წინასწარი შეთანხმება, თუმცა ის არ ითვალისწინებს ინტერვიუს შეწყვეტის ვალდებულებას მოთხოვნის შემთხვევაში.[270] მსგავსმა რეგულაციამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურ-

267. იქვე

268. იხილეთ: ბრძანება საქართველოს პარლამენტში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენელთა აკრედიტაციის პროცედურის დამტკიცების შესახებ. 06.02.2023 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3HJuQb8 განახლებულია: 04.04.2023.

269. მედიის აკრედიტაცია პარლამენტში, უცხო ქვეყნების გამოცდილება, საქართველოს პარლამენტის კვლევის ცენტრი, 2021 წელი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YdJTRk, განახლებულია 04.04.2023 წ.

270. იხ: ევროკომისიის შენობაში ჟურნალისტების ქცევის კოდექსი. მუხლი 6. ხელმისაწვდომია ინგლისურად: https://bit.ly/3RKErmx განახლებულია: 8.02.23

ველი კითხვების დასმის შემთხვევაში ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის შეჩერება, რადგან ბრძანება არ აკონკრეტებს, რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ლეგიტიმური ჟურნალისტის კითხვებზე პასუხის უარის თქმა, ან ინტერვიუს მყისიერად შეჩერება. ეს კი ხელს შეუშლის ჟურნალისტის საქმიანობას და არაპროპორციულად შეზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

მსგავსი რეგულაცია ასევე ხელს შეუწყობს უკვე პოლარიზებული მედია და პოლიტიკური გარემოს გაუარესებას. დეპუტატს შეეძლება თავი აარიდოს ჟურნალისტთან კომუნიკაციას, ისე, რომ შეიძლება არც კი იცოდეს, რა თემას შეეხება შეკითხვა. თავის ასარიდებლად კრიტიკული ტელევიზიის მიკროფონის დანახვაც კი საკმარისი იქნება, რაც ჟურნალისტური საქმიანობის შეზღუდვაა. მმართველი პარტია არსებული მონაცემებით ისედაც თავს არიდებს კრიტიკულ მედიასთან საუბარს, ეს ნიშნავს, რომ კრიტიკული მედიის აუდიტორიას არ ექნება შესაძლებლობა, მოისმინოს არჩეული დეპუტატების პასუხები მათ მიმართ დასმულ კითხვებზე.

უფრო მეტიც, რეგლამენტის მიღებიდან მალევე პარლამენტმა „ფორმულას“, „ტვ პირველის“ და „მთავარი არხის“ ჟურნალისტებსა და ოპერატორებს აკრედიტაცია შეუჩერა. პარლამენტის გადაწყვეტილება ეხებოდა პროსამთავრობო მედიის POST TV-ის ერთ-ერთ დამფუძნებელს შალვა რამიშვილს, რომელიც მხილებული იყო ქალების სექსუალურ შევიწროებაში და ამერიკის შეერთებული შტატების მიერ სანქცირებული მოსამართლეების მიმართ დასმულ კითხვებს.[271] შესაბამისად, ასეთი რეგულაცია კიდევ უფრო უწყობს ხელს მედიისა და პოლიტიკური გარემოს პოლარიზაციას.

ცილისწამების საქმეები

მედიის თავისუფლებაში ჩარევის კიდევ ერთი მცდელობა არის ცილისწამების სარჩელი მაუწყებლებისა და მედიის წარმომადგენლების წინააღმდეგ. საყურადღებოა, რომ ხშირ შემთხვევაში სარჩელები წარდგენილი იყო მაღალი რანგის პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირების, პოლიციის თანამშრომლებისა და „ქართულ ოცნებასთან“ სხვაგვარად

271. იქვე.

დაკავშირებული პირების მიერ.[272] ბოლო ერთი წლის განმავლობაში სამი წამყვანი კრიტიკული ტელეარხის – „მთავარი არხის", „ფორმულა" და „ტვ პირველის" წინააღმდეგ 28 სარჩელი შევიდა. მომჩივანთა უმეტესობა მმართველი პარტიის წარმომადგენლები და მათთან დაახლოებული პირები არიან. მოკლე დროში კრიტიკული მედიის წინააღმდეგ სასამართლო პროცესების რაოდენობა აშკარად მიუთითებს კოორდინირებულ ტენდენციაზე, რომელიც მიმართულია მედიის საქმიანობის შეზღუდვისა და დაშინებისკენ. პრობლემას კიდევ უფრო ზრდის სასამართლო პრაქტიკის ცვლილება, რითაც კანონით დადგენილი მკაფიო ჩანაწერის მიუხედავად, მტკიცების ტვირთი ჟურნალისტს ეკისრება.[273]

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრაქტიკა

ბოლო წლებში კომისიის მხრიდან მაუწყებლობის შინაარსში ჩარევისა და გამოხატვის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვის ფაქტები არაერთხელ გამოვლინდა. საყურადღებოა 2022 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება, როდესაც კომისიამ დააჯარიმა რამდენიმე მედია მაუწყებელი რეკლამის „შინ ევროპაში" გაშვებისთვის, რომელიც ზოგადად კრიტიკული იყო ევროინტეგრაციის კუთხით სახელმწიფოს ქმედებების მიმართ. ეს გადაწყვეტილება მოკლებული იყო სამართლებრივ საფუძველს და ეწინააღმდეგებოდა უკვე არსებულ სასამართლო პრაქტიკას პოლიტიკურ რეკლამებთან დაკავშირებით.[274] აღსანიშნავია ისიც, რომ

272. იხილეთ „სასამართლოს გადაწყვეტილებები მედიის მიმართ ცილისწამების შესახებ სახიფათო ტენდენციად იქცა" საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო. 02.12.2022წ. ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3TjFmLq განახლებულია: 04.04.2023. იხილეთ: დისკრიმინაციის აკრძალვის უფლება პრაქტიკაში სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში 2021 წლის ანგარიში. თანასწორობის კოალიცია, 2022 ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3ljnYKl განახლებულია 04.04.2023.

273. სასამართლო გადაწყვეტილებები მედიის მიმართ ცილისწამების შესახებ სახიფათო ტენდენციად იქცა, საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, 01.12.2012 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3TjFmLq განახლებულია: 04.04.2023.

274. იხილეთ კოალიცია მედია ადვოკატირებისთვის [ფეისბუქის გვერდი], 23.08.2021, კომუნიკაციების კომისიის გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და მნიშვნელოვნად აუარესებს მედია გარემოს საქართველოში. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Aidz4U, განახლებულია: 04.04.2023.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის გარკვეული ნორმები გამოიყენება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მაუწყებელთა გადაცემების შინაარსის გასაკონტროლებლად და მაუწყებლების სანქცირების მიზნით. ნორმების არაგანჭვრეტადი ხასიათის გამო, ისინი ამჟამად გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.[275]

22 დეკემბერს პარლამენტმა მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებები მიიღო.[276] კანონმა გააფართოვა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ზედამხედველობა მედიის შინაარსზე, შეცვალა ცილისწამების საქმეების პროცედურა, მტკიცების ტვირთი მოსარჩელიდან მედიაზე გადაიტანა და სიძულვილის ენის ბუნდოვანი დეფინიცია შემოიტანა. მმართველმა პარტიამ განაცხადა, რომ ცვლილებების მიზანია აუდიოვიზუალური მედიის შესახებ კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაცია.[277] საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი ნაჩქარევად განხორციელდა, ამ სფეროში ჩართული პირების აზრის გაზიარებისა და რისკების შეფასების გარეშე, რაც ქვეყანაში ისედაც მძიმე მედია გარემოს გაუარესების საშიშროებას ქმნის.

რეკომენდაციები

საგამოძიებო ორგანოებს:

- მედიის წარმომადგენლების პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ჩარევისა და უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებზე იქონიონ ოპერატიული რეაგირება და ჩაატარონ ეფექტიანი გამოძიება;

275. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის წლიური ანგარიში ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022070612391254904.pdf, განახლებულია: 04.04.2023წ.

276. იხილეთ: პარლამენტმა მხარი დაუჭირა „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებას. საქართველოს პარლამენტის ოფიციალური გვერდი. 22.12.2022 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ZAPBws, განახლებულია: 04.04.2023..

277. 2022 წლის ანგარიშები ადამიანის უფლებათა პრაქტიკის შესახებ: საქართველო. შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3Mf3m0P განახლებულია: 04.04.2023.

- ჩაატარონ დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება უკანონო მოსმენებთან დაკავშირებით.

კომუნიკაციების კომისიას:

- იმოქმედოს თავისი მანდატისა და კანონმდებლობის ფარგლებში, არ გააკეთოს უკანონო განმარტებები და პატივი სცეს საჯარო ინ-ფორმაციის მიწოდებისა და მედიის თავისუფლებით აღიარებულ სტანდარტებს.

საქართველოს პარლამენტს:

- უზრუნველყოს, რომ პარლამენტში მედიის აკრედიტაციის რეგუ-ლაციები შეესაბამებოდეს ევროპულ სტანდარტებს და არ შეიცავ-დეს ფუნდამენტური უფლებების დარღვევის რისკებს.

უსახლკარო პირები

უსახლკარობის გამომწვევი ყველაზე გავრცელებული მიზეზი სიღარიბეა. არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც ადამიანებს უფრო დაუცველს ხდის უსახლკარობის წინაშე, მაგალითად: კონფლიქტები და ბუნებრივი კატასტროფები, უმუშევრობა, იძულებითი გამოსახლება, სოციალური დაცვის სისტემების ნაკლებობა, დაუცველ პირთა ჯგუფების მიმართ გამოვლენილი გულგრილობა, სოციალური საცხოვრებლების არარსებობა და ა.შ. უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები კიდევ უფრო დაუცველნი ხდებიან სხვადასხვა სახის ძალადობის, მუქარისა და შევიწროების საფრთხეების წინაშე[278].

უსახლკარობის განმარტება განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, რადგან ადეკვატური საცხოვრებელი, მინიმალური სტანდარტი და უსაფრთხოება თითოეულ კულტურაში სხვადასხვანაირად აღიქმება. ამის გათვალისწინებით, მართალია, უსახლკარობის საერთაშორისოდ შეთანხმებული განმარტება არ არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია არ მოხდეს ტერმინის მხოლოდ ვიწრო სახით განმარტება. ფართო კონტექსტში უსახლკარობის პრობლემა მოიცავს უსახლკაროდ ქცევის რისკებს, საცხოვრებლის ადეკვატურობას და ა.შ. ამგვარად, უსახლკარობა საცხოვრებელი ადგილის არქონაზე მეტად, ხაზს უსვამს ამა თუ იმ პირის სოციალური კუთვნილების არარსებობას. ამ პრობლემის გადაჭრა კი მხოლოდ შესაბამისი სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავებისა და კონკრეტული პოლიტიკის გატარების შედეგად არის შესაძლებელი[279].

უსახლკარობის საკანონმდებლო დეფინიცია

საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, უსახლკარობის განმარტების დროს, რეკომენდირებულია მისი ორ კატეგორიად მოაზრება. პირველი ხარისხის უსახლკარობა გულისხმობს, რომ პირი ცხოვრობს ქუჩაში, ან დარჩენილია თავშესაფრის გარეშე. ხოლო, მეორე ხარისხის უსახლკარობის დროს, პირს არ გააჩნია საცხოვრებელი და ხშირად

278. OHCHR, The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev.1, 2014, გვ.22.

279. OHCHR, The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev.1, 2014, გვ.22.

მოძრაობს ერთი ადგილიდან მეორეში, ან შეფარებულია უსახლკაროთა თავშესაფარს[280].

ამის საპირწონედ, საქართველოს საკანონმდებლო დონეზე დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირის ცნების სრულყოფილი განმარტება[281]. უსახლკარო პირის საკანონმდებლო განმარტება მოცემულია საქართველოს კანონში „სოციალური დახმარების შესახებ“, რომლის თანახმად, უსახლკარო პირი არის „მუდმივი, განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არმქონე პირი, რომელიც მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია, როგორც უსახლკარო“[282].

უსახლკარო პირის ამგვარი განმარტება არაერთი მიზეზის გამოა პრობლემური, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ასეთი დეფინიციით უსახლკარობის სტატუსი დაკავშირებულია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ პირის რეგისტრაციასთან. ამგვარად, იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი საკუთარ ვალდებულებას არ შეასრულებს და არ დაარეგისტრირებს პირს უსახლკაროდ ან საკუთარი შეხედულებისამებრ დაწესებული სტანდარტების მიხედვით მიანიჭებს მას ამ სტატუსს, შედეგად გამოიკვეთება უსახლკარო პირების საცხოვრისით უზრუნველყოფის პრობლემური და არაჰარმონიზებული პოლიტიკა[283].

დამატებით აღსანიშნავია, რომ ამ დეფინიციით უსახლკაროდ აღიარების კრიტერიუმად მითითებულია მუდმივი და განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილის არქონა, რაც შეიძლება გამორიცხავდეს ისეთი პირების უსახლკაროდ აღიარებას, რომლებიც ცხოვრობენ არასათანა-

280. Principles and Recommendations for Population and Housing Censuses (United Nations publication, Sales No. 07.XVII.8 P), პარა 2.37.

281. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ .16 ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

282. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მ. 4 (ჟ).

283. „საცხოვრისის სერვისის განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში“ სპეციალური ანგარიში, გვ. 27. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.].

დო საცხოვრებლებში ან დროებით არიან შეფარებულნი ნაცნობებს[284]. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ტერმინი „მუდმივი საცხოვრებელი ადგილი“ მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას აუცილებელია დადგინდეს მისი ნება და დადასტურდეს ფაქტობრივად ცხოვრება[285]. უსახლკარო პირის დეფინიციაში არსებული „მუდმივი საცხოვრებლისა“ და „ნების“ განმარტება უფრო მარტივია „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მაგალითზე, რომლის თანახმად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის პირის მიერ საცხოვრებლად არჩეული ადგილი, საიდანაც იგი იძულებული გახდა გადაადგილებულიყო და არ შეუძლია დაბრუნება,[286] დევნილად ითვლება ის პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილებულიყო საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში[287]. ამგვარად, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არსიდან გამომდინარეობს, რომ პირი ადგილზე მუდმივად უნდა იმყოფებოდეს, როგორც ძირითად ადგილსამყოფელში. ხოლო იმისათვის, რომ პირი მივიჩნიოთ იძულებით გადაადგილებულად, მას იძულებით, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ უნდა უხდებოდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვება, სადაც იგი ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებას და საქმიანობას ეწეოდა[288].

განხილულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტება და საქართველოს კანონმდებლობაში არსებული დეფინიცია მიმართულია პირის საცხოვრებლის ფიზიკურ განზომილებაზე, რაც გამორიცხავს სათანადო საცხოვრებლის უფლების

284. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უსახლკარო პირის ცნება და უსახლკაროდ მიჩნევის კრიტერიუმები, 2020, გვ. 10.

285. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ბს-1896-1849(კ-10) (9 ივნისი, 2011 წელი).

286. საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, მ. 4. (გ).

287. საქართველოს კანონი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“, მ. 6.

288. საქართველოს უზენაესი სასამართლო, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, ბს-1896-1849(კ-10) (9 ივნისი, 2011 წელი).

რეალიზებას სოციალურ და სამართლებრივ ასპექტებში, შესაბამისად, უსახლკარობის განმარტებასთან მიმართებაში სრულიად არის უგულებელყოფილი პირის უფლება სათანადო საცხოვრებელზე[289].

უფლება სათანადო საცხოვრებელზე

სათანადო საცხოვრებელზე უფლება ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე უფლება საკუთრებაზე, ვინაიდან სათანადო საცხოვრებელზე უფლება გააჩნიათ იმ პირებსაც, რომლებიც არ არიან მესაკუთრეები. ასეთი პირების სათანადო საცხოვრებლის უფლების დასაცავად, მნიშვნელოვანია უსაფრთხო ადგილას ღირსეულად ცხოვრების უზრუნველყოფა და შესაბამისი ადეკვატური საცხოვრებელი გარემო პირობების შექმნა სხვადასხვა საშუალებით, როგორიცაა: ქირა, იჯარა, გადაუდებელ საცხოვრებლებისა თუ არაფორმალური დასახლებების მოწყობა და ა.შ.[290].

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, რომელიც საქართველოში რატიფიცირებულია 1994 წლიდან, ქმნის სათანადო საცხოვრებლის უფლების კომპონენტების საქართველოს კანონმდებლობაში გადმოტანის შესაძლებლობას, მაგრამ აღსრულების თვალსაზრისით ეს დიდ გამოწვევას წარმოადგენს[291], ვინაიდან სათანადო საცხოვრებლის უფლება საჭიროებს ფართო განმარტებას და არ შემოიფარგლება მხოლოდ საცხოვრებლის არსებობით. უფლება სათანადო საცხოვრებელზე მოიცავს უსაფრთხო, მშვიდობიან და ღირსეულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობას[292].

ევროპის სოციალური ქარტიის მიხედვით, საცხოვრებელ ადგილზე უფლების უზრუნველყოფის მიზნით, ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას

289. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უსახლკარო პირის ცნება და უსახლკაროდ მიჩნევის კრიტერიუმები, 2020, გვ. 12 [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.]

290. OHCHR, The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev.1, 2014, გვ.8

291. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უსახლკარო პირის ცნება და უსახლკაროდ მიჩნევის კრიტერიუმები, 2020, გვ. 12 [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.].

292. OHCHR, The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev.1, 2014, გვ.3

იღებენ თავიდან აიცილონ და შეამცირონ უსახლკარობა; ხელი შეუწყონ საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას; უზრუნველყონ საცხოვრებლის ფასების ხელმისაწვდომობა, მათთვის, ვისაც არ გააჩნია სათანადო სახსრები[293]. მაგრამ, საქართველოს სოციალური ქარტიის ამ მუხლზე დათქმა აქვს გაკეთებული და შესაბამისად ჯერჯერობით არ აღიარებს ამ უფლების დაცვის ვალდებულებას[294].

იმისათვის, რომ საერთაშორისო კანონმდებლობა სრულად რატიფიცირდეს, საჭიროა სათანადო საცხოვრებლის უფლების სრულად აღიარება. აქვე აღსანიშნავია, რომ მცდარია სათანადო საცხოვრებლის უფლების იმგვარად განმარტება, თითქოს, სახელმწიფოს ევალება მთელი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი სახლების აშენება და ადამიანები, რომლებსაც საცხოვრებელი არ ექნებათ, ავტომატურად შეძლებენ ხელისუფლებისთვის მოთხოვნის წაყენებას. რეალურად, სათანადო საცხოვრებლის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს, შეიმუშავოს შესაბამისი ზომები, რათა უსახლკარობის თავიდან ასაცილებლად, ყველას ჰქონდეს დასაქმების შესაძლებლობა; შეწყდეს დისკრიმინაცია; იძულებით გამოსახლება და ა.შ. ამ მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს შეუძლია საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ დონეზე ცვლილებების განხორციელება. სოციალური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების დახმარებაზე და მათთვის თავშესაფრების გაუმჯობესებაზე, შესაბამისი სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავებაზე[295].

იმისათვის, რომ ქვეყანაში ამაღლდეს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები, აუცილებელია საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერება. ამ ეტაპზე შესაძლოა ვერ მოხდეს ნახსენები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 2008 წლის ფაკულტატიური ოქმისა და 1996 წლის ევროპის სოციალური ქარ-

293. ევროპის სოციალური ქარტია, მ. 31.

294. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 243. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

295. OHCHR, The Right to Adequate Housing, Fact Sheet No. 21/Rev.1, 2014, გვ.6

ტიის (შესწორებული) 31-ე მუხლის სრულად რატიფიცირება, მაგრამ აუცილებელია ხელისუფლების მხრიდან დაიგეგმოს მინიმალური სოციალური პოლიტიკის გატარება და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების სტანდარტის ამაღლებაზე ზრუნვა[296].

საქართველოში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში უსახლკარობის პრევენციისა და სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა პირველ რიგში მოიცავს საქართველოს სახელმწიფო უზენაეს კანონს. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მიხედვით, საქართველო სოციალური სახელმწიფოა, რომელიც საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე ზრუნავს. ასევე „სახელმწიფო ზრუნავს ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში...“[297]. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუცია სათანადო საცხოვრებლის უფლებას სოციალური სახელმწიფოს პასუხისმგებლობას მიაკუთვნებს.

გარდა უზენაესი კანონისა, სათანადო საცხოვრებლის უფლება დარეგულირებულია „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით; „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

„სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია სოციალური დახმარების სისტემის ჩამოყალიბება და ამგვარად მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველყოფა[298].

296. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 16. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

297. საქართველოს კონსტიტუცია, მ. 5 (4).

298. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მ. 1.

ამ კანონის ძირითადი პრინციპები დაფუძნებულია სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით სათანადო რესურსების მიზანმიმართულ გადანაწილებაზე სპეციალური მზრუნველობის საჭიროების მქონე პირებზე, ღატაკ ოჯახებსა და უსახლკარო პირებზე[299]. საქართველოს კანონში „სოციალური მუშაობის შესახებ“ უსახლკარო პირი მოაზრებულია სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ჯგუფში[300], რომლისთვისაც მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ჩაატაროს სოციალური სამუშაო, კერძოდ, აწარმოოს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიური იდენტიფიცირება, განსაზღვროს და შეაფასოს მათი საჭიროებები, გამოავლინოს პრობლემები და გადასცეს ინფორმაცია შესაბამის დარგობრივ დაწესებულებას[301]. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიეკუთვნება უსახლკაროთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და რეგისტრაცია[302].

არსებული საკანონმდებლო ჩანაწერების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კანონი და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტები სათანადო საცხოვრებლის უფლებასა და უსახლკარო პირების საჭიროებებს მხოლოდ ზედაპირულად ეხება და ფრაგმენტულად არეგულირებს[303]. ასევე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, სათანადო საცხოვრებლის უფლების განხილვის დროს, არ არიან გათვალისწინებულნი ის პირები, როლებიც დროებით ახლობლებს არიან შეფარებულნი; არიან განსახლების საფრთხის ქვეშ ან იმყოფებიან პენიტენციური დაწესებულებებისა თუ ბავშვთა სახლებიდან გამოსვლის მოლოდინში[304].

299. საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“, მ. 5 (ბ).

300. საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, მ. 2 (კ).

301. საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ„, მ. 56 (1).

302. საქართველოს ორგანული კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მ. 16 (ფ).

303. იხ. „საცხოვრისის სერვისის განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში“ სპეციალური ანგარიში, გვ. 26. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.].

304. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 244 ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

უსახლკაროების მდგომარეობა და სახელმწიფო პოლიტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, საკანონმდებლო დონეზე დღემდე არ არის დარეგულირებული სათანადო ცხოვრების რეალიზაციისთვის აუცილებელი მექანიზმები. ასევე, ქვეყანაში არ არის შემუშავებული უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა, ხოლო მუნიციპალიტეტების მიდგომა უსახლკარო პირებთან მიმართებაში ერთმანეთისგან განსხვავდება. ამგვარად, უსახლკარო პირების ადგილობრივი მონაცემთა ბაზები მხოლოდ ზოგიერთ მუნიციპალიტეტში არსებობს. ხოლო, უსახლკარობათან მიმართებაში არ არის შემუშავებული სახელმწიფო მიდგომის ერთიანი სტანდარტი[305].

2022 წელს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში აწარმოეს იმ დაწესებულებების მონიტორინგი, სადაც განთავსებული არიან უსახლკარო პირები. მონიტორინგის პროცესში შესწავლილი იყო 7 მუნიციპალიტეტის 11 სოციალური საცხოვრისი. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ უსახლკარო პირები არ არიან უზრუნველყოფილნი ღირსეული და ადეკვატური საცხოვრებელი პირობებით. სოციალურ საცხოვრისებში უსახლკარო პირებს უწევთ ღირსების შემლახავ გარემოში ცხოვრება, მეტიც, გამოიკვეთა მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებებიც.[306]

მუნიციპალიტეტების მიერ დამოუკიდებლად შექმნილი სოციალური საცხოვრისები არ არის საცხოვრებელი დანიშნულებით აშენებული. მაგალითად, ქუთაისის სოციალური საცხოვრისის შენობა ყოფილი კავშირგაბმულობის დაწესებულება იყო, ოზურგეთის სოციალური საცხოვრისი ყოფილი სამშობიაროს შენობა; გორის – ყოფილი ნარკოლოგიური

305. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 244 ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

306. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 243 ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

კლინიკის შენობა და ა.შ.[307]. აქედან, რუსთავის გარდა, ვერცერთი საცხოვრისი ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებლის ადეკვატურობასთან დაკავშირებით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს[308].

აღსანიშნავია, რომ გორის ყოფილი ნარკოლოგიური ცენტრის შენობაში, სადაც 80-მდე ოჯახი ცხოვრობს, გამოიკვეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოებები. შენობაში დღემდე არ ფუნქციონირებს კანალიზაციისა და დრენაჟის სისტემები, არ არის ხელმისაწვდომი სუფთა წყალი. საერთო სველი წერტილები და ანტისანიტარია ხელს უწყობს მწერების, მღრღნელებისა და ქვეწარმავლების გავრცელებას[309]. სახალხო დამცველმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ობიექტებში მცხოვრები პირების განსახლება და ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მოითხოვა ადგილობრივი ხელისუფლებისგან, მაგრამ პრობლემა გადაუჭრელი რჩება და ოჯახები დღემდე აგრძელებენ იმავე პირობებში ცხოვრებას[310].

განსაკუთრებით მწვავეა უსახლკარობის პრობლემები ისედაც მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფებთან მიმართებაში. მაგალითად, სახალხო დამცველის მიერ შესწავლილი საცხოვრისებიდან არცერთი არ არის სრულად ხელმისაწვდომი ეტლით მოსარგებლე ან მხედველობის პრობლემების მქონე პირებისთვის[311].

307. იხ. „საცხოვრისის სერვისის განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში“ სპეციალური ანგარიში, გვ. 38. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.].

308. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 244. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

309. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 244. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

310. სახალხო დამცველის განცხადება გორის, ოზურგეთის და ქუთაისის სოციალურ საცხოვრისებში არსებულ არასათანადო საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებით, 05.07.2022. [ბოლო ნახვა 23.04.2023].

311. იხ. „საცხოვრისის სერვისის განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში“ სპეციალური ანგარიში, გვ. 48. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.].

ასევე, პრობლემურია იძულებით გადაადგილებული პირების მდგომარეობა. *ადამიანის უფლებათა ცენტრი*, წინა წლების მსგავსად, 2022 წელსაც აგრძელებდა დევნილების ინტერესების დაცვას. მაგალითად, 2022 წლის 5 მაისს ადამიანის უფლებათა ცენტრს მიმართა იძულებით გადაადგილებულმა პირმა, რომელსაც გორის რაიონულ სასამართლოში ოჯახის გამოსახლების მოთხოვნით უჩივის ობიექტი, რომლის საკუთრებაშიც სახელმწიფომ პირის ოჯახი დევნილობიდან გამომდინარე განათავსა. საცხოვრებელი სახლი არის ერთადერთი ფართი, რომელიც ოჯახს გააჩნია, შესაბამისად, გამოსახლება მათ თავშესაფრის გარეშე დატოვებს. მიუხედავად ამისა, პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებმა ოჯახის გამოსახლება გამართლებულად მიიჩნიეს. *ადამიანის უფლებათა ცენტრი* ამჟამად სააპელაციო სასამართლოს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას ელოდება. აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო იხილავს პირის, როგორც დევნილის, საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხსაც. ამგვარად, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე ოჯახის გამოსახლება ადგილობრივ კანონმდებლობასთან ერთად, მნიშვნელოვნად დაარღვევს საერთაშორისო სტანდარტებს, რომლის მიხედვითაც, ობიექტიდან გასახლება აკრძალულია, ვიდრე პირი ალტერნატიული ფართით არ დაკმაყოფილდება.

ქვეყანაში უსახლკაროდ იმყოფებიან ისეთი პირებიც, რომლებიც ჯერ კიდევ სსრკ-ის პერიოდში სამხედრო მოსამსახურის წოდების გამო (1981 წლიდან) იდგნენ საცხოვრებელი ბინის მიღების აღრიცხვის რიგში. ერთ-ერთ საქმეზე, სადაც *ადამიანის უფლებათა ცენტრი* პირის ინტერესებს იცავს, სასამართლომ 2000 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით დადასტურა, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო ვერ იმსჯელებდა საქმეზე, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიას დაევალა, შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველეყო ოჯახი საცხოვრებელი ბინის ფართით. სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად, 2002 წელს, კრწანისის-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ გასცა სააღსრულებო ფურცელი ოჯახის საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების თაობაზე, მაგრამ განაჩენი დღემდე არ აღსრულებულა იმ არგუმენტით, რომ მერიას არ გააჩნდა გასანაწილებლად თავისუფალი ფართები. შესაბამისად, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახი დღემდე ხან მეგობრებსა და ნათესავებს აფარებს თავს, ხან კი ქირით ცხოვრობს, რაც

ისედაც მწირი ფინანსური რესურსის გათვალისწინებით სხვა სასიცოცხლო მოთხოვნილებების შეზღუდვასაც გულისხმობს.

მუნიციპალიტეტებში შეინიშნება უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებების სიმცირე. სახალხო დამცველის მიერ 22 მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ ადიგენის მუნიციპალიტეტს აღმოაჩნდა უსახლკარო პირებისთვის გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო პროგრამა. დანარჩენ შემთხვევებში, მუნიციპალიტეტების სოციალური პროგრამა ერთი წლის განმავლობაში უსახლკარო პირისთვის ბინის ქირის გადახდას მოიცავს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უსახლკარობის პრევენციას ვერ უზრუნველყოფს[312].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ უსახლკარობასთან მიმართებაში არსებული ეროვნული პოლიტიკა არასისტემური და ფრაგმენტულია. ასევე, არ არის წარმოებული კვლევები უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებთან და მის მასშტაბებთან დაკავშირებით[313]. საკანონმდებლო რეგულაციები და სასამართლო განმარტებები მწირია, ცენტრალურ დონეზე კი უსახლკარობასთან მიმართებაში უნიფიცირებული სახელმძღვანელო პრინციპებიც არ არსებობს[314]. ეს ყოველივე, პრაქტიკაში უსახლკარო პირების მდგომარეობის გართულებას უწყობს ხელს.

საქართველოს ეროვნული სტრატეგია

საქართველოს მთავრობამ 2022 წელს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა. სტრატეგიაში არ

312. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 245. ხელმისაწვდომია ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

313. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ .241 ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

314. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, უსახლკარო პირის ცნება და უსახლკაროდ მიჩნევის კრიტერიუმები, 2020, გვ. 12 [ბოლო ნახვა: 22.04.2023წ.].

არის შესული უსახლკარობის პრევენციისკენ მიმართული მექანიზმები და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფო სტრატეგიაში ამ საკითხების გათვალისწინება ხელს შეუწყობდა უსახლკარობის პრევენციასთან მიმართებაში სახელმწიფოს ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას[315]. სახალხო დამცველის აზრით, ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში აუცილებლად უნდა შესულიყო სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები და მთავრობის მიმართ გაიცა შესაბამისი რეკომენდაციებიც. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ საცხოვრისის პოლიტიკის საკითხებზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი საქმიანობაში ჩართავს თვით უსახლკარო პირებს, სამოქალაქო სექტორისა და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს[316].

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- საკანონმდებლო დონეზე ჩამოყალიბდეს უსახლკარო პირის ცნება იმგვარად, რომ უფრო ფართოდ მოიცვას უსახლკარობის პრობლემა და ჰარმონიზაციაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ პრინციპებთან;
- მოხდეს სათანადო საცხოვრებლის უფლების საკანონმდებლო რეგულირება და მისი საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- დაიგეგმოს შესაბამისი საერთაშორისო კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში სრულყოფილი იმპლემენტაცია.

315. მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მე-2 ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა; interpressnews.ge; 05.09.2022; [ბოლო ნახვა: 23.04.2023წ.]

316. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2022. გვ. 241. ხელმისაწვდომია: ბმულზე [ბოლო ნახვა 20.04.2023].

საქართველოს მთავრობას

- დაიწყოს კვლევების წარმოება ქვეყანაში უსახლკარობის გამომწვევი მიზეზებისა და მასშტაბების დადგენის მიზნით, მოხდეს სტატისტიკური ინფორმაციის ერთიანი აღრიცხვა;
- დარეგულირდეს სოციალური საცხოვრისის მინიმალური მოწყობის სტანდარტები. მოხდეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიშ ობიექტებში მცხოვრები პირების ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა;
- შემუშავდეს უსახლკარობასთან ბრძოლის ეროვნული პოლიტიკა, რომელსაც არ ექნება ფრაგმენტული სახე;
- სოციალური პოლიტიკა ორიენტირდეს მოწყვლადი და მარგინალიზებული ჯგუფების დახმარებაზე და მათთვის თავშესაფრების გაუმჯობესებაზე, შესაბამისი სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავებაზე;
- შემუშავდეს უსახლკარო პირებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში განსახლებისკენ მიმართული პროგრამები;
- საცხოვრისის პოლიტიკის საკითხებზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა თავიანთ საქმიანობაში ჩართონ უსახლკარო პირები, სამოქალაქო სექტორი და საქართველოს სახალხო დამცველი.

მუნიციპალიტეტებს

- ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციაში შემუშავდეს უსახლკარო პირთა იდენტიფიცირებისა, რეგისტრაციისა და სტატისტიკური აღრიცხვის მექანიზმები;

- ცენტრალურ ხელისუფლებასთან კოორდინაციაში შემუშავდეს უსახლკარო პირებისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში განსახლებისკენ მიმართული პროგრამები.

ხანდაზმული პირები

2022 წლის მონაცემებით, საქართველოში 65 წლისა და უფროსი ასაკის მაცხოვრებელთა წილი მთელი მოსახლეობის 15.5%-ს შეადგენს.[317] საქართველოში არ არსებობს სპეციალური კანონმდებლობა უშუალოდ ხანდაზმული ადამიანების უფლებების შესახებ, რომელიც მათი დაცვისა და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებს დაადგენდა. თუმცა, ამასთან დაკავშირებულ გარკვეულ დებულებებს შეიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ფრაგმენტულად არეგულირებს ხანდაზმულთა უფლებებთან დაკავშირებულ ცალკეულ საკითხებს. ამ კუთხით მნიშვნელოვანი დოკუმენტი იყო „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის დადგენილება. ამ დადგენილებით საქართველოს მთავრობას დაევალა, 2016 წლის 1-ელ აგვისტომდე შეემუშავებინა 2016-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ხსენებული კონცეფციის განსახორციელებლად,[318] რომლის კოორდინაცია, თავის მხრივ, დაევალა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს. მას ამ პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი ანგარიში პერიოდულად საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტისთვის უნდა წარედგინა.[319] „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის №5146- IIს დადგენილების შესაბამისად, საქართველოს მთავრობამ 2017 წლის 2 ნოემბერს დაამტკიცა საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა.[320] ამ დოკუმენტის მოქ-

317. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba, განახლებულია: 04.04.2023.

318. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის 5146-IIს დადგენილების მე-2 მუხლი.

319. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 27 მაისის 5146-IIს დადგენილების მე-3 მუხლი.

320. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილება.

მედების ვადა 2018 წლის ბოლოს ამოიწურა და დღემდე საქართველოს ხელისუფლებას ახალი სამოქმედო გეგმა არ დაუმტკიცებია. სამოქმედო გეგმა ასევე განსაზღვრავდა მისი შესრულების შუალედური მიმოხილვის ჩატარების პერიოდს – 2018 წელს.[321] ამ მიმოხილვის შედეგები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მომდევნო ორწლიან გეგმაში,[322] რაც არ შესრულებულა. სახალხო დამცველი ბოლო რამდენიმე წელია საუბრობს, რომ არ არსებობს ხანდაზმულ პირთა მიმართ ძირითადი პოლიტიკის დოკუმენტის „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის“ შესრულების მექანიზმი, ვინაიდან 2018 წლის შემდეგ არ გაწერილა მისი შესრულების სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, ქვეყანაში არ მუშაობს ხანდაზმულ პირთა მიერ ადამიანის ყველა უფლებით სარგებლობის შეფასების სქემა და არსებული კონცეფცია აღუსრულებელი დოკუმენტია.[323] ქვემოთ მიმოხილულია ხანდაზმულთა დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებით.[324]

დისკრიმინაციული საკანონმდებლო მოწესრიგება

ხანდაზმულ პირებთან დაკავშირებით გარკვეულ რეგულირებებს მოიცავს კანონმდებლობის სხვადასხვა დებულება სხვადასხვა აქტში, როგორიცაა,

321. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის თაობაზე სახალხო დამცველი ვრცლად საუბრობს „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2017, 311, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OIeRiP, განახლებულია: 04.04.2023.

322. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“

323. 9 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2021, 298, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf, განახლებულია: 04.04.2023.

324. ვრცლად ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში, 2022. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nrMOX, განახლებულია: 04.04.2023.

მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, პატიმრობის კოდექსი, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დღეს არსებულ საკანონმდებლო ბაზაში შეინიშნება ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის არაერთი შემთხვევა. ერთ-ერთი ასეთი ნორმა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ არის გასაჩივრებული საკონსტიტუციო სასამართლოში. კერძოდ, სადავო ნორმა ადგენს საპენსიო ასაკს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 65 წელს მიღწეული აკადემიური პერსონალისთვის. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიურ თანამდებობაზე არ შეიძლება არჩეულ იქნეს 65 წელს მიღწეული პირი, ხოლო აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელმაც მიაღწია 65 წელს, აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლდება აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის გასვლის შემდეგ“. ამის გარდა, გასაჩივრებულია ასევე ნორმები, რომლებიც სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ადგენს აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

საიას პოზიციით, სადავო ნორმები არის დისკრიმინაციული და, იმავდროულად, ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტებს.[325] შესაბამისად, ისინი არსებითი განხილვის

325. საკონსტიტუციო სასამართლოს მანდატურისთვის (50 წსაქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 22 თებერვლის №2/2/863 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – გუჩა კვარაცხელია, გივი ცინცაძე, გიორგი თავაძე, ელიზბარ ჯაველიძე და სხვები (სულ 17 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გარეშე არაკონსტიტუციურად უნდა გამოცხადდეს სამართლის წინაშე თანასწორობის უფლებასთან მიმართებით. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წლის 22 თებერვლის №/2/2/863 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო ნორმები, რომლებიც ადგენდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, კონკრეტულად, აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის თანამდებობებზე არ შეიძლებოდა ყოფილიყო არჩეული პირი, რომლის ასაკი 70 წელს აღემატებოდა. სასამართლომ დაადგინა, რომ ისეთი თანამდებობისთვის, რომელიც მოითხოვს გონებრივ აქტივობას, ასაკის მატება ინდივიდს არ ართმევს შესაძლებლობას, განახორციელოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ „მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტისა თუ ვიცეპრეზიდენტის ფუნქციები და მათი სრულყოფილი შესრულება საჭიროებს ამ თანამდებობაზე ისეთი ადამიანის არჩევას, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ინსტიტუციური მეხსიერება, ამ სფეროში საქმიანობის დიდი გამოცდილება. ამგვარ უნარებს არათუ არ აკნინებს ასაკის მატება, არამედ ისეთ სპეციფიკურ და, მეტწილად, მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებულ სფეროში, როგორიც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საქმიანობაა, შესაძლოა, განაპირობებდეს კიდეც სწორედ წლების მანძილზე დაგროვებული გამოცდილება“.[326]

საიას პოზიციით, დასახელებული შემთხვევის მსგავსად, გასაჩივრებული ნორმები 65 წელს მიღწეული პირებისთვის ადგენს დისკრიმინაციულ საპენსიო ასაკს. აკადემიურ თანამდებობაზე საქმიანობა დაკავშირებულია გონებრივ სამუშაოსთან და არ მოითხოვს მძიმე ფიზიკურ დატვირთვას. ამდენად, 65 წელს მიღწეული პირებისთვის აკადემიური თანამდებობის დაკავების აკრძალვის წესი დისკრიმინაციულია და არაკონსტიტუციურად უნდა იყოს ცნობილი. მნიშვნელოვანია, მოხდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტების ეფექტიანი იმპლემენტაცია. კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, სავალდებულო იურიდიული ძალა დაკარგოს არა მხოლოდ სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილმა კონკრეტულმა ნორმამ, არამედ, ასევე, იდენტიფიცირებული პრობლემა აღმოიფხვრას მთელ სამართლებრივ სისტემაში.

326. იქვე.

ამის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტების სრულყოფილი რეალიზაციისთვის, ცალკეულ შემთხვევებში, სახელმწიფო ორგანოებმა უნდა გაატარონ გარკვეული ღონისძიებები, განახორციელონ სისტემური და სტრუქტურული ცვლილებები.

სოციალური დაცვის უფლება

ხანდაზმული პირების სოციალური დაცვა და მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულებაა, რომლის შესასრულებლად კანონმდებლობა გარკვეულ სოციალურ დახმარებებს ითვალისწინებს. ისინი, პირობითად, შეიძლება 2 ჯგუფად დაიყოს: **ფულადი,** რომელშიც იგულისხმება სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საარსებო შემწეობა სიღარიბეში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები ხანდაზმულებისთვის, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების სოციალური დაცვა, და **არაფულადი სოციალური დახმარებები,** რომელშიც იგულისხმება ხანდაზმულთა სპეციალიზებული საცხოვრისები (სათემო ორგანიზაციები, ხანდაზმულთა პანსიონატები), ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა.[327] ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების გარდა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში ადგილობრივ დონეზე დამტკიცებულია ცალკეული პროგრამები, რომლებიც ხანდაზმული პირების გაძლიერებას ემსახურება.[328]

მიუხედავად ამგვარი პროგრამების არსებობისა, სოციალური დაცვის ღონისძიებების ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის არასაკმარისია. 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის სექტემ-

327. ვრცლად იხ. ხანდაზმულთა სოციალური უფლებების შესახებ იხილეთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში, 2022, გვ 13-6, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nrMOX, განახლებულია: 04.04.2023.

328. იქვე, 16.

ბრამდე ხანდაზმული პირები, რომლებიც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას მიმართავდნენ იურიდიული დახმარებისთვის, ორგანიზაციას სთხოვდნენ ინფორმაციის მიწოდებას კანონმდებლობით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებების შესახებ, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში, სოციალური დახმარების აღდგენას ან მისით სარგებლობის მიზნით სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას. გარდა ამისა, ისინი ყოველ ჯერზე მიუთითებდნენ პრობლემის სიმწვავესა და სოციალური დაცვის ღონისძიებებით სარგებლობის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე.[329] საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ხანდაზმულთა უმეტესობა მოკლებულია დანაზოგს, რომელიც სათანადო ასაკის მიღწევისას მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფდა. ამის გამო, ისინი ხშირად სხვა პირებსა და სახელმწიფოს მიერ გაცემულ სოციალურ დახმარებებზე ხდებიან დამოკიდებულნი.[330] ამასთან, ხანდაზმული პირების ძირითადი შემოსავალი სახელმწიფო პენსიაა. იმავდროულად, პენსია, თავისი არსით, იმ სახის სოციალურ დახმარებას განეკუთვნება, რომლითაც შესაძლებელია მხოლოდ საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, ვინაიდან მისი ოდენობა თითქმის საარსებო მინიმუმის ტოლია.[331] პენსიის ოდენობა ვერ უზრუნველყოფს ხანდაზმულთა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, მედიკამენტების შეძენასთან, კვებით მოთხოვნილებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას.[332]

ხანდაზმული პირები ქვეყანაში არსებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ცალკეული ქვეპროგრამების სამიზნე ჯგუფს განეკუთვნებიან (ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, სათემო

329. იხ. საიას ანგარიში, ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022, 18, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nrMOX, განახლებულია: 04.04.2023.

330. იქვე.

331. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის ივნისის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 255.3 ლარია, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi, განახლებულია: 04.04.2023.

332. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ხანდაზმულ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2020, 19, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021012113240828575.pdf, განახლებულია: 04.04.2023.

ორგანიზაციები). თუმცა, ამის მიუხედავად, მომსახურებების მომლოდინეთა რიგების გამო, პროგრამებში ხანდაზმული პირები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ერთვებიან.[333] მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გაზარდოს ამ პროგრამების სამიზნე ბენეფიციართა წრე და უზრუნველყოს ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე ხანდაზმულისთვის მათი ხელმისაწვდომობა. კიდევ ერთი პრობლემა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ხანდაზმული პირებისთვის შესაბამისი სოციალური დაცვის გარანტიების არარსებობაა. სახალხო დამცველი მუდმივად საუბრობს, რომ მუნიციპალიტეტები საკმარისად არ მუშაობენ თავიანთ ტერიტორიაზე სოციალური მიმართულებით, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული პირების გამოვლენას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემების წარმოჩენას, სათანადო პროგრამების დანერგვას და შემდგომ განხორციელებას. მათი ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების უმრავლესობა ითვალისწინებს მხოლოდ ხანდაზმულთა ერთჯერად დახმარებას და არ განსაზღვრავს გრძელვადიან ღონისძიებებს ხანდაზმულთა წინაშე არსებული გამოწვევების დასაძლევად.[334]

ხანდაზმულ პირთა მიმართ ძალადობა

2022 წელს, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების მიხედვით, გამოვლინდა ძალადობის მსხვერპლი 61+ ასაკის 323 ხანდაზმული კაცი და 813 ხანდაზმული ქალი.[335] წლების განმავლობაში უცვლელი და სისტემური ხასიათის პრობლემები დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან, როგორიცაა თავად მსხვერპლთა მხრიდან ძალა-

333. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2017, 312, ხელმისაწვდომია: shorturl.at/drwZ3, განახლებულია: 04.04.2023.

334. „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 2 ნოემბრის №490 დადგენილება.

335. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2022, 282, ხელმისაწვდომია: https://ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf, განახლებულია: 20.04.2023.

დობის ფაქტის აღქმა, შესაბამისი უწყებებისადმი დაბალი მიმართვიანობა, ძალადობის მსხვერპლთათვის არსებული ფსიქო-სოციალური და ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების არარსებობა.[336] სახალხო დამცველის შეფასებით, პრობლემურია მათი ხანგრძლივად დაცვა ძალადობისგან და დახმარების სერვისების ამოქმედება.[337] ოჯახში ძალადობის ფაქტების ზრდის ფონზე ძალზე მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით საქართველოში მცხოვრები ხანდაზმულების მდგომარეობის შესწავლა – ძალადობის შემთხვევების დროული გამოვლენა და რეაგირება, ასევე მათი დეტალური ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობის შემთხვევაში.[338]

აქვე, აღსანიშნავია, რომ გამოიკვეთა სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებულ ხანდაზმულთა უფლებების სისტემური დარღვევის შემთხვევები. იქ არსებულ მძიმე პირობებზე საქართველოს სახალხო დამცველი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას. 2022 წლის 17 ივნისს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ერთ-ერთ სათემო დაწესებულებაში მონიტორინგი ჩაატარა,[339] რომელმაც აჩვენა, რომ იქ არსებული მდგომარეობა შემაშფოთებელია და ხანდაზმულები ღირსების შემლახველ პირობებში იმყოფებიან. იმავდროულად, ვინაიდან ეს დაწესებულება სათემო ორგანიზაციაა, სახელმწიფო პასუხისმგებელია მის მონიტორინგსა და სერვისის მიმწოდებლის მხრიდან ხანდაზმულთათვის სათანადო პირობების შექმნაზე. სპეციალიზებულ დაწესებულებებში არასათანადო პირობების არსებობა განაპირობებს ხანდაზმულ პირთა ღირსების შელახვას.[340]

336. საიას ანგარიში, ხანდაზმულთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2022, 20, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/nrMOX, განახლებულია: 04.04.2023.

337. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2020, 401, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf, განახლებულია: 04.04.2023.

338. გაეროს მოსახლეობის ფონდი, „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი, მარტო მცხოვრები პენსიონერების ზოგადი მდგომარეობა COVID-19-ის პერიოდში“ კვლევის ანგარიში, 2020, 9, ხელმისაწვდომია: shorturl.at/EHLS8, განახლებულია: 04.04.2023.

339. კახეთში, სიღნაღის რაიონში მდებარე წნორის ხანდაზმულთა სახლის ა(ა)იპ „ხანდაზმულთა სავანე ბეთელი“.

340. იხ. სახალხო დამცველის განცხადება „ხანდაზმულთა სავანე ბეთელში“ მცხოვრები

რეკომენდაციები

საქართველოს პარლამენტს:

- გადახედოს ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად დადგენილ ზღვრულ ასაკს და შეუსაბამოს ის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ასაკის ნიშნით თანამდებობაზე წვდომის შეზღუდვასთან დაკავშირებით დადგენილ სტანდარტებს.

საქართველოს მთავრობას:

- „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო პოლიტიკის კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ შესრულების შედეგების გაანალიზების საფუძველზე, შეიმუშაოს და დაამტკიცოს დაბერების საკითხზე ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელიც ორიენტირებული იქნება ხანდაზმული პირების უფლებების ეფექტიან დაცვაზე;
- გაიზარდოს სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის იმ ცალკეული ქვეპროგრამების ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც განკუთვნილია ხანდაზმული პირებისთვის (ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, სათემო ორგანიზაციები) და უზრუნველყოს მათი დროული ხელმისაწვდომობა ყველა შესაბამისი საჭიროების მქონე ხანდაზმულისთვის.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- შეისწავლოს სპეციალიზებულ დაწესებულებებში მოთავსებული ხანდაზმული პირების მდგომარეობა, მოახდინოს დარღვევებზე

ხანდაზმულების ღირსების შემლახავ პირობებში ყოფნასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის ვებგვერდი, 2022 წლის 22 ივნისი, ხელმისაწვდომია: shorturl.at/FQW49, განახლებულია: 04.04.2023.

ეფექტიანი რეაგირება და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მათთვის ღირსეული პირობების შექმნა;

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხანდაზმულ პირთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე, შეიმუშაონ მიზნობრივი პროგრამები და მათ განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში გამოყონ შესაბამისი ფინანსები; საჭიროების შემთხვევაში გაზარდონ ბიუჯეტი და მოიძიონ დამატებითი სახსრები.